- **ავადმყოფისთვის მისაღები გეგმის შემუშავება.** პრობლემების მიხედვით უნდა დააზუსტოთ და ჩაინიშნოთ გეგმა ყოველი ავადმყოფისთვის. თქვენი *გეგმა* ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს იმ პრობლემიდან ან დიაგნოზიდან, რაც დაზუსტებული გაქვთ, ხოლო შემდგომში უნდა განსაზღვროთ, თუ რა საფეხურების გავლა დაგჭირდებათ. ეს საფეხურები ცვალებადობს გამოკვლევებიდან დიაგნოზის ჩამოყალიბებამდე; დავამატოთ, მოვსწავლოთ, თუ შევცვალოთ მედიკამენტები; შეხვედრები ოჯახის წევრებთან. აღმოაჩენთ, რომ ეთიკურად ჩამდენიმე მსგავს დიაგნოზზე შეგეძლოთ გეფიქრათ. მიუხედავად ამისა, თქვენი *გეგმა* ხშირად მოძრავია, მოიცავს ცვლილებებს და მოდიფიკაციებს, რომელიც ვლინდება თითოეული ავადმყოფის ვიზიტის შემდეგ. *გეგმა* შესაძლოა დიაგნოზის, მკურნალობისა და ავადმყოფის განათლების ნინაპირობა აღმოჩნდეს.

სანამ თქვენს *გეგმას* საბოლოოდ დააზუსტებთ, მნიშვნელოვანია, ავადმყოფს გაუზიაროთ თქვენი შეფასებები, კლინიკური მოსაზრებები და გაარკვიოთ მისი აზრი, დამოკიდებულება, განწყობა შემდგომი გამოკვლევებისა და შეფასებების მიმართ. დაიმახსოვრეთ, ვიდრე ყველაფერს გაითავისებს, ავადმყოფს ესაჭიროება ხშირად მოისმინოს ერთი და იგივე ინფორმაცია. უნდა გაალრმავოთ ურთიერთობა იმ პაციენტებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული გამოკვლევის გეგმის შემუშავებაში.

ქ-ნი ნ-ის შემთხვევა: შეფასება და გეგმა.

როდესაც ქ-ნი ნ-ის *შეფასებას და გეგმის შემუშავებას* დაასრულებთ, ყურადღებით მოიფიქრეთ, რამდენად გასაგებად და მონუსხიგებელად დანერთ ავადმყოფობის ისტორია. როდესაც ჩანაწერს ახლებთ, იგი უნდა იყოს მეტი, ვიდრე ავადმყოფის მარტივი მონათხრობი და თქვენი კლინიკური გამოკვლევის ერთობლიობა. უნდა განსაზღვროთ და დაგეგმოთ ავადმყოფთან მუშაობის დრო, შეაფასოთ ამა თუ იმ მონაცემის აუცილებლობა და მნიშვნელობა, შეადგინოთ გასაგები, ლაკონური და, ამავდროულად, ყოვლისმომცველი ჩანაწერი. უპირველეს ყოვლისა, ჩანაწერი ავადმყოფის მკაფიოდ და ორგანიზებულად გამოკვლევის ნარმართვაში დაგეხმარებათ. საშუალება მიეცით ავადმყოფს, მისი მონათხრობითა და სიმპტომებით მოგცეთ სწორი მიმართულება, გამოიკვლიოთ სხეულის შესაბამისი არეები,

ჯინიჯური მსჯელობის საფეხურებით გაიღრმავოთ თქვენი ცოდნა, გამჭრიახობა, ჯინიჯური აღლო.

გამოიყენეთ ქ-ნი ნ-ის ჩანაწერი, ჩამონერეთ დამატებული საექიმო ჩანაწერის მახასიათებლები. შემდეგ იგი მონაცემთა იმ სიას შეადარეთ, რომელიც მოცემულია გვ. 81-83. კითხვები, რომელიც შესაძლოა დაგეხმაროთ:

- არის თუ არა მონაცემები თანმიმდევრული, სწორად დალაგებული და ჯარგად იკითხება თუ არა?
- არის თუ არა საკმარისი დეტალები, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, შეფასებისა და გეგმის ჩამოყალიბებისთვის?
- ინფორმაცია ხშირად მეორდება თუ ქარბადაა?
- სტილი პროფესიულია, მეცავს თუ არა დამრიგებლის ან შეუფერებელ კომენტარებს?

ქ-ნ ნ-ის შეფასება და გეგმა

1. ცეფალგია. 54 წლის ქალს ბავშვობიდან აღენიშნება თავის ტკივილი, სისხლძარღვთა პელსაცია, ხშირი გელისმევა და პირღებინება. თავის ტკივილი დაკავშირებულია სტრესთან და ქრება ძილის დროს ან ცივი საფენის დადების შედეგად. ნევროლოგიური გასინჯვით მოტორული და სენსორული დარღვევები არ აღინიშნება. ასევე, არ ვლინდება მხედველობის ნერვის დვრილის შეშუპება. დიფერენციული დიაგნოსტიკა მოიცავს არტერიული სისხლის ნნევით გამონვეულ თავის ტკივილს, რომელიც ასევე სტრესთან დაკავშირებული, მაგრამ არ ქრება მასაჟით და ეფრო მეტად მოპულსირე ხასიათისაა. არ აღინიშნება მენინგიტისთვის დამახასიათებელი ცხელება, კისრის კუნთების ჩიგიდობა ან კერონული ცვლილებები. ასევე, დაავადების ხანგრძლივობა და პერიოდულობა გამორიცხავს სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის დიაგნოზს (რასაც ჩვეულებრივ აღნერენ როგორც "ცხოვრებაში განცდილ ყველაზე ძლიერ ტკივილს").

გეგმა:

– განიხილეთ მაკრის და ნნევით გამონვეული თავის ტკივილის ნიმნები
– განიხილეთ თვითკონტროლის და სტრესის მართვა
– ურჩიეთ ავადმყოფს, არ მიიღოს კოფეინი, რასაც შეიცავს ყავა, კოკა-კოლა, და სხვა კარბონატული სასმელები
– საჭიროების შემთხვევაში, დანიშნეთ ანთების სანინააღმდეგო არასტეროიდული საშვალებები
– შემდგომი მიზეზის საჭიროებისას დაინყეთ ჰოფიდიაქტიკური მკურნალობა, რაგან ავადმყოფს თვემი 3-ზე მეტი შტევა ევითარება

2. არტერიული სისხლის ნნევის მომატება. აღინიშნება სისტოლური ჰიპერტენზია. იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს სიმსუქნესთან ან პირველი ვიზიტით გამონვეული ნერვიულობასთან. გულის და თვალის ფსკერის დაზიანების ნიშნები არ ვლინდება.

გეგმა:

– იმსჯელეთ არტერიული სისხლის ნნევის შეფასების სტანდარტების შესახებ
– გამოიკვლიეთ შარდი
– ურჩიეთ ნონის დაკლება და/ან სავარჯიშო პროგრამა (იხ. #4)
– შეუმცირეთ მარილის მიღება

3. ცისტოცელე მარდის პერიოდული შეუკავებლობით. მენჯის გამოკვლევისას დადგენილი ცისტოცელე შესაძლოა მარდის ბუშტის მოდუნებასთან იყოს დაკავშირებული. ავადმყოფი მენოპაუზის ნინა პერიოდშია. ხველის დროს აღნიშნება მარდის შეუკავებლობა, რაც მარდის ბუშტის კედლის ანატომიურ არტერიასთან არის დაკავშირებული. დისურია, ცხელება, ტკივილი არ აღნიშნება. არ იღებს ხელშემნყობ პრეპარატებს ჩვეულებრივ, მარდი მცირე ოდენობით გამოიყოფა და გამონადენი არ აღინიშნება, რაც სავარაუდოს ხდის მარდის შეუკავებლობის არსებობას.

გეგმა:

სტრესული შეუკავებლობის მიზეზის ახსნა

ქ-ნ ნ-ის შეფასება და ბებიის (გაგრძელება)

მასწავლის ანალიზი

ჰეპომენდებულია კეგელის (Kegel) ვარჯიშის დანიშვნა

თუ გაუმჯობესება არ ვლინდება, ვაგინური ესტროგენული მალამოს დანიშვნა

4. ქალი ნონა. ავადმყოფის სიმაღლეა 5□2'□, ნონა 65 კგ, სმი (სხეულის მასის ინდექსი) ~26.

ბებია:

– შეისწავლეთ ჯვებითი ანამნეზი, სთხოვეთ შეადგინოს საჭმების მიღების დღიური

დაადგინეთ ავადმყოფის ნონაში დაკლების საჭიროება, შემდეგი ვიზიტისთვის დაადგინეთ სამიზნე ნონა

– დიეტოლოგთან ვიზიტის გრაფიკი

– განიხილეთ სავარჯიშო პროგრამა, თითქმის ყოველდღე 30 წთ სიარული

5. ოჯახური სტრესი. სიძეს აქვს ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემა. ქალიშვილი და შვილიშვილები მშობლებთან ცხოვრობენ, რის გამოც ურთიერთობა დაძაბულია. ასევე,მშობლებს აქვთ ფინანსური პრობლემებიც. სტრესი სიტუაციურია. ღრმა დეპრესიის ნიშნები არ აღინიშნება.

ბებია:

– გამოავლინეთ ავადმყოფის შეხედულებები, რომ არის სტრესთან გამკლავებას

– მოიძიეთ დახმარების საშუალებები, როგორიცაა ასოციაცია, რომელიც ეხმარება ალკოჰოლიის მომხმარებლებს, ფინანსური პრობლემების განხილვა

– დეპრესიის მონიტორინგი

6. ძვალ-ჯუნთოვანი ნარომობის იშვიათი ნელის ტკივილი. აღნიშნული სიმპტომი ხშირია ხანგრძლივად ფეხზე დგომის დროს. ანამნეზში არ აღინიშნება ტრავმა ან ავტოავარია. ტკივილი არ განისაზღვრება ირადიაციას, გამოკვლევით სენსო-მოტორული დარღვევები არ აღინიშნება. სავარაუდო დისკის ან ნეკვის პომპრესია, ბურსიტი (სასახსრე ჩანთის გაბერვა), საკროილიიტი (გავა-ნელესუნის სახსრის ანთება).

ბებია:

– განიხილეთ ნონაში დაკლების მეღებები და ვარჯიშები ზურგის ჯუნთების დაჭიმვისთვის

7. თამბაქოს მოხმარება. 36 ნელინადია დღეში მოიხმარს 1 კოლოფს.

ბებია:

– შეამოწმეთ ამოსუნთქვის პიკი FEV$_1$/FVC სპირომეტრით

– მკაცრად ურჩიეთ თამბაქოს მოხმარების შენყვეტა და შესთავაზეთ პროგრამა აბსტინენციის (თავშეკავება) გასაძლიერებლად; ურჩიეთ დასაკრობი ფირფიტა

8. ვენების ვარიკოზი ქვედა კიდურებზე. გასინჯვის დროს ცვლილებები არ აღენიშნება

9. ანამნეზში მარჯვენამხრივი პიელონეფრიტი (1982)

10. ალერგია პენიცილინზე. უცვლელია მხოლოდ გამონაყარი

11. ჯანმრთელობის ხელშენყობა. ბოლო სამოდან Pap-ნაცხი გაკეთებული აქვს 1998 წ. მამოგრაფია არასდროს არ ჩაუტარებია

ბებია:

– ასწავლეთ სარძევე ჯირკვლის გასინჯვა; დაუგეგმეთ მამოგრაფია

– შემდეგ ვიზიტზე დაუგეგმეთ სამოდან Pap-ნაცხის აღება

– შესთავაზეთ განავლის სისხლი გამოკვლევა შემდეგ ვიზიტზე დაგეგმეთ მიმოხილვითი პროქტოსკოპია

– შესთავაზეთ ღრძილების მოვლა მსუბუქი გინგივიტის გამო

– შესთავაზეთ ნამცხვრები და კალორიული სანმენდი საშუალებები ჩაკეტილ ოთახში გადაიტანოს, როგორც ნესი მხრების სიმაღლეზე.

III მეთოდური მოთხოვნები ჯერითური მონაცემების მიმართ

როგორც ნახეთ ქ-ნ ნ-ის შემთხვევაში, ჯერითური მონაცემების დაკლება ხდება სხვადასხვა მოთხოვნის მიხედვით. დანყებითი ჯერის სტუდენტმა უნდა გადანყვიტოს, როგორ

დააჯგუფოს ავადმყოფის სიმპტომები და ნიშნები, ერთ თუ ჰამოდენიმე ჰრობლემად. ჯვლევის დროს შეიძლება აღმოჩნდეს მონაცემთა გაჩეველი ჩაოდენობა, რომლებიც ძნელად ჯონტროდდება. მონაცემთა ხასიხსი შეიძლება შეცდომით იქნას განსაზღვრული. ამიტომ ახჩევანის გაკეთებაში მოგეხმახებათ სტანდახტული ხეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია მომდევნო ჰახაგჩახფებში.

მონაცემთა დაჯგუფება ერთ ან ჩამოდენიმე ჰრობლემად. სტუდენტის წინაშე მდგახი ერთ-ერთი უჰიხველესი და უმთავხესი ჰრობლემა ავადმყოფის სიმპტომებისა და ჰათოდოგიური ნიშნების ერთ ჯონტექსტში თავმოყრაა. ესადაგება თუ ახა ერთ ჰრობლემას მიღებული მონაცემები? შეიძლება მოგეხმახოთ ავადმყოფის *ასაკი* – ახაგაზრდა ავადმყოფებს, როგორც წესი, ერთი ჰრობლემა ახვთ, ხოდო მოხუცებს, – რამოდენიმე. ასევე გამოგადგებათ სიმპტომების *განვითარების დრო.* მაგალითად, 6 ჯვირის წინ ახსებული ფახინგიტის ეპიზოდი ახ შეიძლება იყოს ვიზიტის დროს გამოვლენილი სიმპტომების მიზეზი: ცხელება, შემცივნება, ჰლევრიტით გამოწვეული გვერდის ტკივილი და ხველა. იმისთვის, ხათა სიმპტომების წახმოშობის დრო ეფექტურად გამოიყენოთ, უნდა იცოდეთ სხვადასხვა დაავადებების და მდგომახეობების მიმდინარობა. მაგ. ასოდან – ყვითელი ფერის გამონადენი, რომელიც ასოს მტკივნეული წყლულის განვითარებიდან სამი ჯვირის შემდეგ დაინყო, ორ ჰრობლემაზე მიუთითებს: გონორეა და ჰირველადი სიფილისი. ალნიშნულის საჰირისჰირობ. ასოს წყლული, რომელსაც 6 ჯვირის შემდეგ მოჰყვა ჯანის მაჯულოჰაჯულური გამონაყარი და გენერალიზებული ლიმფადენოპათია, ერთი ჰრობლემის ორ სტადიაზე მიუთითებს: ჰირველად და მეორად სიფილისზე.

სხეულის სხვადასხვა სისტემის ჩართვა ჰროცესში, ასევე, მოგეხმახებათ ჯერნიჯური მონაცემების დაჯგუფებაში. თუ სიმპტომები ან ნიშნები ერთ სისტემას მიეკუთვნება, მათი ახსნა ერთი დაავადებით ახის შესაძლებელი. ჰრობლემები, რომლებიც სხვადასხვა სისტემას ეხება, მრავალგვარ ახსნას მოითხოვს. დაავადებების ნიშნების ცოდნა ამ შემთხვევაშიც დაგეხმახებათ. მაგალითად, უნდა გადაწყვიტოთ, რომ სისხლის მაღალი წნევა და საძგერის გაძლიერება და, მართან ერთად, ბადურის სისხლჩაქცევები გულ-სისხლძახღვთა სისტემას მიეკუთვნება და ეს სიმპტომები შემდეგგვარად უნდა იქნეს დაჯგუფებული: "გულის ჰიჰერტენზიული დაავადება ჰიჰერტენზიული ჩეტინოჰათიით". სხვა ახსნა უნდა მოუძებნოთ ავადმყოფის მსუბუქ ცხელებას, ტკივილს მუცლის მარცხენა ქვედა ჯვადრანტში და დიარეას. ზოგიერთი დაავადება სხეულის რამოდენიმე სისტემას მოიცავს. ცოდნისა და გამოცდილების მიღების შემდეგ უფრო ადვილად ამოიცნობთ *მულტისისტემურ მდგომარეობას* და შეძლებთ მოუძებნოთ შესაძლო ახსნა, თუ როგორ დაჯგუფოთ ერთი შეხედვით გაუგებარი გამოვლინებები. იმისთვის, რომ ახსნათ 40 წლის განმავლობაში თამბაქოს მომხმარებელი 60 წლის ასაკის მამაკაცის ხველება, ჰემოპტოე და ნონაში დაკლება, დიფერენციული დიაგნოსტიკაში აუცილებლად უნდა ჩართოთ ფილტვის კიბო. თქვენი დიაგნოზი უნდა თითის ფრჩხილების ციანოზის შემოწმებით განამტკიცოთ. გამოცდილების დაგროვებითა და მეცადინეობით შესძლებთ დაადგინოთ, რომ ამ ავადმყოფის სხვა ნიშნებიც შეიძლება ამ დაავადებას მიეკუთვნებოდეს. მაგალითად, დისფაგიის მიზეზი შეიძლება იყოს სიმსივნის საყლაპავზე გავრცელება, ასიმეტრიული გუგები მიუთითებს კისრის სიმპატიკური ნერვის ზენოცარზე, ხოდო სიყვითლის მიზეზი შეიძლება ღვიძლში სიმსივნის მეტასტაზის არსებობა იყოს.

მულტისისტემური დაავადების სხვა შემთხვევაში, ახაგაზრდა მამაკაცს აღენიშნება ტკივილი ყელის დროს (ოდინოფაგია), ცხელება, ნონაში დაკლება, ჯანის მუქი ფითრი დაზიანება, ლეიკოპლაკია (leukoplakia seu leukoplasia – ბერძნ., მუკოზური მემბრანის ეპითელიუმის გარქვანება. რედ.), გენერალიზებული ლიმფადენოპათია და ქრონიკული დიარეა, სავარაუდო დიაგნოზია შიდს-ი. დროულად უნდა იქნეს გამოვლენილი დაავადების რისკ-ფაქტორები.

მრავალრიცხოვან მონაცემთა დეტალური ანალიზი. სიმპტომების და ნიშნების შედარებით დიდ რამონათვალში და, შესაბამისად, ბევრ შესაძლო ახსნას შორის არჩევანის გაკეთება ხშირად მოგიწევთ. ერთი საშუალებაა, განიხილოთ *სხვადასხვა ჯგუფის სიმ-*

ჰეშები და ნიშნები და თანმიმდევრობით გააანალიზოთ თითოეული, როგორც უკვე ახის აღნიშნული. ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ *საჭვანძო შეკითხვები*: ამ შეკითხვათა საშუალებით, სხვა შესაძლებლობების გათვალისწინებულად შესძლებთ თქვენი ანალიზის ეთიკი მიმართულებით მიმართვას. მაგალითად, შეგიძლიათ ავადმყოფს ჰკითხოთ, ხა ინვევს და ხა არჩენს გულ-მკერდის ახში ტკივილს. თუ პასუხებია ხელისუფლი დატვირთვა და მოსვენება, ყურადღება უნდა შეარჩიოთ გულ-სისხლძარღვთა და ძვალ-ულთოვან სისტემებზე და გვერდი აუაროთ საჭმლის მომნელებელ სისტემას. თუ ტკივილი მკერდის ძვლის ქვემოთაა, წვითი ხასიათისაა და ყოველთვის საჭვების მიღების შემდეგ ჩნდება, საჭმლის მომნელებელი სისტემა უნდა იქნეს განხილული. ხიგი შეკითხვების დასმით შეგიძლიათ შექმნათ აღგორითმი, ხაც ხელისუფლი მონაცემების დაღაგებასა და გაანალიზებაში, ასევე, ღონისძიები დასკვნის და ახსნის მოძებნაში მოგეხმარებათ.

მონაცემთა ხარისხის შეფასება. ხელისუფლი ინფორმაცია ხშირად შეიცავს შეცდომებს. ავადმყოფს შეიძლება დაავიწყდეს ხამე ინფორმაციის მოწოდება, ან აკლიოს დაავადების წვრილმანები, მოეხერხოს ზოგიერთი მონაცემის თქმა. ასევე, ექიმმა შეიძლება ახასწორი ინტერპრეტირება გაუკეთოს ავადმყოფის ნათქვამს, კარგად ვერ გაიგოს ინფორმაცია, ვერ დაესვას "ეთი საკვანძო შეკითხვა", ნაადრევად გადავიდეს დასკვნებსა და დიაგნოზზე, ან გამოჩრეს ხელისუფლი გამოკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი. აღნიშნულის თვალნათლივი მაგალითია შემთხვევა, ხოდესაც ახალგაზრდა მამაკაცს სათესლე ჯირკვლების ასიმპტომური კარცინომით არ ესინჯება ჯირკვლები. ზოგიერთი ეს შეცდომა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული იმ ხელისუფლი ჩვევების მეძენით, ხომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი.

მითითებები ავადმყოფის მონაცემების ხარისხის გამარტივებისთვის:

– დაუსვით ზოგადი კითხვები და ყურადღებით და მოთმინებით მოუსმინეთ ავადმყოფს
– ჩამოაყალიბეთ ანამნეზის შეგროვების და ხელისუფლი გამოკვლევის ამომწურავი და სისტემური თანმიმდევრობა
– კარგად დაიმახსოვრეთ ავადმყოფიც და მისი მონაცემებიც
– ავადმყოფის პირობების შესაძლო ახსნის ჩამონათვალში ყოველთვის ჩართეთ "უარესი შემთხვევის სცენარი" და დარწმუნდით, რომ ის საიმედოდ არის გამორიცხული.
– გააანალიზეთ შეცდომები მონაცემთა შეგროვებისა და ინტერპრეტაციის დროს
– გაუგებარი საკითხები განიხილეთ კოლეგებთან ერთად და გაეცანით სამედიცინო ლიტერატურას
– მონაცემთა ანალიზის პრინციპები ავადმყოფის ინფორმაციასა და გამოკვლევებს მიუსადაგეთ.

სიმპტომები, ხელისუფლი მონაცემები, ანალიზები და ინსტრუმენტული კვლევა დაგეხმარებათ შეამციროთ გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ავადმყოფს აღნიშნული მდგომარეობა. თავისი არსით, ხელისუფლი მონაცემები, განსხვავებით კვლევების ჩათვლით, არასრულფასოვანია. ხელისუფლი და განსხვავებულ მონაცემთა შეფასება შეგიძლიათ გააუმჯობესოთ ამ მონაცემთა შერჩევის ზოგიერთი სპეციფიკური პრინციპის გამოყენებით. ისწავლეთ, როგორ გამოიყენოთ ხელისუფლი და განსხვავებული მონაცემების შეფასებაში შემდეგი პრინციპები: *საიმედოობა, არგუმენტირება, მგრძნობელობა, სპეციფიკურობა და პროგნოზული ღირებულება*. აღნიშნული მახასიათებლები დაგეხმარებათ გაარკვიოთ, რამდენად სარწმუნოა თქვენი მონაცემები, ხომლებიც მიიღეთ დაავადების ან პრობლემის არსებობის ან არარსებობის შეფასებისას.

ხელისუფლი მონაცემთა ასახვა. ამ პრინციპის გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია, მონაცემები 2×2 ფორმატის დიაგრამის სახით გამოსახოთ; ეს ფორმატი მომდევნო

გვეხება ზუსტად მოცემული. მსგავსი დიაგნოზის გამოყენება ყოველთვის დაგეხმარებათ ზუსტად გამოითვალოთ მგრძნობელობა, სპეციფიკურობა და პროგნოზული ღირებულება. ჩაინიშნეთ, რომ დაავადების ხელახალ არსებობის ან არარსებობის დადგენისთვის ოქროს სტანდარტის გამოყენება მოითხოვება. ჩვეულებრივ, ეს გამოკვლევის საუკეთესო შესაძლებლობაა. მაგალითისთვის, – ფორონარული ანგიოგრაფია გულის იშემიური დაავადების დიაგნოსტირებისთვის ან ქსოვილის ბიოფსიის ჩატარება ავთვისებიანი დაავადებისთვის.

ტესტის შეჩევის და გამოყენების პრინციპები

სანმელოობა. ასახავს, თუ რამდენად ზუსტად მოგცემთ ერთნაირ შედეგს ერთი და იგივე, შედარებით სტაბილური ფენომენის განმეორებითი გაზომვა. მას, ასევე უწოდებენ სიზუსტეს. სანმელოობა იზომება ერთი ან ერთზე მეტი გამომკვლევისთვის.
მაგალითი: თუ სხადასხვა მემთხვევაში ერთი ექიმი ერთნაირად ატარებს ღვიძლის ერთი და იგივე უბნის პერკუსიას, გამოკვლევის სანმელოობა დაბალი იქნება. სხვა მემთხვევაში, თუ ერთი და იგივე პაციენტის მემთხვევაში სხვადასხვა ექიმმა ერთი და იგივე უბანმი განსხვავებული შედეგი მიიღო, სანმელოობა ცუდია.

არგუმენტირება. გამოხატავს, თუ რამდენად მკიდრად უკავშირდება "ნარევი მდგომარეობას" მოცემული გამოკვლევა ან, ნარევის გაზომვის საუკეთესო სამუალებას წარმოადგენს.
მაგალითი: სისხლის ნნევის გაზომვა ვერსხლისწყლიანი მანომეტრით ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე ნნევის გაზომვა უმეალოდ არტერიაში.

მგრძნობელობა. გამოხატავს დადებითი შედეგის მქონე ადამიანთა პროცენტულ ნილს დაავადებულთა საერთო ჯგუფში, ან ქვემარიტად დადებით ადამიანთა პროცენტულ ნილს მოცემული დაავადების მქონე ავადმყოფთა საერთო ჯგუფში. თუ დაავადების მქონე პირებში ტესტი უარყოფითია, შედეგს ცრუ-უარყოფითი ენოდება. კარგ გამოკვლევას ან ტესტს 90%-ზე მეტი მგრძნობელობა აქვს და გეხმარებათ გამორიცხოთ დაავადება, ვინაიდან ცრუ-დადებითი შემთხვევის სიხშირე მცირეა. მგრძნობელობა ყველაზე მეტად სკრინინგის დროს გამოიყენება.
მაგალითი: ნვივის ღრმა ვენების თრომბოზის დიაგნოსტიკაში ჰომანის (Homan) სიმპტომის მგრძნობელობა 50%-ია. სხვა სიტყვებით, თუ ავილებთ ავადმყოფთა ჯგუფს ნვივის ღრმა ვენების თრომბოზით, რომელთაც დიაგნოზი დადგენილი აქვთ ფლებოგრაფიით (ბევრად უკეთესი ტესტი), მათ შორის ჰომანის დადებითი სიმპტომი 50%-ს ექნება. ასე რომ, თუ აღნიშნული სიმპტომი არ ვლინდება, ეს ფაქტი ღრმა ვენების თრომბოზის არარსებობის დამადასტურებელი ფაქტი არ არის და შეიძლება პაციენტთა 50%-ს ჰქონდეს.
სპეციფიკურობა. ასახავს დაავადების არმქონე პირთა შორის უარყოფითი ტესტის მქონე ადამიანთა პროცენტულ ნილს, ანუ "ქვემარიტად უარყოფითი" პირების პროცენტული ნილი დაავადების არმქონე პირთა შორის. თუ დაავადების არმქონე პირს დადებითი ტესტი აღმოაჩნდება, შედეგს ცრუ-დადებითი ეწოდება. კარგ გამოკვლევას 90%-ზე მეტი სპეციფიკურობა აქვს და დაავადების დადგენისას გეხმარებათ, ვინაიდან დაავადების არარსებობის შემთხვევაში ტესტი ძალიან იშვიათად არის დადებითი და ცრუ დადებითი შედეგის სიხშირეც შედარებით ნაკლებია.
მაგალითი: სისხლის შარდის ამილაზას სპეციფიკურობა შესაძლო მწვავე პანკრეატიტის დროს 70%-ია. ანუ, პანკრეატიტის არმქონე 100 ავადმყოფში 70-ს შეიძლება ამილაზას ნორმალური დონე აღენიშნებოდეს. 30 შემთხვევაში ამილაზას დონე ცრუ მომატებული იქნება.

პროგნოზული ღირებულება. აჩვენებს, თუ მოცემული სიმპტომი, ნიშანი ან ტესტი, დადებითი ან უარყოფითი, – რამდენად კარგად ადასტურებს დაავადების არსებობას ან არ არსებობას.

დადებითი პროგნოზული ღირებულება არის დაავადების ალბათობა დადებითი (შეკვრილი) ტესტის მქონე პირებში, ან "ქვემარიტი დადებითის" პროცენტული ნილი გამოკვლეულთა მთელს პოპულაციაში.

მაგალითი: ჯიბის სკრინინგის პროგრამაში ქალების ჯგუფში, ვისაც პაპანიკოლაოს ესინჯებათ ყანძები სარძევე ჯირკვალში, მკერდის დადგენილი ჯიბის პროპორცია წარმოადგენს პაპანიკოლაოს მეთოდის დადებით პროგნოზულ ღირებულებას მკერდის ჯიბის გამოსავლენად.

უარყოფითი პროგნოზული ღირებულება არის დაავადების არქონის ალბათობა, როდესაც ტესტი უარყოფითია ან ნორმალური, ან "ჭეშმარიტად უარყოფითი" შედეგის პროცენტული ნილია გამოკვლეულ პოპულაციაში.

მაგალითი: ჯიბოს სკრინინგის პროგრამაში ქალების ჯგუფში, ვისაც კვანძები სარძევე ჯირკვალში პალპაციით არ ესინჯებათ, მკერდის დაუდგენელი ჯიბოს ნილი ნარმოადგენს მკერდის ჯიბოს გამოსავლენად პალპაციით კვანძის არარსებობის უარყოფით პროგნოზულ ღირებულებას.

დაისხომეთ, როგორც ოქროს სტანდარტით არის დადგენილი, ავცხვები, რომლებიც დაავადების არსებობას ან არარსებობას გამოსახავს, ყოველთვის ვერტიკალურად, –ცხრილის მარცხენა ველებშია განლაგებული (გამოხატულია =a+c; არ არის გამოხატული =b+d). ციფრები, რომლებიც გამოკვლევას ან ტესტს მიესადაგება, ჰორიზონტალურად, –ცხრილის ზედა ველებშია მოთავსებული (დადებითი ტესტი = a+b; უარყოფითი ტესტი = c+d).

ოქროს სტანდარტი

95 ჭეშმარიტი-პოზიტიური მონაცემები a	10 ცრუ-პოზიტიური მონაცემები b
5 ცრუ-ნეგატიური მონაცემები c	90 ჭეშმარიტი-ნეგატიური მონაცემები d

ამის შემდეგ შეგიძლიათ იანგარიშოთ:

$$\text{მგრძნობელობა} = \frac{a}{a+c} = \frac{\text{ჭეშმარიტი-პოზიტიური მონაცემები (95)}}{\text{დაავადებულთა საერთო რაოდენობა (95+5)}} \times 100 = 95\%$$

$$\text{სპეციფიკურობა} = \frac{d}{b+d} = \frac{\text{ჭეშმარიტი-პოზიტიური მონაცემები (90)}}{\text{დაავადებულთა საერთო რაოდენობა (90+10)}} \times 100 = 90\%$$

$$\text{დადებითი პროგნოზული ღირებულება} = \frac{a}{a+c} = \frac{\text{ჭეშმარიტი-პოზიტიური მონაცემები (95)}}{\text{დაავადებულთა საერთო რაოდენობა (95+5)}} \times 100 = 95{,}5\%$$

$$\text{უარყოფითი პროგნოზული ღირებულება} = \frac{a}{a+c} = \frac{\text{ჭეშმარიტი-პოზიტიური მონაცემები (90)}}{\text{დაავადებულთა საერთო რაოდენობა (90+5)}} \times 100 = 94{,}7\%$$


დაებინდით ისევ ცხრილს. *ვერტიკალური ჯოხი აღნიშნავს მგრძნობელობას* (a/a+c) და სპეციფიკურობას (d/b+d), ხოლო *ჰორიზონტალური ჯოხები*, – დადებით (a/a+b) და უარყოფით (d/c+d) პროგნოზულ ღირებულებებს გამოსახატავს. მონაცემები ნახმოსახვით ტესტის საეჭვოსო მახასიათებლებზე მიეთითებს. ტესტის მგრძნობელობა და სპეციფიკურობა 90%-ზე მაღალია, ისევე, როგორც დადებითი და უარყოფითი პროგნოზული ღირებულება. ასეთი ტესტი შეგიძლიათ თქვენი პაციენტის დაავადების შეფასებისთვის გამოიყენოთ.

დაიმახსოვრეთ, პოპულაციის ყველა მტესტის ან გამოკვლევის პროგნოზული ღირებულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გამოსაკვლევ პოპულაციაში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მდგომარეობაზე. პრევალირება (გავრცელება) არის ადამიანთა ხვედრითი წილი შესაძლო მდგომარეობის მქონე განსაზღვრულ პოპულაციაში მოცემულ დროს. როდესაც მდგომარეობის პრევალირება დაბალია, ტესტის დადებითი პროგნოზული ღირებულება მცირეა. როდესაც პრევალირება მაღალია, ტესტის მგრძნობელობა, სპეციფიკურობა და დადებითი პროგნოზული ღირებულება მაღალია, ხოლო უარყოფითი პროგნოზული ღირებულება ნელის ტოლია. ამ მიმართულებით მუშაობის გასაგრძელებლად გაეცანით ცხრილს პრევალირებასა და პროგნოზულ ღირებულებაზე და ივარჯიშეთ ანგარიშში.

პრევალირება და პროგნოზული ღირებულება

ამ პრინციპებს ასახავს ორი მაგალითი და გირჩევნიათ, როგორ ცვალებადობს პროგნოზული ღირებულება პრევალირებასთან ერთად. პირველად განიხილეთ ნახმოსახვითი პოპულაცია A (მაგალითი 1), სადაც 1 000 ადამიანია. ამ პოპულაციაში დაავადების პრევალირება *X* არის მაღალი – 40%. შეგიძლიათ სწორად იანგარიშოთ, რომ 400 ადამიანს აქვს *X*. ამის შემდეგ ეს შემთხვევები უნდა შეამოწმოთ ტესტით, რომლის მგრძნობელობა 90%-ია და სპეციფიკურობა – 80%. *X*-ით 400 ადამიანის გამოკვლევამ გამოავლინა 90 × 400, ანუ 360 (ჭეშმარიტი-პოზიტიური). ეს არ შეესაბამება დარჩენილ 40-ს (400 - 360, ცრუ უარყოფითი). იმ 600 პირისთვის, რომლებსაც *X* არ აღენიშნებათ, ტესტი ან გამოკვლევა უარყოფითია 80 × 600, ანუ 480. როგორც გამოკვლევა აჩვენებს, ეს პირები *X*-სგან ჭეშმარიტად თავისუფალი არიან (ჭეშმარიტად უარყოფითი). მაგრამ გამოკვლევა შეცდომაში შეგიყვანთ 120 (600-480) შემთხვევაში. ამ პირებს აღენიშნებათ *X*-ის ცრუ არსებობა, მაშინ, როდესაც სინამდვილეში არ გააჩნიათ (ცრუ დადებითი). ეს მონაცემები ჭეშმარიტია მეჯამებელი.

მაგალითი 1. *X* დაავადების პრევალირება = 40%
X დაავადება (ოქროს სტანდარტის მიხედვით)



ჰიევალიება და ჰიპობნოზული ღიხებულება (გაგრძელება)

ჩოგორც ვიცით, ჩომელმაც ის იცის, ჩვილებად ვის აქვს ან არ აქვს X დაავადება, თქვენ იმყოფებით დაღებითი გამოკვლევების მქონე 400 ადამიანის ჰიჩისჰის. უნდა ვცადოთ, გაარჩიოთ ცრუ და ჭეშმარიტად დაღებითი შედეგები და მოიხმაროთ შესაბამისი მონაცემები. ჩოდესაც გამოკვლევის მგრძნობელობა და სპეციფიკურობა გაქვთ მოცემული, შეგიძლიათ განსაზღვროთ ალბათობა, ჩომ დაღებითი გამოკვლევა ჰის ჭეშმარიტად დაღებითი; ყოველივე ეს გამოკვლევებში უნდა ახსნათ ავადმყოფებში. ალბათობა შემდეგნაჩად გამოითვლება:

დაღებითი ჰიპოგნოზული ღიხებულება = a/a+b = ჭეშმარიტად დაღებითი (360)/ საერთო დაღებითი (360+120) × 100 = 75%

ამჩიგად, დაღებითი გამოკვლევის მქონე ოთხი ავადმყოფიდან სამს ჩვილად აქვს დაავადება, ხოლო ერთს – არა.

ასევითვე ანგარიშით შეგიძლიათ დაადგინოთ ალბათობა იმისა, ჩომ უარყოფითი გამოკვლევა ჭეშმარიტად უარყოფითია.

უარყოფითი ჰიპოგნოზული ღიხებულება = d/c+d = ჭეშმარიტად უარყოფითი 480)/ საერთო უარყოფითი (40+480) × 100 = 92%

ვინაიდან პოპულაციაში დაავადების ჰიევალიება მცირდება, დაღებითი გამოკვლევის ჰიპოგნოზული ღიხებულება შესაბამისად მცირდება, ხოლო უარყოფითის – იზრდება. მეორე მაგალითში განხილულია სხვა პოპულაცია B, ჩომელშიც შედის 1 000 ჰირი და მათ მორის 1%-ს აქვს X დაავადება. ამ შემთხვევაში X დაავადება აღინიშნება 10 შემთხვევაში, ხოლო 990 ადამიანს ეს დაავადება არ აქვს. თუ ეს პოპულაცია ისევე შეჩერული, ჩოგორც წინა, ჩომელსაც აქვს 90%-იანი მგრძნობელობა და 80%-იანი სპეციფიკურობა, შედეგები ასეთი იქნება:

მაგალითი 2. X დაავადების ჰიევალიება = 1%
X დაავადება (ოქროს სტანდარტის მიხედვით)



ეხლა დავხაროთ 207 ადამიანის ჰიჩისჰის (ყველას აქვს დაღებითი გამოკვლევა), ჩათა 10 ჩვილური შემთხვევიდან დაადგინოთ 9. დაღებითი გამოკვლევის ჰიპოგნოზული ღიხებულება მხოლოდ 4%-ია. თუკი ეს მისაღებად იქნება, მნიშვნელოვნად დაგხმარებათ თქვენი გამოკვლევის სპეციფიკურობის გაუმჯობესება მგრძნობელობის დაქვეითების გარეშე. მაგალითად, თუ შეგიძლიათ გამოკვლევის სპეციფიკურობა 80-დან 98%-მდე გაზარდოთ (იგივე ჰიევალიება 1% და მგრძნობელობა 90%), გამოკვლევის დაღებითი ჰიპოგნოზული ღიხებულება გაუმჯობესდება 4-დან 31%-მდე – არა არის იდეალური, მაგრამ გაცილებით უკეთესია. ჯარი გამოკვლევის ან ტესტის მგრძნობელობა და სპეციფიკურობა 90%-ია.

ვინაიდან პიევაღიჩება ძღიეჩ მოქმედებს გამოკვღევის პჩოგნოზუღ ღიჩებუღებაზე, იგი ასევე იმოქმედებს შეფასების პჩოცესზე. ახსებითად, გუღის იშემიუჩი დაავადება სამუაღო ასაკის მამაკაცებში უფჩო ხშიჩია, ვიდჩე ახაღგაზჩდა ქაღებში, ამის გამო გუღმკეჩდის ახეში ტკივიღის მიზეზად უფჩო მეტად სტენოკაჩდია უნდა მივიჩნიოთ. პიევაღიჩების გავღენა პჩოგნოზუღ ღიჩებუღებაზე ხსნის, – თუ ჩატომ ახის უკეთესი სწოჩი დიაგნოზის დასმის თქვენი შანსი, ჩოდესაც გუღისხმობთ ხშიჩ მდგომაჩეობას და ახა იშვიათ შემთხვევას. ცხეღების, თავის ტკივიღის, კუნთების ტკივიღის და ხვეღის კომბინაციას დაახღოებით ეითნაიჩი მგჩძნობეღობა და სპეციფიკუჩობა აქვს გიპისთვის ეითი წღის განმავღობაში, მაგჩამ ამ სიმპტომების გამოყენებით სწოჩი დიაგნოზის დასმის შანსი უფჩო დიდია ზამთჩის პეჩიოდში, – გიპის ეპიდემიების დჩოს, ვიდჩე აგვისტოში.

პიევაღიჩება მნიშვნეღოვნად ცვაღებადობს ჯინიჯის პჩოფიღის, ისევე ჩოგოჩც სეზონის მიხედვით. ქჩონიკუჩი ბჩონქიტი ჰემოპტოეს ყველაზე შესაძღო მიზეზია ზოგადი პჩოფიღის ჯინიჯის პაციენტებს შოჩის. ონკოღოგიუჩ ჯინიჯაში მესამე საფეხუჩის ცენტჩში მიზეზების ჩამონათვაღის თავში ფიღტვის კიბო დგას, მაშინ, ჩოდესაც ქჩონიკუჩად ჯინიჯაში პოსტ-ოპეჩაციუჩ პაციენტებში მიზეზი ენდოტჩაქეეი მიღით გაღიზიანება ან ფიღტვის ინფაჩქტია. ახიის ზოგიეით ქვეყანაში პიჩველ ჩიგში შეიძღება იფიქჩოთ ფიღტვის ტჩემატოდაზე.

შემთხვევის აბება: ჯინიჯუჩი ბანჩილვის და შეფასების შეჩნყმა ჯინიჯუჩ მონასემებთან.

მგჩძნობეღობა და სპეციფიკუჩობა მოგეხმაჩებათ მონაცემების შეგჩოვებასა და ანაღიზში. ეს მახასიათებღები საფუძვღად უდევს გამოკითხვის ძიჩითად მეთოდებს. მაღაღი მგჩძნობეღობის მქონე შეკითხვები, ჩომეღზედაც დადებითი პასუხია გაცემეეი, სკჩინინგისთვის და მოსაზჩების დამადასტუჩებეღი ფაქტების მოგჩოვებაში დაგეხმაჩებათ. მაგაღითად, "ხომ ახ გჩძნობთ გუღის ახეში ტკივიღს ან დისკომფოჩტს?" სტენოკაჩდიის დიაგნოსტიკისთვის მაღაღმგჩძნობიაჩე კითხვაა. ამ მდგომაჩეობაში მყოფი პაციენტისთვის შეიძღება ცკჩ უაჩყოფითი შედეგის მციჩეოდენი შანსი ახსებობდეს. ამგვაჩად, ეს დამაკმაყოფიდებეღი კითხვაა პიჩველი სკჩინინგისთვის. თუმცა, ვინაიდან გუღის ახეში ტკივიღს მჩავაღი მიზეზი შეიძღება ჰქონდეს, კითხვა ახ ახის სპეციფიკუჩი. სტენოკაჩდიის მგჩძნობიაჩე ნიშნები, – ტკივიღი, ჩომეღიც მკეჩდის ძვღის უკანა ღოკაღიზდება, მოქეჩითია და ხანგჩძღივობა 10 წთ-ზე ნაკეები, დიაგნოსტიკუჩ ფაქტებს უნდა დაემატოს. თქვენი მოსაზჩების დადასტუჩებისთვის დადებითი პასუხის შემთხვევაში უფჩო სპეციფიკუჩი კითხვა იქნება "უკავშიჩდება თუ ახა ტკივიღის განვითაჩება დატვიჩთვას?" ან " ქჩება თუ ახა ტკივიღი მოსვენებისას?"

ჰიპოთეზების შემოწმება, ასევე, შესაძღებეღია ჯინიჯუჩი კვეკვის მონაცემებით. გუღის შეიღები სხვადასხვა მგჩძნობეღობისა და სპეციფიკუჩობის მქონე სიმპტომების კაჩგი მაგაღითია. აოჩტის სტენოზის მქონე ავადმყოფთა უმჩავეღსობას აღენიშნება სისტოღუჩი შეიღი აოჩტის მოსასმენ წეჩტიღში. აოჩტის სტენოზის დჩოს სისტოღუჩი შეიღი მაღაღმგჩძნობიაჩე სიმპტომია, ჩაგან შემთხვევათა უმეტესობაში აღინიშნება. ცკჩ უაჩყოფითი შედეგი ძაღიან დაბაღია. ამავე დჩოს, სისტოღუჩი შეიღი ბევჩი სხვა მდგომაჩეობის დჩოს ვითაჩდება, ჩოგოჩიცაა სისხღის დინების მომატება ნოჩმაღუჩი საქვეღების ახსებობისას, ან ასაკით გამოწვეეი საქვეღების სკეეოზეი დაზიანება (აოჩტის სკეეოზი); აღნიშნეღის გამო სისტოღუჩი შეიღი ახ ახის ძაღზე სპეციფიკუჩი ნიშანი. აოჩტის სტენოზის


დიაგნოსტიკისთვის მხოლოდ სისტოლური შეიცის გამოყენება ცუე დაღებითი შედეგის გაზრდას გამოიწვევს. ამავდროულად, მაღალი ტონალობის, ნაზი დეკრესჩენდო დიასტოლური შეიცი, რომელიც ყველაზე ხშირად მოისმინება მკერდის ძვლის მარცხენა კიდესთან, აორტის რეგურგიტაციის სპეციფიკური ნიშანია. ასეთი ტიპის შეიცი არასდროს არ მოისმინება ჯანმრთელებში და ძალზე იშვიათია სხვა მდგომარეობების დროს, ამიტომ ცუე დაღებითი შედეგი ძალიან დაბალია.

ანამნეზის და ჯლინიკური ჯვლევის მონაცემების კომბინირება საშუალებას მოგცემთ შეამონმოთ თქვენი ჰიპოთეზა და დამატებითი გამოკვლევების ჩატარებამდე დასვათ დიაგნოზი. განიხილეთ ჩამოთვლილი ფაქტები: ხველა, ცხელება, შემცივნება, პლევრიტით გამონვეული ტკივილი გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში, მოყრუება და ხმიანი მარცხნივ ფილტვის ქვემო ნილში, ბრონქული სუნთქვა და ეგოფონია. ხველა და ცხელება პნევმონიის სკრინინგისთვის კარგი ნიშნებია, შემდეგი ნიშნები ამყარებს ამ მოსაზრებას, ხოლო ბრონქული სუნთქვა და ეგოფონია ნილოვანი პნევმონიისთვის ძალზე სპეციფიკური ნიშნებია. დიაგნოზს გულ-მკერდის ჩენტგენოგრაფია დაგიდასტურებთ.

ზოგიერთი სიმპტომის და ნიშნის არარსებობა ასევე დაგეხმარებათ დიაგნოსტიკაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ აღინიშნება ხოლმე მოცემულ მდგომარეობაში (მათი მგრძნობელობა მაღალია). მაგალითად, თუ ავადმყოფს ხველით და პლევრული ტკივილით გულ-მკერდის მარცხენა მხარეს არ აღენიშნება ცხელება, ნაკლებად სავარაუდოა ბაქტერიული პნევმონიის არსებობა (გამონაკლისს ნარმოადგენს ახალშობილებისა და ხანდაზმულების შემთხვევები). ისევე, როგორც მძიმე ქრონიკის მქონე ავადმყოფებში, რომელთაც არ აღენიშნებათ ორთოპნოე, ნაკლებად სავარაუდოა, ქრონიკის არსებობა მარცხენა პარკუჭის უკმარისობით იყოს გამონვეული.

გამოცდილი ექიმები მსგავს ლოგიკას იმ შემთხვევებში მიმართავენ, როდესაც არ იცვან მათი სტატისტიკური საფუძველი. როგორც კი პაციენტი ძირითად ჩივილებს აღნერს, ისინი ინყებენ ნინასწარი მოსაზრების ჩამოყალიბებას, შემდგომ ეტაპზე აყალიბებვის, ხოლო ანამნეზის შეგროვებისა და გამოკვლევის პროცესში დანარჩენს უარყოფენ. ძირითადი დაავადების ჩამოყალიბებაში ისინი იყენებენ ისეთი პარაგრაფების მონაცემებს, როგორიცაა დაავადების ანამნეზი, ოჯახური ანამნეზი და სისტემების მიმოხილვა. 55 ნლის მამაკაცის გასინჯვისას, გულის არეში ტკივილით, გამოცდილი ექიმი მხოლოდ ტკივილის მახასიათებლებზე არ შეჩერდება; იგი შეისნავლის გულის იშემიური დაავადების რისკ-ფაქტორებს (ოჯახური ანამნეზი, ჰიპერტენზია, დიაბეტი, ლიპიდური ცვლის დარღვევა, თამბაქოს მოხმარება). ანამნეზსა და ჯლინიკურ გამოკვლევაში ექიმი გულის იშემიური დაავადების სხვა გამოვლინებებს ეძებს; მათ რიცხვს განეკუთვნება გულის შეგუბებითი უკმარისობა, ხანგამოშვებითი ბოჭკობა, პულსაციის შემცირება ქვემო კიდურებზე, პერიფერიული სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაზიანება. მოსაზრებების შექმნით და შემდგომი გამოკვლევებით გამოცდილი ექიმი მოპოვებული მონაცემების ეფექტურობის და მნიშვნელობის შეფასებას აუმჯობესებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი თხრიან პატარა საბადოს, მაგრამ პოულობენ მეტ ოქროს.

ქვემოთ დიაგრამაზე მონაცემების შეგროვების და მოსაზრებების შემონმების თანმიმდევრობა არის მოცემული.



გეგმის განხორციელების შემდეგ ჰოცესი მეორდება. ექიმი აგროვებს მეტ მონაცემს, აფასებს ავადმყოფის მდგომარეობას, თუ საჭიროა ცვლის ჰორბელემების რამონათვალს და, შესაბამისად, გეგმასაც. შეფასება და მონაცემების შეგროვება უფრო თავისუფალი ხდება გამოცდილების შეძენისას; ამასთანავე, იზრდება ჯერითჯერი მსჯელობებისა და შეფასებების ღრმებულება, რაც უფრო მრავალმნიშვნელოვანს ხდის პაციენტის მოვლა-მეთვალყურეობას.

ნეჰილობითი დოკუმენტაციის შექმნა ავადმყოფის შესახებ

ავადმყოფის შესწავლისას ჯერითჯერი დოკუმენტაციის სწორად და გარკვევით ჩამოყალიბება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. თქვენმა ჩვენებმა ავადმყოფის ისტორიის და ჯერითჯერი გამოკვლევების ჩატარებაში შესაძლოა ერთდროულად შეუწყოს ხელი ცოდნის გაღრმავებას ჯერითჯერ მსჯელობაში, ავადმყოფის *შესწავლასა* და მკურნალობის *გეგმის* შემუშავებას. თქვენი მიზანი ნათელი, ლაკონური, მაგრამ ყოვლისმომცველი ჩანაწერის გაკეთება უნდა იყოს, რომელიც გასაღები იქნება თქვენი ავადმყოფის შესასწავლად; ამავდროულად, ჩანაწერის საშუალებით ავადმყოფის ჰორბელემას ხელმძღვანელი და ავადმყოფის სამკურნალო ჯგუფის წევრები გაეცნობიან. გახსოვდეთ, – კარგად შესრულებული ჩანაწერი დახმარებაა ჰორბელემებისა და დიაგნოზის დასაზუსტებლად.

თქვენგან დამოკიდებულად, გარკვეული წესები კარგი ჩანაწერის შექმნაში დაგეხმარებათ. განსაკუთრებით ეცადეთ, რომ ჩანაწერი იყოს თანმიმდევრული და ადვილად გასაგები; ასევე, საჭირო დეტალები საკმარისი ჩარდენობით უნდა ფიქსირდებოდეს. როგორც სტუდენტი, თქვენ შეგიძლიათ იყოთ (ან უნდა იყოთ) საკმაოდ დეტალური. აღნიშნული დაგეხმარებათ გააღრმავოთ თქვენი ნარმოსახვის უნარი, ლექსიკონი, და დაარკვიოთ ყველასთვის ნაცნობი არასასიამოვნო და დამღლელი ჰოცესი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, – საბოლოო ჯამში დროის შეკვეცა გარკვეულ კომპრომისს მოითხოვს.

თქვენი დოკუმენტის სისწორის, ინფორმატიულობისა და ადვილად გაცნობის დარწმუნების მიზნით, ერთხელ კიდევ გადაავლეთ თვალი მოცემულ ჩამონათვალს.

ჩამონათვალი თქვენს ავადმყოფის დოკუმენტაციისთვის

გასაგებია თუ არა თანმიმდევრობა?

თანმიმდევრობა აუცილებელია. დარწმუნდით, რომ მომავალში მკითხველი, თქვენი ჩათვლით, ადვილად მიაგნებს ინფორმაციის სპეციფიკურ პუნქტებს. მაგალითისთვის, აილეთ სუბიექტური ნიშნები ავადმყოფობის ისტორიიდან; არ დაუშვათ, რომ ისინი ჯერითჯერ მარცვენებლებს შეერიოს.

– გარკვევით გაკეთეთ სათაური?

– გაკეთეთ თუ არა აქცენტი მთავარ საკითხებზე და გამოკყავით თუ არა ისინი?

– განათავსეთ თუ არა მიმდინარე დაავადება ქრონოლოგიურად, დაიწყეთ მიმდინარე ეპიზოდებით და არა ფონური ინფორმაციის მნიშვნელოვანი შეგძნებებით?

შეკრიბეთ თუ არა მონაცემები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს შეფასებაზე?

გამოკყავით თქვენი სავარაუდო ჰორბელემის ან დიაგნოზის ლოგიკური, ასევე ნეგატიური დამხმარე ფაქტები.

ჩამონათვალი თქვენი ავადმყოფის დოკუმენტაციისთვის (გაგრძელება)

სპეციფიკურად არის თუ არა აღნერილი ავადმყოფის ნეგატიური თავისებურებები? ხშირ მემთხვევამი ავადმყოფის ისტორიის პონკრეტული ნაწილები ან გამოკვლევები სამედიცინას გვაძლევს გამოვავლინოთ ნორმიდან გადახრები, ან მათი განვითარება მოცემულ არეში.

ავადმყოფებისთვის ხელსაყრელი სისხლჩაქცევით, ჩანაწერში "პაციენტის გადახრები" (ეარყოფითი), გამოჰყავით ისეთი ფაქტები, როგორიცაა ქრონიკობა, ძლიერების ნიშნები, შემკვიდრეობითი დარღვევები სისხლის შედედების მხრივ, ან სისხლჩაქცევების გამომწვევი კვებითი დეფიციტი.

ავადმყოფებისთვის, რომლებიც არიან დეპრესიულნი, მაგრამ არა აქვთ მიღებული სერიოზულად, ჩაინიშნეთ ორივე ფაქტი. ავადმყოფებში, რომელთაც გენებ-განწყობის ცვალებადობა აღნიშნებათ, სერიოზის ვარიაციები აქვთ არის.

არის თუ არა გამოკვეთილი მნიშვნელოვანი ფაქტები?
დაიმახსოვრეთ, ფაქტების დაფიქსირებლობა მათ დაკარგვას ნიშნავს. მთავარი ის კი არ არის, თუ როგორ გასწავთ დეტალები დღეს, არამედ ის ფაქტი რომ შესაძლოა, რამდენიმე თვის შემდეგ აღნიშნული ფაქტები ვეღარ გაიხსენოთ. თქვენს მიერ ჩანაწერი ფარგლა – "ნევროლოგიური გასინჯვა ეარყოფითი", რამდენიმე თვის შემდეგ გაფიქრებინებთ "ნამდვილად გამოვიკვლიე თუ არა მგრძნობელობა?"

არის თუ არა ზედმეტი დეტალები?
ეცადეთ, მნიშვნელოვანი ინფორმაცია დიდი რაოდენობით დეტალებს მორის არ მოაქციოთ. გამოკვეთეთ ეარყოფითი ნიშნების ემეტესობა. რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ავადმყოფის ჩივილებთან ან დიაგნოსტიკურ მეფასებასთან. ნე ჩამოთვლით იმ მონაცემებს, რომლებიც არ გამოგადგებათ. ყურადღება გაამახვილეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა "შეიღები არ აღინიშნება" და ეცადეთ სტრუქტურები მოკლედ და დადებითი მხრიდან იყოს აღნერილი. შეგიძლიათ გამოკოვოთ თქვენს მიერ გასინჯული ზოგიერთი სტრუქტურა, მაგ. ნორმალური ნარბები და ნამნამები.

"ყველი ვარდისფერია და გლევი" ნიშნავს, რომ ვერ ხედავთ სინითლეს, წყლულს, კვანძს. კისტას, სიმაგრეს, ან სხვა დაზიანებას, ეს აღნერილობა ეფორ მოკლეა და კარგად დანერილი.


მესაბამისად არის თუ არა გამოყენებული ფარზები და სიტყვები?
გამოკოვეთ არასაჭირო სიტყვები, როგორც მაგალითებში ფრჩხილებშია ნაჩვენები. ამით დაზოგავთ დროს და ადგილს.
"ყველი ვარდისფერია", "პერესიით ფილტვებში ნათელი ხმიანობაა", "პალპაციით ღვიძლი მტკივნეულია", "ორივე მხარეს (მარჯვნივ და მარცხნივ) ყურებში გოგირდის საცობია". "მოსმენით II/IV სისტოლური მეილი", "გულ-მკერდი სიმეტრიულია (ორივე მხარეს)."


გამოკოვეთ განმეორებადი ფარზები, როგორიცაა "ავადმყოფი არ აღნიშნავს . . .", ვინაიდან ეს ანამნეზის მიმდინარეობამი იგულისხმება. გრძელი გამონათქვამების მაგივრად მოკლე სიტყვები გამოიყენეთ და არჩევანი გააკეთეთ ეითი და იგივე მნიშვნელობის სიტყვებიდან ("შეხება" და "პალპაცია" ან "მოსმენა" და "აუსკულტაცია").

ალწერეთ ის, რაც გამოიკვლიეთ და არა ის, თუ რა გაკეთეთ. "რანს მხედველობის ნერვის დისკი" ნაკლებად ინფორმატიულია, ვიდრე "მხედველობის ნერვის დისკის კიდეები მკვეთრია", რადგან ეს გამოკვლევის რატიფიკაციაზე და არა უბრალო თვალის შეკრებაზე მიუთითებს.

თქვენი ჩანაწერი მოკლეა? ზედმეტად ხომ არ იყენებთ აბრევიატურებს?
ჩანაწერი მეცნიერული და ოფიციალური დოკუმენტია, ამიტომ ის სწორი და გასაგები უნდა იყოს.
ხშირია ნინადადებების მაგივრად სიტყვების და ფრაზების გამოყენება, მაგრამ აბრევიატურები და სიმბოლოები უნდა გამოიყენოთ მხოლოდ მაშინ, თუ მათი გაგება შესაძლებელია.
ასევე, მოკლე დასკვნებთან შედარებით მსატვრული სტილი ნაკლებად მისაღებია.

გამოყენებულია თუ არა დიაგრამები და ზუსტი გაზომვები საჭიროების შემთხვევაში?
დიაგრამების დახატვა უფრო გასაგებს ხდის ჩანაწერს.





ზრის ზუსტი განვითარებისა და მდგომარეობის უზრუნველყოფისთვის, გაზომვები სანტიმეტრებში ანარმოეთ, ხოლო ზომა არ შედარებით მაგ. ხილს, თხილს, ბოსტნეულს.

"1[] 1 სმ ზომის ღიმფური ჯვანძი" და არა "ბარძის მარცვლის ზომის ღიმფური ჯვანძი" ან "2×2 სმ სიმაგრე ჰოსპიტალის მარცხენა ნიკში" და არა "ჯაჭვის ზომის სიმაგრე ჰოსპიტალში".

ჩანაწერის ტონი ნეიტრალურია თუ ოფიციალური?

ძალზე მნიშვნელოვანია ობიექტურობა. ჩანაწერში არ უნდა იყოს მტრული, დამრიგებლური ან გამჭვირვალე გამონათქვამები. არასდროს გამოიყენოთ გამაღიზიანებელი და დამამცირებელი სიტყვები, გაუჯვეველი ხელნერა და პუნქტუაცია.
ისეთი კომენტარები, როგორიცაა "ავადმყოფი მთვრალია და ჯერაც დატოვა ჭირნიჯა" არაპროფესიულია და სხვებისთვის ცუდი მაგალითის მიმცემი. ასევე, სირთულეს შექმნის სამართლებრივ სიტუაციაში.

თქვენს ორგანიზაციას ან სააგენტოს შეიძლება ჰქონდეს ავადმყოფობის ისტორიის ნიმუში, მაგრამ ყოველთვის ენდა ეცადოთ თქვენი საკუთარი დოკუმენტი შექმნათ. ქ-ნ ნ-ის ჩანაწერი შეიძლება იმაზე დიდი იყოს, ვიდრე პაციენტის ბახათში ნახავთ, ის ან ასახავს ყველა კითხვას და მეთოდს, რაც თქვენ გესაჭიროებათ. დეტალების ოდენობა ცვალებადობს, რაც ავადმყოფის სიმპტომებსა და ნიშნებზე და დიაგნოზის და მისთვის გეგმის სირთულეზე ახის დამოკიდებული.

პრობლემის სიის შექმნა. როდესაც თქვენს ახჩებს და ჩანაწერს დააკომპლექტებთ, ნახავთ, რომ *პრობლემების სიის* შექმნა ავადმყოფის პრობლემების შეჯამებაში დაგეხმარებათ ოფისის ან საავადმყოფოს ბახათისთვის. პირველ რიგში, *ჩამოთვალეთ ყველაზე აქტიური და სერიოზული პრობლემები და ჩანერეთ მათი განვითარების თარიღი.* ზოგიერთი ექიმი მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემებისთვის სიას ცალ-ცალკე ქმნის; სხვები სიას თანმიმდევრობით ქმნიან, – პიროორიტეტების მიხედვით. ნახავთ, რომ შემდგომი ვიზიტებისას, *პრობლემების სია* ისეთი დეტალების გახსენებაში დაგეხმარებათ, რომელზედაც ავადმყოფს ყურადღება არ გაემახვილებია. *პრობლემათა სია* აგრეთვე საშუალებას აძლევს ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესებული პირებს, თვალის ერთი გადავლებით განსაზღვრონ დაავადების სტატუსი.

ქ-ნი ნ-ის *პრობლემათა სიის* ნიმუში, რომელიც ადრე იყო ნახსენები. თქვენ შეგიძლიათ დანომრილთ პრობლემები და ეს ნომრები გამოიყენოთ მოგვიანებით ჩანაწერებში სპეციფიკური პრობლემების სახით.

პრობლემების სიის ნიმუში

თარიღი	პრობლემის №	პრობლემა
1/30/06	1	მაკრი
	2	სისხლის ნნევის მომატება
	3	ცისტოსკოპი შესაძლო სტრესული შეკავებლობით
	4	ქარხნი ნონა
	5	სტრესული სიტუაცია ოჯახში
	6	ტკივილი ნელის არეში
	7	თამბაქოს ქარხნი მოხმარება
	8	ვენების ვარიკოზი
	9	ანამნეზში მარჯვენამხრივი პიელონეფრიტი
	10	ალერგია ამპიცილინზე
	11	ჯანმრთელობის შენარჩუნება

ერთი და იგივე პაციენტისთვისაც კი ექიმები განსხვავებულად აღგენენ პრობლემათა სიას. თქვენი სია ქ-ნი ნ-ისთვის, შეიძლება ზემოთ მოცემულისგან ოდნავ განსხვავებული იყოს. ჩაინიშნეთ, ეს პრობლემები შესაძლოა სიმპტომების, ნიშნების ან მდგომარეობის გამომხატველი იყოს. კარგად შედგენილი სიები ვარიანტებით, სიგრძით და დეტალებით, რასაც განაპირობებს ექიმის ფილოსოფია, სპეციალობა და მისი, როგორც პროვაიდერის, როლი. ნაჩვენები სია მოიცავს პრობლემებს, რომლებსაც ყურადღების მიქცევა ესაჭიროება; ასეთია მაგ. თავის ტკივილი, როგორც პრობლემა, რომელსაც ესაჭიროება დაკვირვება და ყურადღების მიქცევა. ასევეა სისხლის ნნევა და ცისტოსკოპი. ჩამონათვალში მითითებული ალერგია ამპიცილინზე გაფრთხილებთ, რომ პენიცილინის ჯგუფის მედიკამენტები არ ენდა დანიშნოთ.

ანამნეზის და კლინიკური გამოკვლევის ზოგიერთი ნიშანი, როგორიცაა დაჩიჩქნებული ქჩილობა ან მკვრივი განავალი, არ არის პირობელების ამ ჩამონათვალში. ამის მიზეზი მათი სიხშირეა. ასეთი დასკვნა არასწორია. თუმცა, პირობელების ჩამონათვალში დაჯგუფებულია შედარებით უმნიშვნელო ნიშნები კლებადი ღირებულებით. ზოგი ექიმი თვლის, რომ ჩამონათვალი ძალიან გრძელია. სხვები შეიძლება უფრო ლაკონურები იყვნენ ისეთ პირობელში, როგორიცაა "ოჯახური სტრესი" ან "ვენების ვარიკოზი".

შემდგომი განვითარების ჩანერა. ერთი თვის შემდეგ ქ-ნ ნ მოვიდა განმეორებით გასინჯვაზე. შემდგომი განვითარების აღნერის სტილი მრავალფეროვანია, მაგრამ მაინც იგივე სტანდარტულ საფეხურებს მივყვება, რაც პირველადი გასინჯვის დროს გამოიყენება. ჩანანერი უნდა იყოს ზუსტი, დეტალური და ადვილად წასაკითხი. მასში ასახული უნდა იყოს თქვენი კლინიკური აზროვნება, შეფასების სქემა და გეგმა. მომდევნო ჩამონათვალი გაკეთებულია SOAP (Subjective-სუბიექტური; Objective-ობიექტური; Assessement-შეფასება; Plan-გეგმა) ფორმატში. მიზანმიმართულად ავადმყოფზე ორიენტირებული ჩანანერის გასაკეთებლად სხვა მეთოდებიც არსებობს[7]. ზოგიერთი ექიმი ჯერ ანამნეზსა და კლინიკური გამოკვლევის მონაცემებს წერს, შემდგომში კი შეფასებას და გეგმას.

SOAP-ნიმუში

შაკიკი

S : თავის ტკივილი ჰქონდა მხოლოდ ორჯერ; ორივე შემთხვევაში ტკივილი სუსტი იყო და სხვა ჰაიმე სიმპტომები არ ვლინდებოდა. ტკივილი არ უქმნის განსაკუთრებულ პირობელს. არ შეუძლია გამომნვევი ფაქტორების დასახელება.
O: საფეთქლის ჯუთის არეში ტკივილი არ აღნიშნება. მხედველობის ნერვის დვრილი შეშუპებული არ არის
A: შაკიკი გაუმჯობესდა. ამჟამად აღნიშნული პათოლოგიის ნიშნები არა აქვს.
P: სიმპტომების განმეორების შემთხვევაში დაიბარეთ განმეორებით.

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ: ᲒᲖᲐ ᲡᲘᲮᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ავადმყოფის შესწავლის პროცესი ჰამოდენიმე შესვედრის განმავლობაში გრძელდება. პაციენტზე მზრუნველობის უნარი თანდათანობით იხვეწება და ღრმავდება მთელი თქვენი კლინიკური კარიერის პროცესში. ანამნეზის შეკრების, კლინიკური გამოკვლევის, კლინიკური აზროვნების, ფაქტებზე დამყარებული დასკვნების გაკეთების და პაციენტის მონაცემთა დოკუმენტირების პროცესი სტატუს იღებს. დგება დრო, როდესაც უნდა დაიწყოთ პერიოდული პრაქტიკული მუშაობა თქვენს ზედამხედველთან ერთად და თანდათან დახვეწოთ ახლად ათვისებული ჩვევები.

CITATIONS

1. Peterson MC, Holbrook JH, Von Hales DE, et al. Contributions of the history, physical examination, and laboratory investigation in making medical diagnoses. West J Med 156:163-165, 1992.
2. Hampton JR, Harrison MJ, Mitchell JRA, et al. Relative contri-butions of history-taking, physical examination, and laboratory investigation to diagnosis and management of medical outpa-tients. BMJ 2:486-489, 1975.
3. McGee S. Evidence-Based Physical Diagnosis. Philadelphia: WB Saunders, 2001.
4. Schncidcnnan H. Bedside Diagnosis. An Annotated Bibliography of Literature on Physical Examination and Interviewing, 3rd ed. Philadelphia: American College of Physicians, 1997.
5. Evidence-Based Medicine Working Group. Evidence-based med-icine: a new approach to teaching the practice of medicine. JAMA 268(17)2420-2425, 1992. [Launched the Rational Clinical Ex-amination Series.]
6. Guyatt G, Rennie 1). Users' Guides to the Medical Literature: A Manual for Evidence:-Based Clinical Practice. Chicago: Amer-ican Medical Association, 2001.
7. Donnely W J. Viewpoint: Patient-centered medical care requires a patient-centered medical record. Acad Med 80(1):33-38, 2005.

ADDITIONAL REFERENCES

Alfaro-LeFevre R. Critical Thinking and Clinical Judgment: A Prac-tical Approach, 3rd ed. St. Louis, WB Saunders, 2004.

Carpenito LJ. Nursing Diagnosis: Application to Clinical Practice,

11 th ed. Philadelphia, Lippincott Williams & Wilkins, 2005.

Cherry B, Jacob SR. Contemporary Nursing: Issues, Trends, and Management, 3rd ed. St. Louis, Elsevicr Mosby, 2005.

Fletcher RH, Fletcher, SW. Clinical Epidemiology: The Essen-tials, 4th ed. Philadelphia, Lippincott Williams & Wilkins, 2005.


Innui TS. Establishing the doctor-patient relationship: science, art, or competence? Schweiz Med Wochenschr 128:225, 1998.

Laditka JN, Laditka SB, Mastanduno MP. Hospital utilization for ambulatory care sensitive conditions: health outcome dis-parities associated with race and ethnicity. Soc Sci Med 57(8):1429-1441, 2003.

Netting SM. The Lippincott Manual of Nursing Practice, 7th ed. Philadelphia, Lippincott Williams & Wilkins, 2001.

Panzer RJ, Bordley DR, Cgppuccio J, et al (eds). Diagnostic Strate-gies in Common Medical Problems, 3rd ed. Philadelphia: Amer-ican College of Physicians, 2006.

Sackett DL. Evidence-based Medicine: How to Practice and Trach EBM, 2nd ed. New York, Churchill Livingstone, 2000.



სექსია II

თავი 4
კლინიკური გამოკვლევის დასაწყისი:
ზოგადი დათვალიერება და სასიცოცხლო ნიშნები

თავი 5
კანი, თმა და ფრჩხილები

თავი 6
თავი და კისერი

თავი 7
გულმკერდი და ფილტვები

თავი 8
გულ-სისხლძარღვთა სისტემა

თავი 9
სარძევე ჯირკვლები და იღლია

თავი 10
მუცელი

თავი 11
მამაკაცის სასქესო ორგანოები და თირკმები

თავი 12
ქალის სასქესო ორგანოები

თავი 13
ყითა, სწორი ნაწლავი და წინამდებარე ჯირკვალი

თავი 14
ჰემიფეხიული სისხლძარღვთა სისტემა

თავი 15
ძვალ-კუნთოვანი სისტემა

თავი 16
ნერვული სისტემა: გონებრივი სტატუსი და ქცევა

თავი 17
ნერვული სისტემა: თავის ტვინის ნერვები,
მოტორული სისტემა,
სენსორული სისტემა,
რეფლექსები

4

ჯერნიჯური გამოკვლევის დასაწყისი: ზოგადი დათვალიერება და სასიცოცხლო ნიშნები

მას შემდეგ, ჩაც გაიარეთ ავადმყოფის ჩივილებს და ყურადღებით შეაგროვებთ ანამნეზს, თქვენ უკვე მზად იქნებით ჯერნიჯური გამოკვლევის დასაწყებად. პირველ ხანებში პაციენტთან ურთიერთობისას შეიძლება ნაკლებად თავდაჯერებული იყოთ. შემდგომში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებასთან ერთად თანდათან გაგივითარებათ ჯერნიჯური გამოკვლევის ჩვევები და უფრო დამაჯერებელი გახდებით. სწავლისა და ვარჯიშის შედეგად გამოკვლევების ჩატარება გაგიადვილდებათ, თანდათანობით თქვენ სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას დაუთმობთ იარაღების ხელში დაჭერაზე და გამოკვლევის ტექნიკაზე ფიქრს და მეტ ყურადღებას დაუთმობთ მოსმენას, დაკვირვებასა და შეგრძნებას. ავადმყოფის სხეულზე შეხება უფრო ბუნებრივი იქნება და ისწავლით, როგორ მიაყენოთ მას მინიმალური დისკომფორტი. თქვენ უფრო მეტად მგრძნობიარე გახდებით ავადმყოფის ჰაქციების მიმართ და საჭიროებისას შეძლებთ თავის დაზღვევას. ცოტა განმავლობაში იმაზე, რაზეც ახლა 1 ან 2 საათი გეხარჯებოდათ, გაცილებით ნაკლები დრო დაგჭირდებათ.





ამ თავში განხილულია ის ჩვევები და ტექნიკა, რომელიც დაგჭირდებათ პირველადი ჯერნიჯური გამოკვლევის დროს. "ანატომია და ფიზიოლოგიის" ნაწილში ნახავთ ინფორმაციას, თუ როგორ გაზომოთ სიმაღლე, წონა და სხეულის მასის ინდექსი (სმი), აგრეთვე ჯვების შეფასების ჩარომენდაციებს. აქ მოცემულია ჯერნიჯური ინფორმაცია ანამნეზისა და ჯანმრთელობის ხელის შენყობის შესახებ. გამოკვლევის ტექნიკის ნაწილში აღწერილია ჯერნიჯური გამოკვლევის პირველი საფეხურები: გამოკვლევისთვის მომზადება, ზოგადი დათვალიერების ჩატარება და სასიცოცხლო ნიშნების შეფასება. ამას მოსდევს ისტორიის შეკრების მაგალითი.

ანატომია და ფიზიოლოგია

ჯერნიჯური გამოკვლევის დაწყებისას თქვენ უნდა შეაფასოთ ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა, გაზომოთ სიმაღლე და წონა. ეს მონაცემები ინფორმაციას მოგანვდით ავადმყოფის ნარჩენობაზე და სხეულის ცხიმის ოდენობაზე. სხეულის ცხიმი ძირითადად შეიცავს ტრიგლიცერიდებს და გროვდება კანქვეშ, მუცლის ღრუში და ქუნთებში. ეს დეპოები

ძნელად იზომება, ამიტომ მნიშვნელოვანია შეუფასოთ თქვენს მიერ გაზომილი წონა და სიმაღლე ნორმის სტანდარტულ საზღვრებს.

ადრე, წონა-სიმაღლის ცხრილები ემყარებოდა სიცოცხლის სადაზღვევო მონაცემებს, რომლებიც ხშირად არ იყო მისადაგებული თამბაქოს მოხმარებასა და წონაზე მომქმედ ფაქტორებს, მაგალითად, მაჭარი დიაბეტს, და იხსნებოდა წონის მომატებისგან. დღესდღეობით იხმარება *სხეულის მასის ინდექსი*, რომლის საშუალებითაც უფრო ზუსტად ისაზღვრება სხეულის ცხიმის ჩაოდენობა. სმი-ს სტანდარტები დადგენილია ორი ჯგუფით: ჯანმრთელობის შესწავლის ეროვნული ჯგუფით, რომელიც მოიცავს სამ ციკლს, ჩატარებულს 1960-1970 წლებში და ჯანმრთელობის და ჯგების ეროვნული ჯგუფით, რომელიც, აგრეთვე, მოიცავს სამ ეტაპს, ჩატარებულს 1970-1990 წლებში.

აშშ მოზრდილთა ნახევარზე მეტს ჭარბი წონა აქვს (სმი>25) და დაახლოებით ერთ მეოთხედს აქვს სიმსუქნე (სმი>30), ამიტომ ავადმყოფთა სმი-ის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ჭარბი წონა ან სიმსუქნე ნარმოადგენს მაჭარი დიაბეტის, გულის დაავადებების, ინსულტის, ჰიპერტენზიის, ოსტეოართრიტის, ძილის აპნოეს სინდრომისა და ზოგიერთი ავთვისებიანი სიმსივნის რისკ-ფაქტორს. გახსოვდეთ, რომ სმი-ის ჯერტეხილები არ არის მყარი მოდების ნერტილი, ისინი ნარმოადგენენ რისკის ზრდის ჰეტეროგენულობას. გაითვალისწინეთ, რომ 65 წელს ზემოთ პირებს, ახალგაზრდებთან შედარებით, ნაკლებობის შემცირების არაპროპორციული რისკი აქვთ.

ბავშვებში და მოზარდებში სიმაღლე და წონა ასახავს ზრდის და განვითარების ბევრ ქცევით, შემეცნებითსა და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს. განვითარების ეტაპები, მკვეთრი ზრდის ნიშნები და სქესობრივი განვითარების დონეები შეგიძლიათ ნახოთ მე-18 თავში: ~ბავშვების გამოკვლევა: ჩვილიდან მოზარდის ასაკამდე~. ასაკის მატებასთან ერთად ზოგიერთი ეს ნიშანი იცვლება, ეს აღნერილია მე-20 თავში: ხანდაზმული ავადმყოფები. პაციენტის სიმაღლე შეიძლება შემცირდეს, სიარულის დროს იგი შეიძლება მოიხაროს ხერხემლის გულ-მკერდის ნანილის ოსტეოზის გამო და მუხლისა და მენჯის სახსრებში მოძრაობა შეეზღუდოს. შესაძლებელია მუცლის კუნთების მოდუნება, მუცლის ფორმის შეცვლა, ცხიმის დაგროვება მენჯის მიდამოსა და ქვემო კიდურებში. ხანდაზმული ავადმყოფების შესწავლისას ყურადღება დაუთმეთ აღნიშნულ ცვლილებებს.

სმი-ის გამოთვლა. არსებობს სხეულის მასის ინდექსის გამოთვლის ჩამოდენიმე გზა, რაც ნაჩვენებია თანმხლებ ცხრილში. აირჩიეთ თქვენთვის მოსახერხებელი მეთოდი. ამერიკის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტისა და ამერიკის გულის, ფილტვებისა და სისხლის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემებით, ჯანაგად განვითარებული კუნთოვანი სისტემის მქონე პირებს მაღალი სმი აქვთ, მაგრამ ისინი ჯანმრთელებად ითვლებიან[1]. ამავე დროს, გამხდარ ან ნაკლები კუნთოვანი მასის მქონე პირებში იგი შეიძლება შეუსაბამოდ "ნორმული" იყოს.

თუ სმი 35-ზე მეტია, გაზომეთ *წელის გარშემონერილობა*. იგი იზომება პაციენტის ფეხზე დგომისას მენჯის ძვლების ზემოთ. ავადმყოფს აქვს ჭარბად განვითარებული ცხიმოვანი ქსოვილი, თუ:

- ≥ 88 სმ ქალებისთვის
- ≥ 100 სმ მამაკაცებისთვის

■ *სხეულის მასის ინდექსის (სმი) გამოთვლის მეთოდები*

ეთიული	გამოთვლის მეთოდი
წონა *ფუნტებში*, სიმაღლე *ინჩებში*	1) სხეულის მასისი ინდექსის სქემა (იხ. ცხრილი ქვემოთ) 2) $\frac{\text{წონა (ფუნტი)} \times 700^*}{\text{სიმაღლე (ინჩი)}}$ $\frac{}{\text{სიმაღლე (ინჩი)}}$
წონა კილოგრამებში, სიმაღლე - მეტრებში	(3) $\frac{\text{წონა (კგ)}}{\text{სიმაღლე (მ}^2\text{)}}$
ორივე	(4) "სმი-გამომთვლელი" მოწოდებულია ვებ-გვერდზე www.nhlbisupport.com/bmi/bmicalc.htm

*მნიშვნელი ორგანიზაცია იყენებს 704.5, მაგრამ სმი ვარიაცია ემნიშვნელოა. გადასაყვანი ფორმულებია: 2.2 ფუნტი = 1 კგ; 1.0 ინჩი = 2.54 სმ; 100 სმ = 1 მეტრს.

■ სხეულის მასის ინდექსი

	ნორმალური						ჭარბწონიანი					მსუქანი									
	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39
სიმაღლე (ინჩები)																					
58	91	96	100	105	110	115	119	124	129	134	138	143	148	153	158	162	167	172	177	181	186
59	94	99	104	109	114	119	124	128	133	138	143	148	153	158	163	168	173	178	183	188	193
60	97	102	107	112	118	123	128	133	138	143	148	153	158	163	168	174	179	184	189	194	199
61	100	106	111	116	122	127	132	137	143	148	153	158	164	169	174	180	185	190	195	201	206
62	104	109	115	120	126	131	136	142	147	153	158	164	169	175	180	186	191	196	202	207	213
63	107	113	118	124	130	135	141	146	152	158	163	169	175	180	186	191	197	203	208	214	220
64	110	116	122	128	134	140	145	151	157	163	169	174	180	186	192	197	204	209	215	221	227
65	114	120	126	132	138	144	150	156	162	168	174	180	186	192	198	204	210	216	222	228	234
66	118	124	130	136	142	148	155	161	167	173	179	186	192	198	204	210	216	223	229	235	241
67	121	127	134	140	146	153	159	166	172	178	185	191	198	204	211	217	223	230	236	242	249
68	125	131	138	144	151	158	164	171	177	184	190	197	203	210	216	223	230	236	243	249	256
69	128	135	142	149	155	162	169	176	182	189	196	203	209	216	223	230	236	243	250	257	263
ვინაიდან თითოეული ღრმა მყესის ჰეფლექსი მოიცავს ზუჭგის ტვინის განსაზღვრულ სეგმენტს თავისი სენსორული და მოტორული ბოჭკოებით, პათოლოგიური ჰეფლექსი დაგეხმარებათ დაზიანების ლოკალიზაციის დადგენაში. დაიმახსოვრეთ ღრმა მყესების ჰეფლექსების სეგმენტური ფონები. ამას ადვილად შესძლებთ, თუ დანომრავთ მზახრი თანმიმდევრობით ჯოჭიდან სამთავიან ჯენთამდე: S1–L2, 3, 4, –C5, 6, 7.

აქილესის მყესის ჰეფლექსი	გავის 1
მუხლის ჰეფლექსი	ნელის 2, 3, 4
სუპინატორის (მხარ-სხივის) ჰეფლექსი	ჯისრის 5, 6
ორთავა ჯენთის ჰეფლექსი	ჯისრის 5, 6
სამთავა ჯენთის ჰეფლექსი	ჯისრის 6, 7

ჰეფლექსის გამოწვევა შესაძლებელია ორგორც ჯენთის, ასევე ჯანის გაღიზიანებითაც. მაგალითად, მუცლის ჯანზე დარტყმა ნარმოშობს აღგილობრივად ჯენთის შეხრევას. ეს ზედაპირული (ჯანის) ჰეფლექსები და მათი შესაბამისი ზუჭგის ტვინის სეგმენტები მოიცავს:

მუცლის ჰეფლექსი – ზედა	გულ-მკერდის 8, 9, 10
– ქვედა	გულ-მკერდის 10, 11, 12
ცრემლსადენის (ფეხისგულის) პასუხი	ნელის 5, გავის 1

მოტორული (მამოძრავებელი) გზმტარი გზები

მოტორული გამტარი გზები მოიცავენ ზედა მოტორულ ნეირონს ღრმოში ან ზუჭგის ტვინში და ქვედა მოტორულ ნეირონს. ნერვული უჯრედების სხეულები ან *ზედა მოტორული ნეირონი* გადის თავის ტვინის ქერქის მოტორულ გზაზე და ღრმოს სხვადასხვა ბირთვებში; მათი აქსონები ეკავშირება სინაფსურად ღრმოს მოტორულ ბირთვებს (თავის ტვინის ნერვები) და ზუჭგის ტვინში (პერიფერიული ნერვები). *ქვედა მოტორულ ნეირონებს* ზუჭგის ტვინში გააჩნიათ უჯრედების სხეულები, რომელთაც წინა ჩქის უჯრედები ენოდებათ. მათი აქსონები გაივლიან წინა ფესვებში და სპინალურ ნერვებში პერიფერიული ნერვებისკენ და ბოლოვდებიან ნერვ-კუნთოვან შეერთებაში.

არსებობს მოტორული გზების სამი სახე, რომლებიც ხვდებიან წინა ჩქის უჯრედებში: კორტიკო-სპინალური ტრაქტი (პირამიდული), ბაზალური განგლიის სისტემა და ნათხემის სისტემა. არსებობს დამატებითი გამტარი გზები, რომლებიც ნარმოიქმნება ტვინის ღრმოში. მათი სამეულებით ხორციელდება ჯიჯგნების მოძრაობის და მდებარეობის მოხრის და გაშლის ტონუსი, რაც ყველაზე კარგად ჩანს ჯომის დროს (იხ. ცხრილი 17-11, გვ. 667)


ძირითადი მოტორული გამტარი გზები

- *კორტიკოსპინალური (პირამიდული) ტრაქტი.* კორტიკოსპინალური ტრაქტის გზით ხორციელდება ნებითი მოძრაობა და დახვეწილი, ხანგრძლივი და ნაზი მოძრაობების ინტეგრაცია ჩიგი ჯუნთების სტიმულაციით და სხვა ჯუნთების ინჰიბიციით. ამ ტრაქტს ასევე მოაქვს იმპულსები, რომლებიც აკვეთებენ ჯუნთების ტონუსს. მცირე ტონუსი შენარჩუნებულია მაშინაც კი, როდესაც ნორმალური ჯუნთი მოდუნებულია. კორტიკოსპინალური ტრაქტი ნარმოიქმნება თავის ტვინის ქერქის მოტორულ ნანილში. მოტორული ბოჭკოები მიემართება ქვევით ქვედა მედულაში, სადაც ნარმოქმნიან ანატომიურ სტრუქტურას, რასაც პირამიდა ენოდება. აქ ბოჭკოების უმეტესობა გადადიან მედულას მოპირდაპირე მხარეს. (გაგრძელება)

ძირითადი მოტორიული ბამტასის ბზები (გაგრძელება)

აგრძელებენ გზას ქვევით და სინაფსით უკავშირდებიან წინა ჰქის უჯრედებს ან შუა ნეირონებს. ტრაქტი სინაფსით უკავშირდება ღეროში თავის ტვინის ნეიკვების მოტორიულ ბირთვებს და ეწოდება *პორტიკობულბური.*

- *ბაზალური განგლიების სისტემა* საკმაოდ კომპლექსური სისტემაა, რომელიც მოიცავს მოტორიულ გზებს თავის ტვინის ქერქს, ბაზალურ განგლიებს, ღეროსა და ზურგის ტვინს შორის. იგი ესმარება კუნთების ტონუსის შენარჩუნებაში და აკონტროლებს სხეულის მოძრაობებს, განსაკუთრებით ფარდო ავტომატურ მოძრაობებს, როგორიცაა სიარული.
- *მერებელური (ნათხემის) სისტემა.* ნათხემი იღებს ორივეს, სუნსორიულ და მოტორიულ სიგნალებს და ათანხმებს მოტორიულ აქტივობას, ინარჩუნებს წონასწორობას და ეხმარება პოზის კონტროლში.



მამოძრავებელი ბზები: პორტიკოსპინალური და პორტიკობულბური ტრაქტები

ყველა ეს უმაღლესი მოტორული გზა მოძრაობაზე მოქმედებს მხოლოდ ქვედა მოტორული ნეირონული სისტემით – ზოგჯერ უწოდებენ "საბოლოო ძირითად გატას გზას". ჰომეოსტატიკურ მოძრაობა, წარმოქმნილი ნებით ქერქში, "ავტომატურად" ბაზალურ განგლიებში ან ცერებელუმში სენსორული ინფორმაციის საფუძველზე მოქმედებად წინა ქერქის უკუკავშირების საშუალებით. ჰომეოსტატიკურ ამ უბნის დაზიანება გამოიწვევს მოძრაობითი ან ცერებელარული აქტივობის შეცვლას.

როდესაც პროტოპლაზმური ტრაქტი ზიანდება ან იშლება, მისი ფუნქცია ქვეითდება ან იკარგება დაზიანების დონის ქვევით. *როდესაც უმაღლესი მოტორული ნეირონული სისტემა დაზიანებულია მოგრძო ტვინში მისი ტრაქტების გადაჯვარედინების ზევით, სანერვულმდებარო მხარეს ვითარდება მოტორიული დაქვეითება. გადაჯვარედინების ქვევით დაზიანება იწვევს სხეულის იმავე მხარეს ან იფსილატერალურად მოძრაობის დაქვეითებას.* დაზარალებული კიდური ხდება ჰიპერრეფლექსური, სპასტიური, ხოლო ნატიფი მოძრაობები მეტად შეფერხებულია სხვა მოძრაობებთან შედარებით.

უმაღლესი მოტორული ნეირონის დაზიანების დროს კუნთების ტონუსი გაზრდილია და ღრმა მყესის რეფლექსები ზედმეტად მომატებულია. უმდაბლესი მოტორული ნეირონის დაზიანების დროს ვითარდება იმავე მხარეს სისუსტე და დამბლა, მაგრამ ამ შემთხვევაში კუნთების ტონუსი და რეფლექსები დაქვეითებულია ან არ არის.

ბაზალური განგლიების სისტემის ან ნათხემის დაავადებების დროს დამბლა არ ვითარდება, თუმცა შეიძლება გამოიწვიოს ინვალიდობა. ბაზალური განგლიური სისტემის დაზიანება ცვლის კუნთების ტონუსს (უფრო ხშირად იზრდება), პოზის და ვარჯიშის დარღვევას, სპონტანური და ავტომატური მოძრაობის შენელებას ან უმოძრაობას, რასაც *ბრადიკინეზია* ეწოდება და სხვადასხვა უნებლიე მოძრაობებს. ნათხემის დაზიანება აქვეითებს კოორდინაციას, ვარჯიშს და წონასწორობას და ამცირებს კუნთების ტონუსს.

III სენსორული (მგრძნობელობითი) გამტარი გზები

სენსორული იმპულსები არა მარტო ცერებელუმის აქტივობაში მონაწილეობენ, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ასევე იწვევს აღქმის შეგრძნებას, ცივილიზაციაში სხეულის მდებარეობის ორიენტაციას და ეხმარება შინაგანი ავტონომიური ფუნქციების ცერებრაციას, როგორიცაა სისხლის ნნევა, გულის რიტმი და სუნთქვა.


სენსორული რეცეპტორების კომპლექსი იმპულსებს აგარებს კანიდან, ღრმოვანი გარსებიდან, კუნთებიდან, მყესებიდან და შინაგანი ორგანოებიდან. სენსორული ბოჭკოები, რომლებიც აღიქვამენ ტკივილს, ტემპერატურას, მდებარეობას და შეხებას, მიემართებიან ზურგის ტვინში და უკანა ფესვებში და შედიან ზურგის ტვინში. როგორც კი მოხვდებიან ზურგის ტვინში, სენსორული იმპულსები მიემართებიან თავის ტვინის ქერქის სენსორულ ნაწილში ერთი ან მეორე გამტარი გზის საშუალებით: სპინოთალამური ტრაქტით ან უკანა სვეტებით.

ერთ ან ორ სპინალურ სეგმენტში, ზურგის ტვინში შესვლისას, *ტკივილის* და *ტემპერატურის* იმპულსების გამტარი ბოჭკოები გაივლიან ზურგის ტვინის უკანა ქერქში და სინაფსით უკავშირდებიან მეორად სენსორულ ნეირონს.

ბოჭკოები, რომლებიც ატარებენ *უხეშ შეხებას* – ჩვენც ალიქვამთ, როგორც მსუბუქ შეხებას, მაგრამ ზუსტი ლოკალიზაციის გარეშე – ასევე მიემართებიან უკანა ჰქონში და სინაფსით უკავშირდებიან მეორად ნეირონებს. მეორადი ნეირონები შემდეგ გადადიან საწინააღმდეგო მხარეს და მიდიან ზევით *სპინოთალამურ ტრაქტში* თალამუსში.

ბოჭკოები, რომლებიც ატარებენ *მდებარეობის* და *ვიბრაციის* იმპულსებს, პირდაპირ მიემართებიან ზურგის ტვინის უკანა სვეტებში და ადიან ზევით მედულაში იმ ბოჭკოებთან ერთად, რომლებიც ატარებენ *მკვრივ შეხებას* – შეხებას, რომელიც ზუსტად არის ლოკალიზებული და მკვრივედ განსხვავებულია. ეს ბოჭკოები სინაფსით უკავშირდებიან მეორად სენსორულ ნეირონებს მედულაში. მეორადი ნეირონებიდან ნამოსული ბოჭკოები გადადიან საწინააღმდეგო მხარეს მედულას დონეზე და აგრძელებენ გზას თალამუსისკენ.


თალამუსის დონეზე აღიქმება მგრძნობელობის ზოგადი ხასიათი (მაგ. ტკივილი, სიცივე, სიმოვნება, უსიამოვნება), მაგრამ მაღალი მგრძნობელობა არ ხორციელდება. სრული აღქმისთვის, მესამე ჯგუფის სენსორული ნეირონები იმპულსებს გზავნიან თალამუსიდან თავის *ტვინის ქერქის სენსორული ნაწილისკენ*. აქ გალოკალიზებულია ლოკალიზებულია და ხდება მაღალი დონის მგრძნობელობის აღქმა.



სენსორული გამტარი გზის სხვადასხვა ნეიტრონებში დაზიანება ნარმოქმნის სხვადასხვა სახის მგრძნობელობის დარღვევას. მგრძნობელობის დარღვევის ნიშნები მასთან დაკავშირებულ მოტორულ სიმპტომებთან ერთად დაგეხმარებათ დაადგინოთ დაზიანების გამომწვევი მიზეზის ლოკალიზაცია. მაგალითად, სენსორული ქერქში დაზიანება არ აქვეითებს ტკივილის, შეხების და მდებარეობის შეგრძნებას. მაგრამ აუარესებს მკვრივ განსხვავების უნარს. ასეთი დაზიანების მქონე პირისთვის შეიძლება ვერ აფასებდეს საგნის ზომას, ფორმას ან მასალას შეხებით და ამის გამო ვერ ცნობდეს. მდებარეობის და ვიბრაციის მგრძნობელობის დარღვევა სხვა მგრძნობელობების შენარჩუნებით უკანა სვეტების დაზიანებაზე მიუთითებს. მაშინ, როდესაც ყველა სახის მგრძნობელობის დარღვევა ნელს ქვევით ფეხების დამბლასთან და ჰეფექტების გაძლიერებასთან ერთად. მიუთითებს ზურგის ტვინის დაზიანებაზე (იხ. ცხრილი 17-11, გვ. 667). მსუბუქი შეხება ხშირად შენარჩუნებულია ზურგის ტვინის ნაწილობრივი დაზიანების მიუხედავად, ვინაიდან სხეულის ერთ მხარეს ნარმოქმნილი იმპულსები ვრცელდება ზურგის ტვინის ორივე მხარეს.


დერმატომები. დერმატომების ცოდნა ასევე გეხმარებათ ნევროლოგიური დაზიანებების ლოკალიზაციის განსაზღვრაში. დერმატომი არის ჯანის უბანი, რომლის ინერვაციას ახდენს ერთი სპინალური ნერვის მგრძნობიარე ფესვი. დერმატომები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ორ სურათზე. მათი დონეები უფრო ცვალებადია, ვიდრე დიაგრამაზეა მოცემული და დერმატომები ერთმანეთს გადაფარავენ. სხეულის თითოეული მხარეს სენსორული ნერვები ორივე ჯვეთს შეარხარს. მცირე პერიფერიული ნერვების განაწილება ნაჩვენებია მარცხენა მხარეს.

ნუ ეცდებით ყველა დერმატომის დამახსოვრებას. თუმცა, გამოგადგებათ დაიმახსოვროთ ზოგიერთის ლოკალიზაცია, მაგ. მარჯვენა დიაგრამაზე მწვანე ფერით ნაჩვენები დერმატომები.



პერიფერიული ნერვების ინერვაციის ზონები

უკანა ფესვებით ინერვირებული დერმატომები


იდაყვის ნერვი
N. ulnaris
სხივის ნერვი
N. radialis
მკლავებისკენ ნერვი
N. medianus
ბარძაყის კანის ლატერალური ნერვი
N. cutaneus femoris lateralis
ბარძაყის კანის უკანა ნერვი
N. cutaneus femoris posterior
კანჭის კანის ლატერალური ნერვი
N. cutaneus surae lateralis
მცირე ნერვის ზედაპირული ნერვი
N. peroneus superficialis
კანჭის ნერვი
N. suralis
C2
C3
C4
C5
C6
C7
C8
T1
T2
T3
T4
T5
T6
T7
T8
T9
T10
T11
T12
L1
L2
L3
L4
L5
S1
S2
S3
S4
S5

ანამნეზი

ხშირი ან განსაკუთრებული სიმპტომები

- თავის ტკივილი
- თავბრუხვევა ან ვერტიგო
- გენერალიზებული, ჰიპოქსიმალური ან დისტალური სისუსტე
- დაბუჟება, მგრძნობელობის დაჩღევა ან დაკარგვა
- ცნობიერების დაკარგვა, სინკოპე ან მოსალოდნელი სინკოპე
- გულყრა
- ტრემორი ან უნებლიე მოძრაობები

ნევროლოგიური დაჩღევების ორი ყველაზე ხშირი სიმპტომია თავის *ტკივილი* და *თავბრუხვევა*. დაუბრუნდით გვ. 171 და 173, რათა მიმოიხილოთ ამ სიმპტომების შესაბამისი ანამნეზი.

თავის ტკივილის დროს, აუცილებლად ჰკითხეთ მისი ლოკალიზაცია, სიმძიმე, ხანგრძლივობა, თანმხლები სიმპტომები, როგორიცაა მხედველობის დაჩღევა, სისუსტე, მგრძნობელობის დაკარგვა. ჰკითხეთ, ხომ არ იწვევს თავის ტკივილს ხველა, ცხვირის დაცემინება ან თავის სწრაფი მოძრაობა.

თავბრუხვევაზე ჩივილს მრავალი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. თქვენ უნდა დააზუსტოთ, რას განიცდის ავადმყოფი. გაბრუებულია თუ მოდუნებული? თუ ეს არის *ვერტიგო*, როდესაც ოთახი ავადმყოფის გარშემო ბრუნავს.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ხანდაზმულ პაციენტებში, რომ არ გამორიცხოთ თავბრუხვევა? აღინიშნება თუ არა თანმხლები სიმპტომები, როგორიცაა მხედველობის გაორება, ანუ *დიპლოპია*, სიტყვების ნარმოთქმის გაძნელება, ანუ *დიზართრია* ან სირაქლის და ნონასნორობის დაჩღევა, ანუ *ატაქსია*?

აღსანიშნავია, ახლავს თუ არა *სისუსტე*, რაც შეიძლება იყოს გენერალიზებული ან ლოკალიზებული სახეზე ან სხეულის ერთერთ ნახევარზე. სისუსტე მეორე ხშირი სიმპტომია და საჭიროებს ყურადღებით დეტალურად გამოკვლევას. დააზუსტეთ, რას ნიშნავს ეს პაციენტისთვის. დარწმუნდით, რომ არ აქვს *დაბნელება* ან სხეულის ერთერთ ნახევრის მოძრაობის გაძნელება. სისუსტე ნელ-ნელა განვითარდა თუ უეცრად? *ჰიპოგლიკემიებს* თუ არა? როგორ? სხეულის რა უბანშია? სხეულის ცალ მხარეს აღინიშნება თუ ორივე მხარეს? რა სახის მოძრაობებია გაძნელებული?
როდესაც სისუსტეს არ ახლავს თავბრუხვევა, ეცადეთ ერთმანეთისგან განასხვავოთ *ჰიპოქსიმალური* და *დისტალური* სისუსტე. ჰიპოქსიმალური სისუსტის დროს ჰკითხეთ, შე-

იხ. ცხრილი 6-1. თავის ტკივილი, გვ. 206-209.

სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის დროს ავადმყოფი აღნიშნავს, რომ "ასეთი ძლიერი ტკივილი არასდროს არ ჰქონია". ყურ ხასიათის თავის ტკივილი, რომელსაც ინვევს მოძრაობა, განსაკუთრებით გაღვიძებისას და მოკლედივეა ერთი და იგივე ლოკალიზაციით, აღინიშნება მოცულობითი დაზიანების დროს, როგორიცაა თავის ტვინის სიმსივნე.

გაბრუება აღინიშნება გულის ფრიალის დროს, სინკოპეს წინა მდგომარეობა – ვაზოვაგუსური სტიმულაციის, სისხლის დაბალი წნევის, ცხელების დროს და სხვა. ვერტიგო სამუალო ასაკში თავის ტვინის სიმსივნის დროს აღინიშნება. იხ. ცხრილი 6-2, გვ. 210.

დიპლოპია, დიზართრია, ატაქსია აღინიშნება *გარდამავალი იშემიის* (TIA) ან *ინსულტის* დროს უკანა არტერიის აუზში.

სისუსტე ან დამბლა გარდამავალი იშემიის, ან ინსულტის დროს აღინიშნება.

ადგილობრივი სისუსტე შეიძლება განვითარდეს ცენტრალური ნერვული სისტემის *იშემიური*, სისხლძარღვოვანი ან მოცულობითი დაზიანების დროს; ასევე პერიფერიული ნერვული სისტემის, ნერვ-კუნთოვანი ან კუნთოვანი დარღვევების დროს.

ძლია თუ არა თმის დავარცხნა, მაღალ თარიზე მდებარე საგნის აღება, ხომ არ უჭირს სკამიდან წამოდგომა ან საფეხურზე ასვლა. ხომ არ ძლიერდება სისუსტე მოქმედების გამეორებისას და უმჯობესდება დასვენების შემდეგ? ხომ არ ახლავს სენსორული ან სხვა სიმპტომები? მკლავებში დისტალური სისუსტის დასადგენად გაარჯვიეთ, როგორ ამოძრავებს ხელებს, მაგ. როგორ აღებს ჯონსონის ქილას ან როგორ ხმარობს მაკრატელს, ფლეიერს ან სახრახნისს. ფეხებში დისტალური სისუსტის დასადგენად ჰკითხეთ, თავისუფლად დადის თუ არა.

ორმხრივი პროქსიმალური სისუსტე ვითარდება მიოპათიის დროს. ორმხრივი, უპირატესად დისტალური სისუსტე – პოლინეიროპათიის დროს. სისუსტე, რომელიც ძლიერდება განმეორებითი მოქმედებების დროს და უმჯობესდება დასვენების შემდეგ, მიუთითებს მიასთენიაზე.

გაარჯვიეთ, ხომ არ აღენიშნება პაციენტს *მგრძნობელობის დაკარგვა*. ჰკითხეთ, ხომ არ აქვს *დაბუჟება*, მაგრამ დააზუსტეთ მისი მნიშვნელობა და ლოკალიზაცია. ხომ არ აღინიშნება მგრძნობელობის დაკარგვა, ჯიდუების მოძრაობის გაძნელება ან შეცვლილი მგრძნობელობა, როგორიცაა ჩხვლეტების შეგრძნება? შეიძლება იყოს სპეციფიკური მგრძნობელობა ამკარა გაღიზიანების გარეშე, რასაც *პარესთეზია* ეწოდება. ეს ხშირად ვლინდება მკლავის ან ფეხის დაბუჟების დროს, რისი მიზეზიცაა ჯიდუის ხანგრძლივად გარჯვეული პოზაში გარჩენებისას ნერვის კომპრესია და აღნერენ, როგორც ჩხვლეტას, ბნელებას ან გაცხელების, გაცივების ან დაჭიმვის შეგრძნებას. *დიზესთეზია* არის მგრძნობელობის დამახინჯება გაღიზიანებელზე საპასუხოდ და გრძელდება უფრო ხანგრძლივად, ვიდრე თავად გამღიზიანებელი. მაგალითად, ადამიანი შეიძლება აღიქვამდეს მსუბუქ შეხებას ან ჩხვლეტას როგორც უსიამოვნო ნვას. *ტკივილს* შეიძლება ნევროლოგიური მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ ჩვეულებრივ მას მოიხსენიებენ სხვა სისტემებთან დაკავშირებულ ჩივილებთან ერთად, როგორიცაა ძვალ-კუნთოვანი სისტემა - თავი და კისერი.

მგრძნობელობის დაკარგვა, პარესთეზიები და დიზესთეზიები თავის და ზურგის ტვინის დაზიანების დროს ვლინდება, ისევე როგორც პერიფერიული მგრძნობიარე ფესვების და ნერვების დაზიანებისას; ხელებსა და პირის გარშემო პარესთეზია ჰისტერიული რეაქციის დროს ვითარდება. ნორმალური ტკივილი მტკივნეული სენსორული ნეიროპათიის დროს.

იხ. ცხრილი 15-2, კისრის ტკივილი, გვ. 561 და ცხრილი 15-1, ნერვის ტკივილი, გვ. 560.

შეკითხვა: "ხომალდზე ხომ არ გქონიათ მოგზაურობა ან გონების დაკარგვა?" საფუძვლად უდევს ცნობიერების დაკარგვის განხილვას. მნიშვნელოვანია დაინყოთ დადგენით, თუ რას გულისხმობს ავადმყოფი ცნობიერების დაკარგვაში. სრულად კარგავს გონებას თუ ამ დროს ესმის ხმები, მიუთითებს ცნობიერების დაკარგვაზე? აღნერილობითი ტერმინები იხმარეთ ზუსტად და მკაცრად განსაზღვრულად. *სინკოპე* არის ცნობიერების უეცარი, მაგრამ ხანმოკლე დაკარგვა, რაც ვითარდება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის შემცირების დროს, მას ხშირად *გონების დაკარგვას* უწოდებენ. გონების დაკარგვის შეგრძნებას, თავბრუხვევას, სისუსტეს ცნობიერების დაკარგვის გარეშე უწოდებენ *სინკოპეს წინა მდგომარეობას* ანუ *პრესინკოპეს*.

იხ. ცხრილი 17-1, სინკოპე და მსგავსი დარღვევები, გვ. 649-650.

მოვლენები აღნერეთ რაც შეიძლება სრულად და უშეცდომოდ. ჯერ გამოინვია მოვლენა? იყო თუ არა ჯერიმე წინამორბედი სიმპტომები? ავადმყოფი იდგა, იჯდა თუ ინვა ეპიზოდის განვითარების დროს? ჯამდენ ხანს გრძელდებოდა? ესმოდა თუ არა ხმა გონების დაკარგვის დროს ან გონზე მოსვლისას? ჯამდენ ხანში მოვიდა გონებაზე? ჰეტეროსპექტულად, დანყება სნელი იყო თუ ნელი?

ახალგაზრდებს ემოციური სტრესის დროს და წინამორბედი სიმპტომებით, როგორიცაა უეცარი განითლებით, გახურებით ან გულისრევით, შეიძლება ჰქონდეს *ვაზოდეპრესორული (ვაზო-ვაგალური) სინკოპე* ნელი დანყებით და ნელი უკუგანვითარებით. ჯანმრთელი სინკოპე ვითარდება პანიკის დროს მკვეთრად ასაკოვან პაციენტებში, ხშირად სწრაფი დანყებით და სწრაფი უკუგანვითარებით.

ასევე ჰკითხეთ, ვინმე ხომ არ დაესწრო ამ ეპიზოდს. თუ ასეა, ჰკითხეთ, როგორ გამოიყურებოდა პაციენტი გონების დაკარგვის წინ, ეპიზოდის განმავლობაში და მის შემდეგ? ხომ არ აღენიშნებოდა მკლავების და ფეხების გულყრის მსგავსი მოძრაობები? უნებლიე შარდვა ან ნაწლავთა მოქმედება? ეპიზოდის შემდეგ ძილიანობა ან მეხსიერების დაკარგვა?

ტონური და კლონური მოტორული აქტივობა, უნებლიე შარდვა ან ნაწლავთა მოქმედება და მეტევის შემდგომი მდგომარეობა მიუთითებს გენერალიზებულ *გულყრაზე*. სინკოპესგან განსხვავებით, შეიძლება გამოვლინდეს ისეთი დაზიანებები, როგორიცაა ენის მოკვნეტა ან სისხლჩაქცევები.

გულყრა არის პაროქსიზმული დარღვევა, რასაც იწვევს უცარი ძლიერი ელექტრული განმუხტვა ტვინის ქერქში ან ქვემდებარე სტრუქტურებში. გულყრა სამოდენიმე ტიპისაა. ტიპის მიხედვით, შეიძლება განვითარდეს ან არა ცნობიერების დაკარგვა. ზოგიერთი ტიპის გულყრის დროს შეიძლება აღინიშნებოდეს შეცვლილი შეგრძნებები, აზროვნების და მგრძნობელობის დარღვევა, ყნოსვის ჩათვლით, ისევე, როგორც პათოლოგიური მოძრაობები. საუბარი შეგიძლიათ დაინყოთ შეკითხვებით: "როდესმე გქონიათ გულყრა?"... "ხომ არ გონვენილა?" სინკოპეს მსგავსად, შეტევა სრულად და ამომწურავად აღნერეთ ხელშემწყობი სიტუაციების, წინამორბედი ნიშნების, ქცევების და შეგრძნებების ჩათვლით როგორც შეტევის დროს, ისე მის შემდეგ. ჰკითხეთ, რამდენი ხნის იყო პირველი შეტევის დროს, შეტევის სიხშირე, ხომ არ შეიცვალა შეტევების სიხშირე ან სიმპტომები და რა პრეპარატებს ხმარობს. ხომ არ აღენიშნება ანამნეზში თავის დაზიანება ან სხვა მდგომარეობები, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს გულყრასთან?

იხ. ცხრილი 17-2, გულყრები, გვ. 651-652.

ტრემორი და სხვა *უნებლიე მოძრაობები* ვლინდება ნევროლოგიურ გამოკვლევებთან ერთად ან მათ გარეშე. ჰკითხეთ ჯანკარის, სხეულის ხრჩვის ან სხვა ისეთი მოძრაობების შესახებ, რასაც ავადმყოფი ვერ აკონტროლებს.

იხ. ცხრილი 17-3, ტრემორი და უნებლიე მოძრაობები, გვ. 653-654. ტრემორი, ხრიკობა და ბრადიკინეზია აღინიშნება Parkinson-ის (პარკინსონის) დაავადების დროს[1].

ამ სიმპტომებისგან გამორჩეულია თითქმის გაუკუღვეველი *მოუსვენარი ფეხების სინდრომი*, რაც ტიპიურად ვლინდება მოსვენების დროს და ხასიათდება ფეხების მოძრაობის დაუძლეველი სურვილით. სიარული შვებას იძლევა.

გარკვეული, მაგრამ ხშირად ამოუცნობი მოუსვენარი ფეხების სინდრომი, ჩვეულებრივ ყურადღებიანია.

ჯანმთელობის ხელშეწყობა და განხილვა

მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხი

- ტრანზიტორული იშემიური შეტევების ან ინსულტის პრევენცია

აშშ-ში სიკვდილობის მესამე მიზეზზე თავის ტვინის სისხლძარღვების დაავადებები წარმოადგენს და იწვევს შრომისუნარიანი ადამიანების და მთელი პოპულაციის ინვალიდობას. სისხლის მიმოქცევის დაქვეითება იწვევს თავის ტვინის უცარი დისფუნქციას - ტრანზიტორულ იშემიურ შეტევას (TIA – transient ischemic attack) სისხლის მიმოქცევის ხანმოკლე დარღვევით ან ხანგრძლივი დარღვევის გარეშე ტვინის ინფარქტს ან ინსულტს. ინსულტების დაახლოებით 85% იშემიურია, დაახლოებით 15% - ჰემორაგიული. ინსულტების უმეტესობის მიზეზია თრომბოემბოლია. სხვა მიზეზებია სისხლძარღვის კედლის ადგილობრივი დაზიანება, მაგ. ათეროსკლეროზის, ანთების ან განშრევების დროს; პერფუზიული ნაწილის დაქვეითება, მაგ. მიოკარდიუმის ინფარქტის დროს განვითარებული ჰიპოტენზია; სისხლის ნებოვნების შეცვლა, მაგ. პოლიცითემიის დროს და სისხლძარღვის გასკლერომა სუბარაქნოიდულ სივრცეში ან ტვინის ქსოვილში.[2,3]

ყურადღებით უყავით გარდამავალ იშემიის ნიშნების მიმართ, როგორიცაა მხედველობის დაკარგვა (განსაკუთრებით ცალ თვალში გარდამავალი ბინდმავე), აფაზია, დიზართრია და სახის მოძრაობის ან მგრძნობელობის ცვლილებები. გარდამავალ იშემიის დასადგენად, რომელიც ახიანებს მოტორულ და სენსორულ გამტარ გზებს,

დაკვირვებით მოქნელობას, სისუსტეს, დამბლას, ეპილეფსიურ ჩხვლეტებს ან პარესთეზიებს. აქამდე არსებული განსაზღვრებით გახანგრძლივებული იშემიის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 24 საათამდე, ეს განსაზღვრება შეიცვალა და ხანგრძლივობა განისაზღვრა 1 სთ-მდე. ასასაც არ ახლავს თავის ტვინის ხანგრძლივი დაზიანება.[2,5] გახანგრძლივებული იშემიის დაკვირვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — მეტების შემდეგ პირველი 3 თვის განმავლობაში ავადმყოფთა დაახლოებით 10%-ში ვითარდება ინსულტი, განსაკუთრებით დიაბეტით დაავადებულებში და 60 წლის ზევით ასაკის პირებში ან ვითარდება მეტყველების და მოტორული დარღვევები.[5]

ინსულტის პროფილაქტიკაში ექიმის მოქმედების პირველი საფეხურია რისკ-ფაქტორების აქტიური გამოვლენა და ავადმყოფის განათლება. ინსულტის რისკ-ფაქტორებია არტერიული ჰიპერტენზია, დიეტის დარღვევა, დისლიპიდემია, ალკოჰოლის ჭარბი მიღება, მცირე ფიზიკური აქტივობა, სიმსუქნე და შაქრიანი დიაბეტი. ძალიან მნიშვნელოვანია *ჰიპერტენზიის* კონტროლი, ვინაიდან ის ნარმოადგენს ყოგორც იშემიური, ასევე ჰემორაგიული ინსულტის ნამყვან რისკ-ფაქტორს. ჰიპერტენზია აჩქარებს სიძველე, ხელსაყრელს და თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზულ დაზიანებას და არღვევს თავის ტვინის სისხლის ნაკადის ავტორეგულაციას. ჯანმრთელ პირებში არტერიული ნაკადი უნდა იყოს 140/90 მმ ვწყ სვ-ზე ნაკლები, ხოლო დიაბეტით ან არადიაბეტური თირკმელების დაავადებით და მნიმვნელოვანი პროტეინურიით პირებში უნდა იყოს 130/80 მმ ვწყ სვ-ზე ნაკლები[6] (იხ. განყოფილება მე-8 თავში, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, გვ. 295-301). ყველათა შელებით გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პირთა ჰიპოლიპიდემიური მკურნალობა ხარისხოვან ამცირებს ინსულტის რისკს.[7,8] ავადმყოფებს, რომლებიც ხანგრძლივად იყენებენ და ალნიშნებათ *დისლიპიდემია*, უნდა ერჩიოთ ნაკლები და ცხიმები, რომლებიც არის ძირს პროდუქტებში, ხორცში და მყარ მარგარინში, შეცვალოს პოლიუჯერი და ხანგრძლივებული მონოუჯერი ცხიმებით, რომლებიც არის ზეთში, თხევად მარგარინში და თევზის ზეთში. ან უფრო მარტივად, ურჩიოთ გაზარდოს ხილის, ბოსტნეულის და ბოჭკოვანი პროდუქტების მიღება. პირებს, ვინც ჭარბად იღებს ალკოჰოლს, ინსულტის განვითარების სარისკოდ მაღალი რისკი აქვთ.[9] განიხილეთ ავადმყოფთან ერთად ყოველდღიური ვარჯიშის და წონის კორექციის საკითხი. ამშ დაავადებათა პრევენციის სამსახურ ჯგუფის (U.S. Prevention Services Task Force) რეკომენდაციით ფიზიკური ვარჯიში და წონის კორექცია ინდივიდუალურად უნდა იქნას განხილული. შაქრიანი დიაბეტით ავადმყოფებში სისხლში გლუკოზის ოპტიმალური დონე უნდა იყოს 100 მგ%-ის ფარგლებში. ამშ დაავადებათა პრევენციის სამსახურ ჯგუფის რეკომენდაციით, გულის იშემიური დაავადების მაღალი რისკის მქონე ავადმყოფები პირველადი პრევენციის მიზნით უნდა იღებდნენ ასპირინს, მაგრამ ასევე აღნიშნავენ, რომ ასპირინის მიღება დაკავშირებულია ყურ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენის და ჰემორაგიული ინსულტის განვითარების რისკის ზრდასთან.[10]

გამოკვლევის მეთოდები

მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხები

- თავის ტვინის ნერვები I-დან XII-მდე
- მოტორული სისტემა: ყნოსვის მასა, ტონუსი და გაჭიმვა; კოორდინაცია, სიარული და პოზა
- სენსორული სისტემა: ტკივილი და ტემპერატურა, მდებარეობა და ვიბრაცია, მსუბუქი შეხება, განსხვავება
- ღრმა მყესების, მუცლის და პლანტარული (ფეხისგულის) რეფლექსები

ბამოკვლევის მეთოდები

ახლა დაუბრუნდით სამ მნიშვნელოვან კითხვას, რითაც ხელმძღვანელობთ ნევროლოგიური გამოკვლევის დროს:

- მენტალური სტატუსი უცვლელია?
- მარჯვენამხრივი და მარცხენამხრივი ნიშნები სიმეტრიულია?
- თუ ნიშნები ასიმეტრიულია ან პათოლოგიური, დაზიანება ცენტრალურ ნერვულ სისტემაშია თუ პერიფერიულში?

ამ განყოფილებაში თქვენ უნდა ისწავლოთ ნერვული სისტემის პრაქტიკული და დასაბუთებული ყოვლისმომცველი გამოკვლევები. მნიშვნელოვანია დახელოვნდეთ გამოკვლევის მეთოდების ჩატარებაში. თავდაპირველად ეს გამოკვლევები შეიძლება ხანგრძლივად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვარჯიშით, მიზანმიმართულებით და ზედამხედველის დახმარებით შესძლებთ სწორად გამოიკვლიოთ სიმპტომები და დაავადებები. აქტიურად უნდა ისწავლოთ და სთხოვოთ პედაგოგს ან ნევროლოგს, შეამოწმოს თქვენი ჩვევები.

შესაბამისი ნევროლოგიური გამოკვლევების დეტალები ფარითოდ ცვალებადობს. გამოცდილებასთან ერთად ნახავთ, რომ ჯანმრთელ პირებში გამოკვლევებს უფრო სწრაფად ჩაატარებთ. როდესაც აღმოაჩენთ ხარმე დარღვევას, თქვენი გამოკვლევები უფრო ფარითო უნდა გახდეთ. უნდა იცოდეთ, რომ სპეციფიკურ სიტუაციებში ნევროლოგი ბევრ სხვა გამოკვლევას ატარებს.

ეფექტურობის გაზრდისთვის, თქვენ უნდა გააერთიანოთ ნევროლოგიური შეფასებები გამოკვლევის სხვა ნაწილებთან. მაგალითად, შეისწავლეთ ავადმყოფის მენტალური სტატუსი და მეტყველება გამოკითხვის დროს, მაშინ, როდესაც შემდგომი ნევროლოგიური გამოკვლევები შეგიძლიათ ჩაატაროთ სხვა სახის გასინჯვის დროს. თავის და კისრის გამოკვლევის დროს შეისწავლეთ თავის ტვინის ნერვები, პერიფერიული სისხლძარღვების და ძვალ-კუნთოვანი სისტემის გამოკვლევის დროს ნევროლოგიური დარღვევების სანახავად დაათვალიერეთ ხელები და ფეხები. თ-4 თავში მოცემულია ასეთი გაერთიანებული გამოკვლევის ნიმუში. მოიფიქრეთ და აღნერეთ მილებული მონაცემები ნერვული სისტემის ნაწილში.

თქვენი მონაცემები დააჯგუფეთ ხუთ კატეგორიად: (1) მენტალური სტატუსი, მეტყველება და ენა. (2) თავის ტვინის ნერვები, (3) მოტორული სისტემა, (4) სენსორული სისტემა და (5) რეფლექსები. თუ დარღვევებს აღმოაჩენთ, დაჯგუფეთ პერიფერიული ან ცენტრალური დარღვევების ნიშნების მიხედვით.

III ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ. თავის ტვინის ნერვების (NC) გამოკვლევა შემდეგნაირად უნდა შეჯამდეს:

I	ყნოსვა
II	მხედველობა, მხედველობის ველები, თვალის ფსკერი
II, III	გუგის რეაქციები
III, IV, VI	თვალის ჯაჭვის გარეგანი (ექსტრაოკულური) მოძრაობები

V	ჰქოვანას ჰეფლექსი, სახის მგჰძნობელობა, ქვედა ყბის მოძჰაობა
VII	სახის მოძჰაობები
VIII	სმენა
IX, X	ყლაპვა და სასის ანევა, ღებინების ჰეფლექსი
V, VII, X, XII	ხმა და ლაპჰაჯი
XI	მხჰების და ჯისჰის მოძჰაობა
XII	ენის სიმეტჰია და მდებაჰეობა

თავის ტვინის I ნეჰვი – ყნოსვის. ავადმყოფის *ყნოსვის მეგჰძნება* შეამოწმეთ ნაცნობი, და ჰა გამაღიზიანებელი სუნის დაყნოსვით. ჰიჰველ ჰიგში დაჰწმუნდით, ჰომ ავადმყოფს ეჰთი ნესტო დახეჰილი აქვს, ხოლო მეოჰე ღია და სთხოვეთ, ამ ნესტოთი იყნოსოს. შემდეგ ავადმყოფმა უნდა დახუქოს თვალები. ღია ნესტოთი, ჰოდესაც მეოჰე დახეჰილია, შეიყნოსოს მიხაჯი, ყავა, საპონი, ვანილი. ჰკითხეთ, გჰძნობს თუ ჰა სუნს და ჯეჰძოდ, ჰა სუნს. ასევე შეამოწმეთ მეოჰე ნესტოც. ნოჰმალუჰად ადამიანი სუნს ოჰივე ნესტოთი შეიგჰძნობს და შეუძლია სხვადასხვა სუნის გაჰჩევა.

ყნოსვის დაკაჰგვას მჰავალი მიზეზი აქვს, ჰოგოჰიცაა ცხვიჰის დაავადებები, თავის ტჰავმა, თამბაქოს მოწევა, ასაჯი და ჯოკაინის ხმაჰება. ასევე შეიძლება იყოს თანდაყოლილი.

თავის ტვინის II ნეჰვი – მხედველობის. შეამოწმეთ *მხედველობის სიმახვილე* (იხ. გვ. 177-178)

მხედველობის ნეჰვის ატჰოფია, დვჰილის შეშუპება

დაათვალიეჰეთ *თვალის ფსკეჰი* ოფთალმოსკოპით, განსაკეთჰებული ყუჰადღება მიაქციეთ ოპტიკუს დისკს (იხ. გვ. 184-188)

მხედველობის ველები შეამოწმეთ კონფჰონტაციით (იხ. გვ. 178-179). მაგალითად, იშვიათად - ინსულტის მქონე ავადმყოფებში გამოკვლევა გამოავლენს მხედველობის ველის დეფექტს, ჰოგოჰიცაა ჰომონიმური ჰემიანოფსია, ჰასაც ვეჰ დაადასტუჰებთ თითოეული თვალის ცალ-ცალკე გამოკვლევით. მიუხედავად ამისა, ეს გამოკვლევა მნიშვნელოვანია.

ეს მონაცემები მიუთითებს *მხედველობის თანდათანობით დაკაჰგვას*, მციჰე გაუაჰესება, ჰომელიც დგინდება ოჰივე თვალის ეჰთდჰოული გამოკვლევისას. მიუთითებს თხემის ქეჰქის დაზიანებაზე.

თავის ტვინის II და III ნეჰვები - მხედველობის და თვალის მამოძჰავებელი. დაათვალიეჰეთ გუგების ზომები და ფოჰმა და შეადაჰეთ ეჰთმანეთს. შეამოწმეთ *გუგის ჰეაქცია სინათლეზე*, თუ დაჰლვევას ნახავთ, შეამოწმეთ ასევე *ახლო მზეჰა*. (იხ. გვ. 182)

იხ. ცხჰილი 6-9, გუგის დაჰლვევები (გვ. 217)

თავის ტვინის III, IV და VI - თვალის მამოძჰავებელი, ჭკლისებჰი და ბანმზიდველი. შეამოწმეთ *თვალის გაჰეთა მოძჰაობები* მზეჰის 6 ძიჰითადი მიმაჰთულებით და დააკვიჰდით შეთანხმებული მოძჰაობის აჰსებობას ჰომელიმე მიმაჰთულებით. შეამოწმეთ თვალების კონვეჰგენცია. დაადგინეთ, აჰის თუ ჰა ნისკაგმი, მზეჰის ჰომელ მიმაჰთულებაზე ჩნდება, ჰა სიბჰტყეში ვლინდება ეს მოძჰაობები (ჰოჰიზონჰალური, ვეჰტიკალური, ჰოტაციული ან შეჰეული), ასევე სწჰაფი და ნელი კომპონენტების მიმაჰთულება (იხ. გვ. 655-656)

იხ. 6-10, ჰაათანხვედჰილი მზეჰა (გვ. 218)

იხ. ცხჰილი 17-4, ნისკაგმი, გვ. 655-656

ფკოზი ვითაჰდება III ნეჰვის პაჰეზის, Horner-ის (ჰოჰნეჰის) სინდჰომის და მძიმე ფოჰმის მიასთენიის დჰოს

დაკვიჰდით *ფკოზის* აჰსებობას (ზედა ქეთეთოს ჩამოწევა). ნოჰმალუჰი ადამიანების დაკვიჰებით ეჰთ მესამედში აღინიშნება თვალის ნაპჰალის სიგანის მციჰე განსხვავება.

თავის ტვინის V ნერვი - სამწვერა.

მოტორული ნაწილი. საფეთქლის და საღეჭი კუნთების პალპაციის დროს ავადმყოფს სთხოვეთ დაჭიმოს ყბილები. დააკვირდით კუნთების ძაბვას.

ეხით მხარეს საფეთქლის და საღეჭი კუნთების შეკუმშვის სისუსტე მიუთითებს თავის ტვინის V ნერვის დაზიანებაზე. ორმხრივი სისუსტე შეიძლება განვითარდეს ცენტრალური ან ჰეროფერიული დაზიანების შედეგად. თუ ავადმყოფს ყბილები არ აქვს, ამ ტესტის ინტერპრეტაცია გაგიჭირდებათ.



საფეთქლის კუნთების პალპაცია



საღეჭი კუნთების პალპაცია

სენსორული ნაწილი. იმის შემდეგ, ჰაც აუხსნით ხის გაკეთებასაც აპირებთ, შეამოწმეთ შუბი, ღეროები და ქვედა ყბა ორივე მხარეს ტკივილის შეგრძნებაზე. ეს არეები ნორმალურია აღნიშნული. ავადმყოფმა თვალები უნდა დახუჭოს. გამოიყენეთ უსაფრთხო ნემსი ან სხვა მახვილი საგანი,* დროდადრო გამალიზიანებლად შეიძლება ბლაგვი ბოლო გამოიყენოთ. ჰკითხეთ ავადმყოფს, გრძნობს ხოლმე ეხება ნვეტი და ხოლმე ბლაგვი ბოლო და შეადარეთ ორივე მხარე.

სახის მგრძნობელობის ცალმხრივი დაკარგვა მიუთითებს თავის ტვინის V ნერვის ან დამაკავშირებელი უმაღლესი სენსორული გზის დაზიანებაზე. მგრძნობელობის ასეთი დაკარგვა ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს კონვექსიალ ჰემიანოპსიასთან.



თუ დაზღვევას ნახავთ, დაადასტურეთ *ტემპერატურის შეგრძნების* შემოწმებით. ტრადიციულ გამალიზიანებლად იყენებენ ორ ჭიქას, ერთი ავსებული ცხელი, ხოლო მეორე ყინულივით ცივი წყლით. ასევე შეიძლება გამოიყენოთ კამერტონი. იგი ჩვეულებრივ გრილად შეიგრძნობა. თუ თქვენ გამდინარე წყალთან ახლოს ხართ, წყლის საშუალებით კამერტონი ადვილად ცივდება ან თბება. ხმარებამდე გააშრიალეთ. შეახეთ კანზე და სთხოვეთ ავადმყოფს გაარჩიოს "ცივი" და "თბილი".

შემდეგ შეამოწმეთ *მსუბუქი შეხება* ბამბის გამოყენებით. სთხოვეთ ავადმყოფს, გრძნობს ხოლმე ეხებით კანს ბამბით.

ჭორკანას რეფლექსის შემოწმება. სთხოვეთ ავადმყოფს ზევით და გარეთ გაიხედოს. მეორე მხრიდან, ავადმყოფის მზერის საპირისპიროდ, ისე, რომ არ შეეხოთ ნამწამებს, ბამბა ფრთხილად ნაუსვით ჭორკანას (არა კონიუნქტივას). თუ ავადმყოფი ძალიან მგრძნობიარეა, პირველი შეხება კონიუნქტივაზე ცრემლდენას გამოიწვევს.

* გადამდები ინფექციების თავიდან აცილების მიზნით, ყოველ პაციენტზე ახალი საგანი გამოიყენეთ. შეგიძლიათ გააკეთოთ ხის ნვეტიანი ჩხირი და ზედ დახვიოთ ბამბა. ჩხირის ბამბიანი ბოლო შეგიძლიათ გამოიყენოთ ბლაგვ გამალიზიანებლად.



დააკვირდით თვალების სამხამს, რაც გაღიზიანებაზე ნორმალურ რეაქციას წარმოადგენს. (ამ ეფექტს განაპირობებს თავის ტვინის V ნერვის სენსორული ტოტი, მოტორიას – თავის ტვინის VII ნერვი). ჯონტაქტური ღიზების ხმარება ხშირად აქვეითებს ან აქრობს ამ ეფექტს.

თავის ტვინის VII ნერვი – სახის. დაათვალიერეთ სახე მოსვენებულ მდგომარეობაში და საუბრის დროს. დააკვირდით ასიმეტრიას (მაგ. ცხვირ-ტუჩის ნაოჭებს) და სხვა არანორმალური მოძრაობის არსებობას.



სთხოვეთ ავადმყოფს:

1. ასწიოს ორივე წარბი
2. წარბები მოღუშოს
3. ორივე თვალი ისე მაგრად დახუჭოს, რომ თქვენ ვერ გაულოთ. ჯენთების დაჭიმვა შეამოწმეთ თვალების გახელის მცდელობით, როგორც საჭიროა ნაჩვენები.
4. ეთრიოლად გაჩვენოთ ზედა და ქვედა კბილები.

თვალების სამხამის არარსებობა მიუთითებს თავის ტვინის V ნერვის დაზიანებაზე. თავის ტვინის VII ნერვის (თვალის დამხუჭველი ჯუნთის ინერვაცია) დაზიანებამ, აგრეთვე, შეიძლება შეასუსტოს ეს რეფლექსი.

ცხვირ-ტუჩის ნაოჭის გაქრასნორება და ქვედა ჯუთუთოს ჩამონვა სახის სისუსტეზე მიუთითებს.

თავის ტვინის VII ნერვის პერიფერიული დაზიანება, რომელსაც Bell-ის (ბელის) დამბლის დროს, აზიანებს სახის ზედა და ქვედა ნაწილებს; ცენტრალური დაზიანება, ძირითადად, სახის ქვედა ნაწილს აზიანებს, იხ. ცხრილი 17-5. სახის დამბლის სახეები (გვ. 657-658).

სახის ცალმხრივი დამბლის დროს, როდესაც ავადმყოფი იღიმება ან ცვლის მიმიკას, დამბლის მხარეს პირის ჯუთხე ქვემოთ ეშვება.

5. გაილიმოს.

6. ორივე ლოყა გამობერილოს.

დაკვირვებით ხაიმე სისუსტეს ან ასიმეტრიას.

თავის ტვინის VIII ნერვი - სმენის. შეამოწმეთ *სმენა*. თუ აღინიშნება სმენის დაქვეითება, (1) შეამოწმეთ *ლატერალიზაცია* და (2) შეადარეთ *ჰაერით და ძვლით გატარება* (იხ. გვ. 191)

ვესტიბულური ფუნქციის გამოკვლევის სპეციფიკური ტესტები იშვიათად გამოიყენება ჩვეულებრივი ნევროლოგიური გამოკვლევის დროს. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ნევროლოგიური და ოტოლარინგოლოგიური სახელმძღვანელოები.

თავის ტვინის IX და X ნერვები - ენა-ხახის და ფარინქსი. მოუსმინეთ ავადმყოფის *ხმას*. ხმა ჩახლეჩილია ან ცხვირში ხომ არ ლაპარაკობს?

ხომ არ გიჭირთ ყლაპვა?

ავადმყოფს სთხოვეთ, თქვას "აჰ" ან დაამთქნაროს, თქვენ კი დაკვირვებით *ხმილი სასის და ხახის მოძრაობას*. ნორმალურად, ხმილი სასა სიმეტრიულად ინევა ზევით, ნაკი შუა ხაზზეა და უკანა ხახის ორივე მხარე მეტ-ნაკლებად მოძრაობს, როგორც ფარდა. იშვიათად, ნორმალურ პირებში აღინიშნება ოდნავ მოხრილი ნაკი, რის გამოც არ უნდა შეგეშალოთ თავის ტვინის X ნერვის დაზიანებით გამოწვეულ დევიაციაში.

გააფრთხილეთ ავადმყოფი, რომ აპირებთ ღებინების რეფლექსის შემოწმებას. სუსტად გააღიზიანეთ ყელის უკანა ნაწილი ორივე მხარეს და დაკვირვებით ღებინების რეფლექსს. ზოგჯერ, ნორმალურ ადამიანებში ეს რეფლექსი შეიძლება სიმეტრიულად დაქვეითებული იყოს ან არ არსებობდეს.

თავის ტვინის XI ნერვი - დამატებითი. უკნიდან დაკვირვებით ტრაპეციული კუნთის ატროფიას ან ფასციკულაციას და შეადარეთ ერთი მხარე მეორეს.



იხ. ცხრილი 6-19, სმენის დაკარგვის ნიშნები.

ნისტაგმი შეიძლება აღინიშნავდეს ვესტიბულის დისფუნქციას. იხ. ცხრილი 14-4, ნისტაგმი, გვ. 655-656).

ხმის ჩახლეჩა ხმოვანი ორგანების დამბლის დროს ვითარდება; ცხვირში ლაპარაკი - სასის დამბლის დროს.

ხახის ან სასის სისუსტე.

ცთომილი ნერვის ორმხრივი დაზიანების დროს ვერ ხერხდება სასის აწევა. ცალმხრივი დამბლის დროს სასის ერთი მხარე ვერ ინევა ნაკთან ერთად ნორმალურ მხარესაა გადაწეული (იხ. გვ. 194).

ამ რეფლექსის ცალმხრივი არარსებობა მიუთითებს თავის ტვინის IX და, შესაძლოა, X ნერვის დაზიანებაზე.

სისუსტე ატროფიით და ფასციკულაციით მიუთითებს პერიფერიული ნერვის დაზიანებაზე. როდესაც ტრაპეციული კუნთის დამბლა აღინიშნება, მხრები ჩამოვარდნილია და ბეჭის ძვლები ქვემოთ და ლატერალურად გადანაცვლებულია.

სთხოვეთ ავადმყოფს, ოდივე მხარი ასწიოს თქვენი ხელების წინააღმდეგ. დააკვირდით ტრაპეციული კუნთის გაჭიმვას და შეკუმშვას.



სთხოვეთ ავადმყოფს, თავი შეაბრუნოს ოდივე მხარეს თქვენი ხელის საწინააღმდეგოდ. დააკვირდით მოპირდაპირე მხარეს მკერდ-ღავიწ-დვრილისებრი კუნთის შეკუმშვას და თქვენი ხელის საწინააღმდეგოდ მოძრაობის ძალას.

ზეკიდან მწოლიარე პაციენტს, რომელსაც აღენიშნება მკერდ-ღავიწ-დვრილისებრი კუნთის ორმხრივი სისუსტე, უჭირს ბალიშიდან თავის წამოწევა.

თავის ტვინის XII წყვილი - ენისქვეშა. მოუსმინეთ, როგორ გამოთქვამს პაციენტი სიტყვებს. ეს დამოკიდებულია თავის ტვინის V, VII და X, ისევე როგორც XII წყვილების მდგომარეობაზე. დაათვალიერეთ ავადმყოფის ენა, როდესაც ის პირის ღრუშია. დააკვირდით ატროფიას ან *ფასციკულაციას* (კუნთოვანი ბოჭკოების მცირე ჯგუფების წვრილი თრთოლვა). ნორმალურ ენაზე ხშირად ჩანს მოსვენებული მოძრაობა. შემდეგ გამოაყოფინეთ ენა და დააკვირდით ასიმეტრიას, ატროფიას ან შუა ხაზიდან გადახრას. სთხოვეთ ავადმყოფს, ამოძრაოს ენა ორივე მხარეს და დააკვირდით მოძრაობის სიმეტრიულობას. საჭირო შემთხვევებში სთხოვეთ ავადმყოფს, ენით შიგნიდან მიაწვეს ღოყას, ხოლო გარედან თქვენ მიაწექით, რათა იგრძნოთ ძალა.

სუდი არტიკულაცია, ანუ *დიზართრია*, იხ. ცხრილში 16-2, მეტყველების დარღვევები, (გვ. 591). ატროფია და ფასციკულაცია აღინიშნება *გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის, პოლიომიელიტის* დროს.

ქერქის ცალმხრივი დაზიანების დროს გამოყოფილი ენა ქერქის დაზიანების საწინააღმდეგო მხარეს იხრება.

III მოტორული სისტემა

მოტორული სისტემის გამოკვლევის დროს დააკვირდით სხეულის მდებარეობას, ნებელი მოძრაობებს, კუნთებს (მასა, ტონუსი და გაჭიმვა) და კოორდინაციას. ეს კომპონენტები ქვემოთ თანმიმდევრობითაა განხილული. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს თანმიმდევრობა, რათა შეამოწმოთ თითოეული კომპონენტი ხელებზე, ფეხებზე და სხეულზე. თუ რაიმე დარღვევას ნახავთ, დაადგინეთ რომელი კუნთებია ჩართული პროცესში. დაადგინეთ, დაზიანების მიზეზი ცენტრალური თუ პერიფერიული ნერვული სისტემაა. გამოიკვლიეთ ის ნერვები, რომლებიც ამ კუნთების ინერვაციას ახორციელებენ.

სხეულის მდებარეობა. ავადმყოფის სხეულის მდებარეობას დააკვირდით მოძრაობის და მოსვენების დროს.

პოზიციის დარღვევა მიუთითებს ნევროლოგიურ დეფიციტზე. ხოგორიცაა დამბლის დროს.

ნებელი მოძრაობები. დააკვირდით ნებელი მოძრაობებს, როგორიცაა ტრემორი, ტიკები ან ფასციკულაციები. დაადგინეთ მათი ლოკალიზაცია, ხასიათი, სიხშირე, ხარისხი, ამპლიტუდა და მათი დამოკიდებულება სხეულის პოზასთან, აქტივობასთან, სისუსტესთან, ემოციასთან და სხვა ფაქტორებთან.

იხ, ცხრილი 17-3, ტრემორი და ნებელი მოძრაობები (გვ. 653-654).


ჯუნთოვანი მასა. შეადარეთ ჯუნთების ზომები და ჯონტუჩები. ჯუნთები ბიტყელია თუ ჩაზნექილი, ხაც ატროფიაზე მეტყველებს. თუ ასეა, პროცესი ცალმხრივია თუ ორმხრივი? პროქსიმალურია თუ დისტალური?

ატროფიის დადგენის დროს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ხელებს, მხრებს და მაჯებს. ცერის და ნეჯის მაღლობები სავსე და ამობურცულია და სივრცეები ნების ძვლებს შორის, სადაც მდებარეობს დორსალური ძვალთაშუა ჯუნთები, უნდა იყოს ამოვსებული ან ოდნავ ჩანეული. ხელის ჯუნთების ატროფია შეიძლება გამოვლინდეს ასაჯის მატებასთან ერთად, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები.

ჯუნთების ატროფია ნიშნავს ჯუნთების მასის შემცირებას (განლევას). მისი მიზეზია პერიფერიული ნეირული სისტემის დაზიანება მაგრიანი დიაბეტის დროს, როგორიცაა დიაბეტური ნეირომპათია, ისევე როგორც თავად ჯუნთების დაავადებები. ჰიპერტროფია ნიშნავს ჯუნთების მასის გაზრდას. პრაქტიკულად ძალის მომატებით. მაშინ როდესაც ჯუნთის მასის ზრდას ძალის დაქვეითებასთან ერთად. უწოდება *ფსევდოჰიპერტროფია* (იხ. *ჯუნთოვანი დისტროფიის Duchenne-ს (დუშენის) ფორმა*).



44 წლის ქალის ხელი




ატროფია

84 წლის ქალის ხელი

ცერის და ნეჯის მაღლობების (ტენარისა და ჰიპოტენარის) გაბრტყელება და ნაოჭები ნების ძვლებზე ატროფიაზე მიუთითებს. ცერის და ნეჯის მაღლობების ატროფია მიუთითებს შესაბამისად საშუალო და იდაყვის ნერვების დაზიანებაზე.



44 წლის ქალის ხელი



ნეჯის მაღლობი (ჰიპოტენარი)

ტენარისა და ჰიპოტენარის გაბრტყელება ხშირი ატროფიის დროს

84 წლის ქალის ხელი

ჯუნთების ატროფიის სხვა მიზეზებია მოტორული ნეირონების დაავადებები, ჯუნთების უმოძრაობა, ჰორმონალური ცვლილებები და ცილის ნაკლებობა საკვებში.

ყუსაღლება მიაქციეთ ატიოფიული ჯუნთების ფასციკულაციებს. თუ ასეთი ასის, ჯუნთს დაასტყით ჩაქუჩი და ეცადეთ, გამოინვიოთ.

ფასციკულაცია მიუთითებს ქვედა მოტორული ნეირონის დაავადებებზე, ატიოფიის მიზეზზე.

ჯუნთოვანი ტონუსი. ხოდესაც ნორმალური ჯუნთი მოდუნებულია და მისი საინექციო ნემკი ინტაქტურია, სუსტი ნაბიჯები დაჭიმულობა მაინც შენახჩუნებულია, ხასაც ჯუნთის ტონუსი ეწოდება. მისი უკეთ ნახვა შეიძლება პასიურ გაჭიმვაზე ჯუნთის ხეზისტენტობის შეგრძნებით. უთხარით ავადმყოფს, რომ მოდუნდეს. დაიჭიროთ მისი ერთი ხელი, ისე რომ იდაყვი დაყრდნობილი ჰქონდეს, მოუხარეთ და გაუშალეთ თითები, მაჯა და იდაყვი და მხარი დაუჭირეთ მოძრაობის საშუალო ამპლიტუდაზე. ჰარტიკულაციასთან ერთად, ეს მოძრაობები შეგიძლიათ ერთდროულად ჩაატაროთ. ორივე მხარეს დააკვირდით ჯუნთების ტონუსს — თქვენი მოძრაობის მიმართ არსებულ ხეზისტენტობას. ჰირველად ხეზისტენტობა შეიძლება მომატებულად მოგეჩვენოთ. ნორმალური ხეზისტენტობის შეგრძნებას ვარჯიშით ისწავლით.

ხეზისტენტობის დაქვეითება მიუთითებს პერიფერიული ნერვული სისტემის, ნაოსნების დაავადებებზე ან ზურგის ტვინის დარღვევებზე. იხ. ცხრილი 17-6, ჯუნთების ტონუსის დარღვევები (გვ. 659).

გამოხატული სიხშირე *ჰიპოტონიაზე* და მოდუნებულ ჯუნთებზე მიუთითებს.

თუ ხეზისტენტობის დაქვეითებას ვარაუდობთ, დაუჭირეთ ნინამხარი და ხელი შეუხერხეთ თავისუფლად უკან და ნინ. ნორმალურად, ხელი ნინაც და უკანაც თავისუფლად მოძრაობს, მაგრამ ბოლომდე მოქნილად არა.

თუ ხეზისტენტობა გაზრდილია, დაადგინეთ ჯიდურის მოძრაობის დროს ცვალებადობს თუ მუდმივია მოძრაობის დროს და ორივე მიმართულებით, მაგალითად, მოხრის და გაშლის დროს. შეიგრძნობთ ხეზისტენტობა თანაბარია თუ არა.

ცვალებად და მომატებულ ხეზისტენტობას, რაც უკრულებს მოძრაობის ამპლიტუდის მაქსიმუმზე ეწოდება *სპასტიურობა*, ხომელიც უცვლელია მოძრაობის დროს და ორივე მიმართულებით, ეწოდება *პლასტიური რიგიდობა*.

ფეხების ჯუნთების ტონუსის შესამოწმებლად, ერთი ხელით დაიჭირეთ ავადმყოფის ბარძაყი, მეორე ხელი მოკიდეთ ტერფს და მოუხარეთ და გაუშალეთ მუხლის და ბარძაყის სახსრებში ორივე მხარეს. დააკვირდეთ ხეზისტენტობას თქვენი მოძრაობის მიმართ.

ჯუნთების ძალა. ნორმალურ ადამიანებს სხვადასხვა ძალის ჯუნთები აქვთ და ნორმის სტანდარტი, ცნობილია, რომ ცვალებადობს ასაკის და ჯუნთების ვარჯიშის მიხედვით. ავადმყოფის დომინანტურ მხარეს ჯუნთები უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე მხარეს. გახსოვდეთ ეს განსხვავება, როდესაც მხარეებს ადარებთ.

ჯუნთების ძალის შემოწმების დროს სთხოვეთ ავადმყოფს აქტიურად იმოძრაოს თქვენი ნინააღმდეგობის მიმართ ან ნინააღმდეგობა გაუწიოს თქვენს მოძრაობას. დარწმუნდით, რომ მოცემული ჯუნთი უფრო ძლიერია, ვიდრე გრძელი.

ძალის დაქვეითებას სისუსტე, ანუ *პარეზი* ეწოდება. ძალის არარსებობას დამბლა, ანუ *პლეგია* ეწოდება. *ჰემიპარეზი* ეწოდება სხეულის ერთი მხარის სისუსტეს; *ჰემიპლეგია* არის სხეულის ერთი ნახევრის დამბლა. პარაპლეგია ნიშნავს ფეხების დამბლას; *ქვადრიპლეგია* ოთხივე ჯიდურის დამბლაა.

ხოდესაც ჯუნთები იმდენად სუსტია, რომ ვერ აჭარბებს ნინააღმდეგობას, შეამოწმეთ სიმძიმის მიმართ ან სიმძიმის მოცილების დროს. მაგალითად, ხოდესაც ნინამხარი ჰორიზონტის მდებარეობაშია, მაჯის სახსარში ზურგისკენ მოხრა შეგიძლიათ შეამოწმოთ სიმძიმის მიმართ. ხოდესაც ნინამხარი ჰორიზონტალსა და სუპინაციას შორის მდებარეობაშია, მაჯაში გაშლა შეგიძლიათ შეამოწმოთ სიმძიმის მოცილებით. ბოლოს, თუ ავადმყოფს უჭირს სხეულის ხომალდის ნაწილის მოძრაობა, ნახეთ ან შეიგრძნოთ სუსტი ჯუნთების შეკუმშვა.

იხ. ცხრილი 17-7, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დარღვევები (გვ. 660-662).

ჯუნთების ძალის შესაფასებელი სკალა

ჯუნთების ძალა გამოიხატება 0-დან 5-მდე ქულით

0 – ჯუნთების შეკუმშვა არ აღინიშნება
1 – ჯუნთების ოდნავ შესამჩნევი თითოღვა
2 – სხეულის ნაწილების აქტიური მოძრაობა სიმძიმის მოცილებისას
3 – აქტიური მოძრაობა სიმძიმის მიმართ
4 – აქტიური მოძრაობა სიმძიმის მიმართ და მცირე ხეზისტენტობა
5 – აქტიური მოძრაობა სრული ხეზისტენტობის მიმართ შესამჩნევი სისუსტის გარეშე. ეს არის ჯუნთების ნორმალური ძალა.


უფრო გამოცდილ ექიმს მეტი სიზუსტით შეუძლია განსაზღვროს ჯუნთების ძალა პლიუსების და მინუსების გამოყენებით. მაგალითად, 4+ აღნიშნავს ჯარს, მაგრამ არა მთელ ძალას, მაშინ, როდესაც 5- ნიშნავს უმნიშვნელო სისუსტეს.

ქვემოთ აღნერილია მთავარი ჯუნთების გამოკვლევის მეთოდები. ფრჩხილებში მოცემულია სპინალური ფესვები და დაზიანებული ჯუნთების დასახელებები. ზურგის ტვინის ან პერიფერიული ნერვების დაზიანების დიაგნოზისის ეჭვთ დასადგენად დაგჭირდებათ დამატებითი გამოკვლევები. ამ სპეციალიზებული ტესტებისთვის გაეცანით ნევროლოგიის სახელმძღვანელოს.

მხრის (C5, C6 – ორთავა) და *მკლის* (C6, C7, C8 – სამთავა) *ტესტი იდაყვის სახსარში*, როდესაც ავადმყოფი ხელს ზემოთ ან ქვემოთ სწევს თქვენი ხელის საწინააღმდეგოდ.




იდაყვის მოხრა



იდაყვის ბაშღა

მაჯაში გაშლის ტესტი (C6, C7, C8 – სხივის ნერვი) – სთხოვეთ ავადმყოფს მუშტი გაკეთოს და წინააღმდეგობა გაუწიოს თქვენს დაწოლას.

გაშლის სისუსტე ვლინდება ჰერიფერიული ნერვების დაავადებების დროს, როგორიცაა სხივის ნერვის დაზიანება და ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები, როგორიცაა ინსულტი ან გაფანტული სკლეროზი.



მაჯის ბაშღა

მოქნევის ტესტი (C7, C8, T1). სთხოვეთ ავადმყოფს, თქვენს ორ თითს ხელი მოუჭიროს ისე შეუძლია მაგრად და არ მოგცეთ თითების განევის საშუალება. (იმისათვის, რომ მოქნევისას თითები არ გეტკინოთ, შეა თითი დადეთ საჩვენებელზე). ნორმალურად თქვენ ვერ ენდა გამოსწიოთ თითები პაციენტის ხელიდან. ორივე ხელის მოქნევა ერთდროულად მეამონმეთ, როდესაც მტკივნები გაშლილია ან ეყრდნობა მეხლებს.

მოქნევის სისუსტის მიზეზი შეიძლება იყოს ან ცენტრალური ან პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები, ასევე ხელების მტკივნეული დაზიანებები.



მოჭეხის ტესტი

თითის მოზიდვის ტესტი (C8, T1, იდაყვის ნეირი). ავადმყოფის ხელისგული უნდა იყოს ქვევით და თითები გაშლილი და განზიდული. უთხარით, ან მოგცეთ მისი თითების მოახლოების საშუალება.

თითების მოზიდვის სისუსტის მიზეზი იდაყვის ნეირის დაზიანებაა.



თითების ბაშლა

ცერის ნინააღმდეგობის ტესტი (C8, T1, საშუალო ნეირი). ავადმყოფმა უნდა ესაღოს ცერი თითით შეეხოს ნეკის ნვეს თქვენი წინააღმდეგობის მიმართ.

ცერის წინააღმდეგობის შესუსტების მიზეზია საშუალო ნეირის დაზიანება, ჩოგორიცაა მაჯის არხის სინდრომის დროს.



სეხის ნინაალმდებობა

ტანის *კუნთების ძალის შემოწმება* შეგიძლიათ ჩაატაროთ გამოკვლევის სხვა ნაწილებში. ეს მოიცავს:

- ზუსგის მოხსას, გაშლას და გვერდზე გადახსას და
- სუნთქვის დროს გულ-მკერდის გაშლას და დიაფრაგმის ექსკურსიას

მენჯ-ბარძაყის სახსარში მოხრის ტესტი (L2, L3, L4 – თეძო-სუკის კუნთი) თქვენი ხელი დადეთ ავადმყოფის ბარძაყზე და სთხოვეთ, ასწიოს ფეხი თქვენი ხელის საწინააღმდეგოდ.



მუხლის გაშლა

ბარძაყის მოხრედვა (L2, L3, L4 – მომხრედველი). ხელები ძლიერად დაანყვეთ საწოლზე ავადმყოფის მუხლებს მოხრის და სთხოვეთ ფეხები ერთმანეთს მიუახლოვოს.

ბარძაყის განზიდვის ტესტი (L4, L5, S1 – შუა და მცირე დუნდელა კუნთები) ხელები ძლიერად დაანყვეთ საწოლზე ავადმყოფის მუხლებს გარეთ და სთხოვეთ ფეხები ერთმანეთს დააშოხოს.

ბარძაყის გაშლის ტესტი (S1 – დიდი დუნდელა კუნთი). დასწიოს ბარძაყი ქვემოთ თქვენი ხელის საწინააღმდეგოდ.


მუხლის სახსარში გაშლის ტესტი (L2, L3, L4 – ოთხთავა კუნთი). ფეხი მუხლის სახსარში მოუხარეთ და სთხოვეთ გაშალოს თქვენი ხელის საწინააღმდეგოდ. ოთხთავა კუნთი სხეულის ყველაზე ძლიერი კუნთია, ამიტომ ელოდეთ ძლიერ წინააღმდეგობას.

ჰორიზონტალური კუნთების სიმეტრიული სისუსტე მიუთითებს *მიოპათიაზე*, ანუ კუნთების დაავადებებზე; დისტალური კუნთების სისუსტე მიუთითებს *პოლინეიროპათიაზე*, ანუ პერიფერიული ნერვების დაზიანებაზე.



მენჯ-ბარძაყის სახსარში მოხრა

მუხლის სახსარში მოხრის ტესტი (L4, L5, S1, S2 – მუხლქვეშა). ჩოგორც ქვემოთაა ნაჩვენები. ავადმყოფის ფეხი ისე დადეთ, რომ მუხლის სახსარში მოხრილი იყოს და ტერფი სანოლზე იდოს. ეთხოვით, ტერფის მდებარეობა შეინარჩუნოს, როდესაც თქვენ ფეხის გასწორებას ცდილობთ.



ტერფის მოხრა

მუხლის მოხრა

ტერფის ზურგისკენ (ძირითადად L4, L5) და *ძირისკენ მოხრის* (ძირითადად S1) *ტესტები.* სთხოვეთ ავადმყოფს, ტერფი თქვენი ხელის საწინააღმდეგოდ დასწიოს ან ასწიოს.



ტერფის ზურგისკენ მოხრა



კოორდინაცია. ჯენთების მოძრაობის კოორდინაციისთვის საჭიროა, რომ ნერვული სისტემის ოთხივე ნაწილი შეთანხმებულად ფუნქციონირებდეს:

- მოტორული სისტემა ჯენთების ძალისთვის
- ნათხემის სისტემა (ასევე მოტორული სისტემის ნაწილი) რიტმული მოძრაობისა და მდებარეობის სტაბილურობისთვის
- ჯაჭვის სისტემა წონასწორობისთვის და თვალების, თავის და სხეულის მოძრაობის კოორდინაციისთვის)
- სენსორული სისტემა მდებარეობის შეგრძნებისთვის

კოორდინაციის შემოწმებისთვის, დააკვირდით ოგორ ასრულებს ავადმყოფი:

- სწრაფ მონაცვლეობითი მოძრაობებს
- წერტილ-წერტილში მოძრაობებს
- სირბილის და სხეულის სხვა მოძრაობებს
- კონტროლს, მითითებულ დგომებს

სნაფი მოძაობები


მაგალითები. გაჩვენოთ, როგორ აიყვანს ხელს საგანს, ზემოთ სწევს, აბრუნებს და ხელის ზურგით ქვემოთ აწყობს იგივე ადგილზე. სთხოვეთ, ეს მოძრაობები გაიმეოროს ისე შეუძლია სწრაფად.



ნათხემის დაავადებების დროს, უხეში მოძრაობა სწრაფად ვერ მოჰყვება მის საპირისპიროს და მოძრაობები ნელია, დაჩლეული და მოუხერხებელი. ამ დაჩლეულობას უწოდებენ *დისდიადოქოკინეზი.* უმაღლესი მოტორული ნეირონის სისუსტე ბაზალური განგლიების დაავადებების დროს ასევე აუხერხებს სწრაფ ცვლად მოძრაობებს, მაგრამ სხვანაირად.

დააკვირდით მოძრაობის სისწრაფეს, რიტმს და სირბილეს. გაიმეორეთ მეორე ხელით. ინდომინანტური ხელი ამ მოძრაობებს შედარებით უარესად ასრულებს.

გაჩვენოთ, როგორ აწყობს ცერის დისტალურ სახსარს საჩვენებელი თითის ნვერით ისე შეუძლია სწრაფად. ასევე დააკვირდით მოძრაობის სისწრაფეს, რიტმს და სირბილეს. ინდომინანტური ხელი ამ მოძრაობებს შედარებით უარესად ასრულებს.



ფეხები. სთხოვეთ ავადმყოფს, ისე შეუძლია სწრაფად შეეხოს თქვენს ხელს თითოეული ტერფით. დააკვირდით მოძრაობის შენელებას ან უხერხულობას. ნორმალურად, ფეხებით მოძრაობას უფრო უარესად ასრულებთ, ვიდრე ხელებით.

დისდიადოქოკინეზია ვლინდება ნათხემის დაავადებების დროს.

ნერვი-ნერვში მოძრაობა

მაგალითები. სთხოვეთ ავადმყოფს ნამოდენიმეჯერ შეეხოს თქვენს საჩვენებელ თითს და შემდეგ თავის ცხვირს. თითი ამოძრავეთ ისე, რომ ავადმყოფი ყურადღებით ადევნებდეს მიმართულებას და ბოლომდე გაშალოს მკლავები, ნათა მიწვდეს. დააკვირდით მოძრაობის სიზუსტეს და სირბილეს, ხომ არ აღინიშნება ტრემორი. ნორმალურად, ავადმყოფის მოძრაობა ნებისმიერია და ზუსტი.

ნათხემის დაავადებების დროს მოძრაობა უხერხულია, მერყევი, ცვალებადობს სისწრაფე, ძალა და მიმართულება. თითი შეიძლება თავიდან ასცდეს შეხების ნერვიულს, მაგრამ საბოლოოდ ზუსტად შეეხება. ასეთ მოძრაობას უწოდებენ *დისმეტრიას.* მოძრაობის ბოლოს შეიძლება გაჩნდეს *ინტენციური ტრემორი* (იხ. გვ. 653).

ამის შემდეგ თითი ისე დაიჭიროთ, რომ ავადმყოფი შეეხოს მკლავით და გაშლილი თითით. სთხოვეთ ავადმყოფს, მკლავები თავის ზევით ასწიოს და შემდეგ დასწიოს, ხათა თქვენს თითს შეეხოს. ხამოღენიმეჯერ გამეორების შემდეგ, სთხოვეთ ორივე თვალი დახუჭოს და ისევ ხამოღენიმეჯერ გაიმეორხოს. გაიმეორეთ მეორე მხარეს. ნორმალურად, ადამიანს შეუძლია შეეხოს გამომკვლევის თითს ხოგორც გახელილი, ასევე დახუჭული თვალებით. ამ მოძრაობებით შეგიძლიათ შეამოწმოთ მდებარეობის შეგრძნება და ღაბირინთის და ნათხემის ფუნქციები.

ნათხემის დაავადებები ინვევენ ჯოროდინაციის დარღვევას, რაც ეხარებება თვალების დახუჭვისას. ამ შემთხვევაში ეს მიუთითებს მდებარეობის შეგრძნების დაჯარგვაზე. განმეორებითი და მყარი გადახრა ეხთ მხარეს, რომელიც უხარებება თვალების დახუჭვის დროს, მიუთითებს ნათხემის ან ვესტიბულის დაავადებაზე.

ფეხები. სთხოვეთ ავადმყოფს, ეხთი ფეხის ქუსლი დააღოს მეორე მუხლს და შემდეგ ქვემოთ ჩამოასრხოს დიდ თითამდე. დააკვირდით მოძრაობის სირბილეს და სიზუსტეს. გაამეორებინეთ ეს მოძრაობა დახუჭული თვალებით მდებარეობის შეგრძნების შესამოწმებლად. გაიმეორეთ მეორე მხარეს.

ნათხემის დაავადების დროს ქუსლი შეიძლება აცდეს მუხლს და შემდეგ ქანაობდეს წვივის გასწვრივ. ხოდესაც დაჯარგულია მდებარეობის შეგრძნება, ავადმყოფის ქუსლს ეფხო ზემოთ სწევს და ცდილობს მხედველობით გააკონტროლოს. დახუჭული თვალებით შესრულება გაძნელებულია.

სირბილე. სთხოვეთ ავადმყოფს:

- *გაიარხოს ოთახში* ან დარბაზში, შემდეგ უკან დაბრუნდეს. დააკვირდით პოზას, ნონასწორობას, ხელების და ფეხების მოძრაობას. ნორმალურად ადამიანი ნონასწორობას ადვილად იცავს, ხელები სხეულის გვერდებზე რხევა და შემობრუნება სრულიად ჩვილია.

სირბილის შეცვლამ შეიძლება გამოინვიოს დაცემა.

სირბილს, ხოდესაც ჯოროდინაცია დარღვეულია და ახლავს ბარბაცი, ეწოდება *ატაქსია*. ატაქსია შეიძლება განვითარდეს ნათხემის დაავადებების დროს, მდებარეობის შეგრძნების დაჯარგვის ან ინტოქსიკაციის დროს. იხ. ცხრილი 17-8, სირბილის და პოზის დარღვევები (გვ. 663-664).



- *თითის წვერებზე* და ქუსლებზე სირბილი სნორმალურ ხაზზე – ეწოდება *ტანდემური სირბილი.*

ტანდემური სირბილი გამოავლენს ატაქსიას.

- *სირბილი ჯერ თითის წვერებზე, შემდეგ ქუსლებზე* – მგრძნობიარე ტესტია, შესაბამისად, ფეხისგულისკენ და ზურგისკენ მებრუნებისთვის, ასევე ნონასწორობისთვის.

თითის წვერებზე და ქუსლებზე სირბილი ავლენს ფეხების დისტალურ ჯუნთოვან სისუსტეს. თუ ავადმყოფს არ შეუძლია ქუსლებზე სირბილი, ეს ჯოტიჯოსპინალური ტრაქტის სისუსტის მგრძნობიარე ტესტია.



- *ადგილზე ხტომა* თითოეული ფეხით (თუ მძიმე ავადმყოფი ხარ ხარის). ხტომაში მონაწილეობენ ფეხების ჰიოქსიმაღეური ჯუნთები, ისევე როგორც ზოგიერთი დისტალური და საჭიროებს პოზიციის ჯაჭვ შეგძნებას და ნათხემის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ადგილზე ხტომის გაძნელება ვითარდება სისუსტის, პოზიციური მგრძნობელობის დაქვეითების ან ნათხემის დისფუნქციის დროს.

- *მუხლში სუსტად მოხრა* ჯერ ერთ ფეხზე, შემდეგ მეორეზე. თუ გრძნობთ, რომ ავადმყოფი შეიძლება დავარდეს, ხელი მოჰკიდეთ იდაყვზე.

ამ მოძრაობის შესრულების გაძნელება მიუთითებს ჰიოქსიმაღეურ სისუსტეზე (ბარძაყის გამშლელები), ოთხთავა ჯუნთის სისუსტეზე (მუხლის გამშლელი) ან ორივეზე ერთად.

- *მჯდომარე მდგომარეობიდან ადგომა* ხელების დახმარების გარეშე და *მყარ სკამზე* ასვლა უფრო შესაფერისი ტესტებია, ვიდრე ხტომა ან მუხლების მოხრა ხანდაზმულ ან სუსტ ავადმყოფებში.

ხოლესაც ისინი ახლა ძალიან მშვიდები ახიან (ნაკლებად მგრძნობიარე), ახლა ძალიან მშივრები (და ხშირად აგზნებულნი). უმჯობესია, გასინჯვა დაიწყოთ, ხოლესაც ახალშობილი გახვეულია და ჯომფორტულადაა. შემდეგ გასინჯვის პროცესში გახადეთ ბავშვს თანდათანობითი სტიმულაციით და გამოფხიზლებით. თუ ბავშვი აგზნებულია, გამოიყენეთ დამამშვიდებელი, ან ბოთლის საკვები (თუ ძუძუთი ის იკვებება), ან მიეცით უფლება ნოვოს თქვენი ხელთათმანიანი თითი, ან საკუთარი ხელი. ასევე შეგიძლიათ ეცადოთ ხელახლა შეახვიოთ ბავშვი, ჰათა დამშვიდდეს და ჩაატაროთ ის გამოკვლევები, ჰაც საჭიროებს ბავშვის ჩუმად ყოფნას.

შეფასება დაბადებისთანავე: ექსტრაუტეროინული ცხოვრებისადმი ადაპტაცია

დაბადებისთანავე ბავშვის გამოკვლევა მნიშვნელოვანია ზოგადი მდგომარეობის, განვითარების დონის, ორსულობის პერიოდში განვითარების დარღვევების და ჰაიმე თანდაყოლილი პათოლოგიის დადგენის მიზნით. გამოკვლევამ შეიძლება გამოავლინოს გულის, სუნთქვის, ან ნევროლოგიური დარღვევები. სტეტოსკოპით მოისმინეთ გულ-მკერდის წინა ზედაპირი, ჩაატარეთ მუცლის პალპაცია, დაათვალიერეთ თავი, სახე, პირის ღრუ, ყიდულები, სასქესო ორგანოები და მოხრისი.

Apgar-ის ქულათა სისტემა. *Apgar-ის* (აბგარის) ქულები არის ბავშვის დაბადებისთანავე შეფასების ყველაზე სწორი გზა. იგი შედგება 5 კომპონენტისგან, რომელთა მეშვეობით ხდება ახალშობილის ნევროლოგიური სტატუსის ნორმაში დაბრუნება დაბადების პროცესის ზეგავლენის შემდგომ და ექსტრაუტეროინული (საშვილოსნოს გარე) ცხოვრების ადაპტაცია ყოველგვარი შეალედური სტადიის გარეშე. შეაფასეთ თითოეული ახალშობილი პირველი 5 წუთის განმავლობაში შემდეგი ცხრილის მიხედვით. შეფასება ეფუძნება 3-დანაყოფიან (0, 1, ან 2) სკალას თითოეული კომპონენტისთვის. საერთო შეფასება მერყეობს 0-დან 10-მდე.

Apgar-ის ქულათა სისტემა

კლინიკური სიმპტომი	0	1	2
გულისცემის სიხშირე	არ აღინიშნება	წუთის განმავლობაში < 100 დარტყმაზე	წუთის განმავლობაში > 100 დარტყმამდე
სუნთქვითი ძალისხმევა	არ აღინიშნება	ნელი (არარეგულარული)	კარგად გამოხატული ტირილი
კუნთოვანი ტონუსი	სუსტი	კიდურების უმნიშვნელო ფლექსია	აქტიური მოძრაობები
რეფლექსური აგზნებადობა	რეაგირება არ აღინიშნება	გრიმასა	დაცემინება ან დახველება
ფერი	ლურჯი, მკრთალი	ვარდისფერი სხეული, ლურჯი კიდურები	სხეული მთლიანად ვარდისფერია

1-წუთიანი Apgar-ის ქულებით შეფასება

8-10
ნორმალური
5-7
ნეირული სისტემის მცირე დაქვეითება
0-4
მძიმე დაქვეითება, რაც დაუყოვნებლივ ყურადღებას მოითხოვს

5-წუთიანი Apgar-ის ქულებით შეფასება

8-10
ნორმალური
0-7
ცენტრალური ნეირული სისტემის და სხვა ორგანოების დისფუნქციის მაღალი რისკი

გესტაციური (ორსულობის) ასაკი და წონა დაბადებისას. ორგორც კი ახალშობილი დაბადება ახალ გარემოში, მნიშვნელოვანია მისი წონის და გესტაციური ასაკის (ზრდასრულობის) მიხედვით კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია მოგვხმარებათ ინფორმაციის მიღებაში (წინასწარ განსაზღვრით) ჯანმრთელობის პრობლემები და სიკვდილობა. ზოგიერთი კლინიკური პრაქტიკის ექსპერიმენტაციები ფოკუსირებულია გარკვეული წონისა და გესტაციური ასაკის ქვემოთ დაბადებულ ჩვილებზე.

გესტაციური ასაკი ემყარება სპეციფიკურ ნეირო-ფუნთოვან ნიშნებსა და ფიზიკურ მახასიათებლებს, რომლებიც იცვლება საშვილოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდში. გესტაციური ასაკის დასადგენად ამ მახასიათებლების მიხედვით რამოდენიმე შეფასების სისტემა არის შემუშავებული.

Ballard-ის (ბალარდის) ქულებით შეფასების სისტემა აღგენს გესტაციურ ასაკს 2 კვირის სიზუსტით, დღენაკლულ ბავშვებშიც კი. ცხრილში 18-1 (გვ. 794) მოცემულია Ballard-ის (ბალარდის) ქულებით შეფასების სისტემა, ნეირო-ფუნთოვანი და ფიზიკური განვითარების შეფასების ინსტრუქციით.[10]

დაბადების წონის და გესტაციური ასაკის კლასიფიკაცია

დაბადების წონა

კლასიფიკაცია	*წონა*
▪ დაბადებისას ექსტრემალურად მცირე	<1.000 გრამი
▪ დაბადებისას ძალზე მცირე	< 1.500 გრამი
▪ მცირე მასის	< 2.500 გრამი
▪ ნორმალური	≥ 2.500 გრამი

გესტაციური ასაკი *კლასიფიკაცია*	*გესტაციური ასაკი*
დღენაკლული	<37 კვირა (<259 დღე)
დროული	37-42 კვირა
ვადაგადაცილებული	> 42 კვირა (>294 დღე)

შემდეგ გვერდზე მოცემული კლასიფიკაცია, რომელიც გამოიყენება, მოიცავს ორივეს: დაბადების წონის და გესტაციური ასაკის კომპონენტებს და ემყარება ახალშობილთა დაბადების წონას საშვილოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდში ზრდის მიხედვით.

ჯგუფი	აბრევიატურა	პერცენტილი
გესტაციის ასაკთან შედარებით მცირე მასის	SGA - small for gestational age	<10
გესტაციის ასაკთან შესაბამისი	AGA – appropriate for gestational age	10-90
გესტაციის ასაკთან შედარებით დიდი მასის	LGA – Large for gestational age	>90




შემდეგ გვერდზე მოცემულია სამშობლოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდში ზრდის მრუდი 10 და 90 პერცენტილისთვის და გამოხატავს ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა ჯგუფს, დამყარებულს დაბადების წონასა და გესტაციის ასაკზე. ზემოთ ნაჩვენები სამივე ბავშვის გესტაციური ასაკია 32 კვირა, ხოლო წონებია 600გ (SGA), 1400გ (AGA) და 2750გ (LGA).

თითოეული ჯგუფისას გააჩნია განსხვავებული სიკვდილობის სიხშირე, ყველაზე მაღალი SGA და AGA ახალშობილებისთვის და ყველაზე დაბალი დროული AGA ჩვილისთვის.

სამშობლოსნოსშიდა (ინტრაუტერინული) პერიოდის ზრდა ემყარება ცოცხალშობილი, ეთით, თერთმეტნიანი ჩვილის დაბადების წონას და გესტაციის ასაკს. A ნეიტრი აღნიშნავს დღენაკლულ ახალშობილს, ჩ ნეიტრი აღნიშნავს ჩვილს, რომლის წონა განვითარებულის ტოლია და ასაკი

დღენაკლული AGA ჩვილებს უფრო ხშირად აღენიშნებათ, ჰესპირაციული დისტრეს სინდრომი, აპნოე, ღია არტერიული სადინარი მარცხნიდან მარჯვნივ შუნტით და ინფექციები. *დღენაკლულ SGA ჩვილებში* უფრო ხშირია ასფიქსია, ჰიპოგლიკემია და ჰიპოთერმია.

სამკვირისნოსმიდა (ინტრაუტეინული) პერიოდის ზრდის მრუდი



LGA ჩვილებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული სიძნელეები დაბადების დროს. დიაბეტით დაავადებული დედების ჩვილები ხშირად არიან LGA და დაბადებიდან ხანმოკლე პერიოდში შეიძლება ჰქონდეთ მეტაბოლური დარღვევები, ასევე თანდაყოლილი პათოლოგიები.

გესტაციაზე ნაკლები. ზრდის მრუდი ტიპიურია 10 და 90 პერცენტილის ყველა შეჩვეული ახალშობილისთვის.

დაბადებიდან ხამოდენიმე საათში ჩატარებული გამოკვლევა

დაბადების პირველი დღის განმავლობაში, გასინჯვა ოპტიმალურია დაბადებიდან 8 საათის განმავლობაში. დაიცადეთ, სანამ ყვებიდან 1-2 საათი გავა, როდესაც ბავშვი ყველაზე უფრო აღვილად კონტაქტურია და სთხოვეთ მშობლებს, დარჩნენ ოთახში.

ბავშვი დათვალიერეთ, როდესაც მშვიდად წევს და შემდეგ, როდესაც შიშველია, ასევე მშვიდად ყოფნისას. გამოიკვლიეთ ბავშვის ფერი, ზომა, სხეულის პროპორცია, ნაკვთობა, პოზა, ისევე, როგორც სუნთქვა და თავისა და კიდურების მოძრაობა.

უმრავლესობა ნორმალური, დროული ახალშობილებისა ნვანან სიმეტრიულ პოზაში, ხელები ნახევრად მოხრილი აქვთ და ფეხები ნაწილობრივ მოხრილი მენჯის სახსრებში.

ნორმალუსად აღინიშნება სპონტანური მოტორული აქტივობა, მონაცვლეობით ხრის და შლის ხელებს და ფეხებს. თითები, ჩვეულებრივ, მოხრილი აქვს მუშტად, მაგრამ შეუძლია გაშალოს ნელი ათეტოზური მოძრაობით. დაბადების შემდეგ ხანმოკლე დროით შეიძლება აღინიშნებოდეს ჯიბურების და ტანის სუსტი ტონუსი ძლიერი ტკივილის დროს და ზოგჯერ მოსვენებისას.

გამოკვლევის პროცესში, განსაკუთრებით აუსკულტაციის და პალპაციის ჩატარების დროს, მნიშვნელოვანია ბავშვი მშვიდად იყოს. შეგიძლიათ ხელთათმანიანი თითი დაადოთ ატრიებული ბავშვის პირს, რათა გააჩუმოთ და ჯერჯერობით ეს გამოკვლევები. გამოკვლევების თანმიმდევრობა საკვლევებელი არ არის.

T. Beri Brazelton-ის (ბერი ბრაზელტონის) და სხვათა შრომებში ნაჩვენებია ახალშობილთა ფარული შესაძლებლობები.[11] ზოგიერთი უნარის ჩვენება თქვენც დახმარებას გაგიწევთ და მშობლებსაც ესიამოვნებათ. მომდევნო გვერდზე ნაჩვენებია ახალშობილთა ზოგიერთი შესაძლებლობა.



ნებისმიერი ბავშვის პოტენციური შესაძლებლობები ყველაზე დამაინტრიგებელია და ყველაზარი შემოქმედებით აქტიურდება.
– ჰერი ვილბურნი

ჩოდესაც ბავშვი *ჯდომით იბადება*, თავი და ფეხები გაშლილი აქვს. *გახსნილი ჯდომით* ბავშვი განზიდულია და გარეთ შებრუნებული.

დაბადებიდან 4 დღის შემდეგ მოსვენებულ მდგომარეობაში ტონუსის არსებობა სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებაზე მიუთითებს, დანყებული *ასფიქსიით* და დამთავრებული *ნამღების შენყვეტით*. ნებისმიერ დროს ხელების და ფეხების ასიმეტრიული მოძრაობები მიუთითებს *ცენტრალურ* და *პერიფერიულ ნევროლოგიურ დეფიციტზე*, სამშობიარო ტრავმაზე (ბრაქიალური ნაწილის მოტეხილობა, ან მხრის წნელის დაზიანება), ან თანდაყოლილ ანომალიაზე.

ახალშობილებს, რომელთაც ან გააჩნიათ ბევრი ზემოთ ჩამოთვლილი ჩვევა, გააჩნიათ ნევროლოგიური დახლოვება, ნამღების მიღების შეწყვეტა, ან სუროზული დაავადება.

რა შეუძლია ახალშობილს: ფომპეიქსური ქცევების შესაძლებლობები

ძირითადი ელემენტები

- ახალშობილს შეუძლია ხუთივე გრძნობის გამოყენება. მაგალითად, მათ უჭერენიათ ადამიანს სახეში უყურონ და შეტრიალდნენ მშობლის ხმაზე.
- ახალშობილი უნიკალური ინდივიდია, მრავალფეროვანი შესაძლებლობებით უთანასწორობა დაამყარონ გარემოსთან. შესამჩნევი განსხვავებები ვლინდება ტემპერამენტში, პიროვნულ თვისებებში, ქცევებსა და სწავლის უნარში.
- ახალშობილები აღვილად, დინამიურად ეკონტაქტებიან მომვლელებს. ეს არის გზა ორმხრივი მოძრაობით! ახალშობილი და მომვლელი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

ახალშობილთა ფომპეიქსური ქცევების მაბალითები

მიჩვევა

ახალშობილის უნარი, არჩევითად და ჰომეოსტაზად არ მიიღოს უარყოფითი სტიმულები (ჰომოფილაა განმეორებადი ხმები)

მოხიბლა

ექსპრომტული, დინამიური პროცესი მომვლელთან ურთიერთობის და კავშირის

მდგომარეობის ცვლილება

ახალშობილის უნარი, ცვალოს აგზნების დონე სხვადასხვა ხარისხის სტიმულაციის მიხედვით (მაგ. თავის დამშვიდების უნარი)

ალქმა

ახალშობილის უნარი, უყუროს სახეს, შებრუნდეს ხმაზე, გაჩერდეს სიმღერის დროს, გაყვეს ფერად საგნებს, უპასუხოს შეხებას და ამოიცნოს ნაცნობი სუნი.

III ჩვილი ბავშვის შეფასება

ჩვილი ბავშვის კარგი გამოკვლევის საფუძველია განვითარების შესაფერისი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა *ყურადღების გადატანა* და *თამაში*. იმის გამო, რომ ჩვილი დროის ერთ მომენტში ყურადღებას ერთ რამეს აქცევს, შედარებით აღვილია, გასინჯვის დროს მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოთ. შეგიძლიათ ბავშვის ყურადღება გადაიტანოთ მოძრავ საგანზე, ნათებაზე, დახჭობანაზე, ლიტონზე, ან რაიმე ხმაურზე.

თუ არ შეგიძლიათ ბავშვის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოთ ან გაღვიძებული ბავშვის ყურადღება შეარჩიოთ რაიმე საგანზე, თქვენს სახეზე ან ხმაზე, განიხილეთ *მხედველობის* ან *სმენის პრობლემების შესაძლებლობა.*

შედარებით მოზრდილი ჩვილის გამოკვლევის ძირითადი საკითხები

- მოზრდილ ჩვილთან ურთიერთობა თანდათანობით დაამყარეთ, ყურადღების გადასატანად გამოიყენეთ სათამაშო, ან რაიმე საგანი.
- რაც შეიძლება მეტი გამოკვლევები ჩაატარეთ ბავშვის დედის მუხლებზე ყოფნის დროს
- ბავშვს ნაზად ელაპარაკეთ, მიამსგავსეთ მის ხმებს, რათა მისი ყურადღება მიიქციოთ.
- მშობელს ჰკითხეთ ბავშვის ძალზე, რათა მიიღოთ გამოსადეგი ინფორმაცია განვითარებაზე და აღზრდაზე.
- თუ ბავშვი გაღიზიანებულია, დარწმუნდით, რომ საკმარისადაა ნაჭამი, სანამ დაიწყებთ გამოკვლევებს.

ზოგადი ჰეპრმენდაციები

გასინჯვა დაიწყეთ, ხოლესაც ბავშვი დედის მუხლებზე ზის, ან წევს. თუ ბავშვი დაღლილია, მშიერია, ან ავად არის, სთხოვეთ დედას, ხომ თავის მეჩიდთან დაიჭიროს. ახლოს გქონდეთ სათამაშოები, ჰელდი, ან სხვა ყოველდღიური საგნები. თუ ბავშვი მშიერია, გამოკვლევის დასრულებამდე უნდა აჭამოთ.



დააკვირდით ჩვილისა და დედის ურთიერთობებს, დედის ემოციებს, ხოლესაც მას შვილზე ესაუბრებით. ყურადღება მიაქციეთ, ხოგორ ატარებს და უჭირავს, ან აცმევს ბავშვს და მშობლის ჩაჭდომას იმ სიტუაციებში, ხაც ბავშვს დისკომფორტს უქმნის. შეაფასეთ და აღნიშნეთ დადებითი ურთიერთქმედებები, ხოგორიცაა სურათზე ნაჩვენები ამჯახა სიამაყე დედის სახეზე.

ბავშვები, ჩვეულებრივ, ენინააღმდეგებიან გახდას, თქმცა ზოგიერთს მოსწონს სიშიშვლე, აღბათ გაზრდილი ტაქტიღური მგრძნობელობის გამო. იმისთვის, ხომ ბავშვმა თქვენც და გარშემო საგნები არ დაასვეღოს, ჯარგი იქნება, თუ გამოკვლევის დროს ბავშვს საფენს დაეტოვებთ. მოხსენით მხოლოდ სასქესო ორგანოების, სწორი ნანლვის, ნეღის და თეძოების გასინჯვისას.

ბავშვის მშობლებთან ურთიერთობაზე დაკვირვებამ შეიძლება გამოავღინოს ორი დარღვევები. ხოგორიცაა *განვითარების შენელება, მეტყველების დაგვიანება, სმენის დეფიციტი*, ან *მშობლებთან არაადეკვატური სიახლოვე*. ასევე, მშობლისა და ბავშვის ურთიერთქმედებებზე დაკვირვება გამოავღენს მშობლებს, ხომლებიც ცედად არიან დაბრკოლებულნი აღზრდის პროცესთან, რისი მიზეზი შეიძლება იყოს *დედის დეპრესია ან არაადეკვატური სოციალური ხელშენყობა*.

ბასინჯვა განვითარების ძირითადი ეტაპების მიხედვით

ვინაიდან დაგჭირდებათ ბავშვის მონაცემების განსაზღვრა, განვითარების საზომი გამოიყენეთ გამოკითხვის შემდეგ, უშუალოდ გამოკვლევის დაწყების წინ. "გახსოვთ" ჩათვლები გაზრდის უთითოთ თანამშრომლობას გამოკვლევის დროს. გამოცდილ ექიმს შეუძლია ჩათვლის განვითარების შეფასება სხვა გამოკვლევებში. 675-ე სუსათზე ნაჩვენებია ფიზიკური და მოტორული, ჯოგნიტური და სამეტყველო და სოციალურ-ემოციური საზომის ზოგიერთი ძირითადი საკითხი ცხოვრების პირველი ნლის განმავლობაში.

ჩვილობის პერიოდში განვითარების საზომის ერთ-ერთი სტანდარტია დენვერის განვითარების სკრინინგული ტესტი (DDST – Denver Developmental Screening Test). იგი შექმნილია განვითარების შენელების დასადგენად პირველ-სოციალური, მცირე მოტორულ-ადაპტაციური, სამეტყველო და დიდი მოტორული ცვლილებების მიხედვით პირველი 6 თვის განმავლობაში.



DDST ფორმა მოცემულია 18-ე ცხრილში, გვ. 795-796 და შეიცავს ინსტრუქციებს სპეციფიკური მონაცემების ჩაწერისთვის. ტესტის თითოეული პუნქტი ნარმოდგენილია ასაკის მიხედვით ურჩევით, რომელიც გამოხატავს, როდის აღწევს ბავშვი საზომზე ასახული პარამეტრების 25%, 50%, 75% და 90%-ს *DDST არის განვითარების საზომი, რომელიც განკუთვნილია გარკვეული ჯგუფების შეფასებისთვის და არა ჯოგნიტური შესაძლებლობების დასადგენად (ინტელექტის).*

ბევრი დარღვევის მიზეზები გაძნელებულია ერთ საზომზე მეტად. ბავშვთა უმრავლესობაში, რომელთაც შენელებული განვითარება აქვთ, მიზეზი უცნობია. ზოგიერთი ცნობილი მიზეზია *ემბრიონული განვითარების დარღვევები* (მაგ. ჰერინატალური ინსულტი, ქრომოსომული ჰათოლოგიები); *მემკვიდრული და გენეტიკური დარღვევები* (მაგ. განვითარების თანდაყოლილი მანკები, გენეტიკური ჰათოლოგიები); *გარემო და სოციალური პრობლემები* (მაგ. ჩვილენტის უმარისობა, ნაადრევი მშობიარობა); და *ბავშვთა დაავადებები* (მაგ. ინფექცია, ტრავმა, ქრონიკული დაავადებები.

DDST მალალსპეციფიკური ტესტია, მაგრამ არა მალალმგრძნობიარე. ბევრ ბავშვს, რომელთაც ოდნავ შენელებული განვითარება აქვს, ნორმალური შეფასება გამოსდის. განსაკუთრებით, მეტყველების განაკვეთში გაბნეულია და გამოტოვებულია ის ბავშვები, რომელთაც მეტყველების მცირე შენელება აქვთ. მიუხედავად ამისა, DDST მაინც გამოიყენება. სხვა უფრო მეტად ჩთული ტესტები გამოსადეგია მოტორული, მეტყველების და სოციალური განვითარების შეფასებისთვის.

თუ დამყოლ ბავშვს DDST პუნქტების ნაწილობა აქვს, შესაძლებელია განვითარების შენელების არსებობა და ასეთი ბავშვი საჭიროებს უფრო ზუსტ გამოკვლევებს და შესნავლას.

DDST გამოიყენეთ როგორც განვითარების შედარებითი გამოკვლევის დამატება. როდესაც ზოგადი გამოკვლევითა და DDST ტესტით ვარაუდობთ განვითარების შენელებას, აუცილებელია შემდგომი გამოკვლევების ჩატარება. ღრენაკლულ ბავშვებში განვითარების საზომი გამოიყენეთ, როდესაც მათი გესტაციური ასაკი დაახლოებით 12 თვემდეა.

ახალშობილისა და ჩვილის გამოკვლევის მეთოდები

III ზოგადი დათვალიერება და სასიცოცხლო ნიშნები

ზოგადად, მონაცემების გადახრა ასაკის ორ სტანდარტულ ნორმის 95 პროცენტილის ზევით და 5 პროცენტილის ქვევით ნახმოდგენს უფრო დეტალური გამოკვლევის ჩვენებას.

ბავშვებში გამოკვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტებია სხეულის ზომის დადგენა (სიმაღლე, წონა და თავის გარშემოწერილობა) და სასიცოცხლო ნიშნების შეფასება (სისხლის ნნევა, პული, სუნთქვის სიხშირე და სხეულის ტემპერატურა). თანმხლებ დისკზე მოცემულია სისხლის ნნევის, სიმაღლის, წონის, სხეულის მასის ინდექსის (BMI) და თავის გარშემოწერილობის ნორმები. ნორმიდან გადახრა შეიძლება იყოს დაავადების პირველი და ერთადერთი მაჩვენებელი (იხ. ცხრილები დისკზე). გარდა სხეულის ტემპერატურისა, მნიშვნელოვანია ბავშვის სასიცოცხლო ნიშნების და სხეულის პარამეტრების შედარება ასაკობრივ ნორმებთან, ვინაიდან ეს მონაცემები მკვეთრად იცვლება ბავშვის ზრდასთან ერთად. პედიატრთა სულ უფრო დიდი უმრავლესობა პრაქტიკაში იყენებს ტკივილის შეფასებას ხელმისაწვდომ საფეძველზე ტკივილის სტანდარტული სკალების გამოყენებით.

სომატური ზრდა

ჩვილის ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ზრდის შეფასება, და ნორმიდან გადახრა გამომწვევი პროცესის აღმრველი მაჩვენებელია. ზრდის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ბავშვის ზრდის პარამეტრების შედარება

- ასაკის და სქესის მიხედვით ნორმის მაჩვენებლებთან
- იგივე ბავშვის წინა მონაცემებთან

იმისთვის, რომ მონაცემები ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს, პარამეტრები ყოველდღიურად უნდა გაიზომოს შესაბამისი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით და ოპტიმალურად შეფასდეს წონისა და სიმაღლის კრივებით.

ზრდის ნაკლებობა არის ასაკის შესაბამისად წონის არასაკმარისი მატება. ხშირი სცენარი ასეთია:
- ზრდა <5 პროცენტილზე ასაკისთვის
- ზრდის ტემპი > 2 კვარტილზე 6 თვეში
- წონა სიმაღლესთან <5 პროცენტილზე

მიზეზებია *გარემო და ფსიქოლოგიური ფაქტორები, ასევე ქრონიკული, ნევროლოგიური, გულის, ენდოკრინული, თირკმლების* და სხვა დაავადებები.

სომატური ზრდის შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა ზრდის დიაგრამები, რომლებიც მოდიფიცირებულია და გამოყენებული ჯანმრთელობის სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მიერ. ეს დიაგრამები შეიცავს სიმაღლეს, წონას და თავის გარშემოწერილობას ასაკის მიხედვით, პირველი ნაწილი ეხება 36 თვემდე ასაკის ბავშვებს და მეორე 2-დან 18 წლამდე. ასევე მნიშვნელოვანია დიაგრამები, რომელიც შედგენილია წონის და სიგრძის მიხედვით. ამ დიაგრამებზე არის პროცენტილის გამრუდებული ხაზები, რაც გამოხატავს ქრონოლოგიური ასაკის მიხედვით ბავშვის მონაცემების ზევით და ქვევით ნორმალური ბავშვების პროცენტებს. თანმხლებ დისკზე მოცემულია ზრდის ასეთი დიაგრამები.

სიგრძე. 2 წლამდე ასაკის ბავშვების სხეულის სიგრძის გასაზომად ბავშვი ზურგზე დააწვინეთ გასაზომ სახაზავზე ან ფიცარზე, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები. ბავშვის სიგრძის პირდაპირი გაზომვისთვის დანაყოფებიანი ხრანარის გამოყენება ზუსტი მეთოდი არ არის



შენელებული ზრდა, რომელიც გამოისახება ზრდის მრუდზე სიმღერის პერცენტილების დაკლებით, შეიძლება მიუთითებდეს ქრონიკულ მდგომარეობაზე. მნიშვნელოვანია ნორმის სტანდარტებთან შედარება, რადგან ზრდის სიჩქარე მეორე წლის განმავლობაში, ჩვეულებრივ, უფრო დაბალია, ვიდრე პირველი წლის განმავლობაში

თუ ასისტენტი არ უშლის ბავშვს ფეხებს მუხლის და მენჯის სახსრებში. უფრო მოზრდილ ბავშვებში დაგეხმარებათ ზრდის სისწრაფის მრუდები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვარაუდობთ ენდოკრინულ დარღვევას.

წონა. ჩვილის წონა პირდაპირ გაზომეთ ჩვილის სკალით. ეს უფრო ზუსტია, ვიდრე არაპირდაპირი მეთოდი, რომელიც ემყარება ბავშვისა და მშობლის ეთნიკურად ანონვას და შემდეგ მშობლის წონის გამოკლებას. ბავშვს უნდა ეკეთოს მხოლოდ საფენი, ან მშვენიერი იყოს.

პატარა თავი შეიძლება შედეგი იყოს *ნაკერების ნაადრევი დახურვის*, ან *მიკროცეფალიის* დროს. მიკროცეფალია შეიძლება იყოს ოჯახური, ან სხვადასხვა *ქრომოსომული ცვლილებების, თანდაყოლილი ინფექციების, მკვრივდაფენის პერიოდში მეტაბოლური დარღვევების* და *ნევროლოგიური ინსულტის* შედეგი.



ზომიერად დიდი თავი (>97 პერცენტილი, ან სამუალოდან 2 სტანდარტული გადახრა) არის მაკროცეფალია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს *ჰიდროცეფალია, სუბდურული სისხლჩაქცევა*, ან უფრო იშვიათად, *თავის ტვინის სიმსივნე*, ან *მემკვიდრული სინდრომები. ოჯახური მეგალოენცეფალია* (დიდი თავი) არის ჯეთიერთვისებიანი ოჯახური მდგომარეობა ტვინის ნორმალური ზრდით.

თავის გაჩმემონჭიილობა. ჩვილის თავის გაჩშემონჭიილობა უნდა გაიზომოს ჰიჩველი 2 წლის განმავლობაში, თუმცა ნებისმიერ ასაკში შეიძლება გამოიყენოთ. ჩვილებში თავის გაჩშემონჭიილობა ასახავს თავის ქალას და თავის ტვინის ზჩდის ხაჩისხს.

სასიცოცხლო ნიშნები

სისხლის წნევა. მიუხედავად იმისა, ჩომ ჩვილის სისხლის წნევის ზესტი გაზომვა გაჩკვეული სიძნელეს ნაჩმოადგენს, ის მაინც მნიშვნელოვანია და უნდა ჩატაჩდეს ეჩთხელ მაინც ახალშობილობის ჰერიოდში.



ყველაზე მაჩტივად ჩვილის სისტოლური წნევა შეიძლება გაიზომოს *Doppler-ის (დოპლერის) მეთოდით,* ჩაც ადგენს აჩტერიული სისხლის დინების ვიბჩაციას, გაჩდაქმნის მას სისტოლური წნევის დონედ და გადასცემს ციფრულ მონყობილობას, თუმცა დოპლერის აჰაჩატი ძვიჩია და მაჩგენებლები უფრო მაღალია, ვიდრე აესკულტაციით მიღებული მონაცემები.

სისტოლური წნევა თანდათანობით მატულობს ბავშვობის ჰერიოდში. მაგალითად, ბიჭების ნოჩმალური სისტოლური წნევა დაბადების მომენტში ჩის 70 მმ ვწყ სვ, 1 თვის ასაკში – 85 მმ ვწყ სვ, 6 თვის ასაკში კი – 90 მმ ვწყ სვ. გოგონების და ბიჭების სისხლის ნოჩმალური წნევის დონეები ნლების მიხედვით განსხვავდება დისკზე მოცემულ ცხჩილებში, ჩომლებიც შეიცავს აგჩეთვე ჰერცენტილებს ასაკის და სიგჩძის მიხედვით.

ახალშობილებში *მუდმივი ჰიპერტენზიის* მიზეზები შეიძლება იყოს თირკმლის არტერიის დაავადებები (სტენოზი, თრომბოზი), თირკმლის თანდაყოლილი განვითარებულობა და აორტის კოარქტაცია.

ძალიან სწრაფი პულსი (ჩვეულებრივ, >180-200/წთ-ში მიუთითებს *პაროქსიზმულ სუპრავენტრიკულურ ტაქიკარდიაზე.*

პულსი. ჩვილების გულისცემის სიხშირე ფართოდ ცვალებადობს. ამ მაჩგენებელზე უფრო მეტად მოქმედებს დაავადებები, ვარჯიში და ემოცია. ქვემოთ ნაჩგენებია პულსის სამეალო მაჩგენებლები:

ასაკი	გულისცემის სამეალო სიხშირე	საზღვრები
დაბადებიდან 0-2	140	90-190
0-6 თვე	130	80-180
6-12 თვე	115	75-155

მოესვენას ბავშვებში შეიძლება გაგიჭირდეთ პულსის დათვლა. საუკეთესო საშუალებაა ბახძაყის არტერიის პალპაცია საზარდულის არეში, მხრის არტერიის პალპაცია იღაყვის ფოსოში ან გულის აუსკულტაცია.

ბრადიკარდიის მიზეზი შეიძლება იყოს *წამლების მიღება, ჰიპოქსია, თავის ქალას შიდა* ან *ნევროლოგიური მდგომარეობები* ან, იშვიათად, *ანთება*, ხოლო ტაქიკარდია *ბლოკადები*.

სუნთქვის სიხშირე. ისევე, როგორც გულისცემის სიხშირე მოზარდებთან შედარებით, სუნთქვის სიხშირესაც დიდი საზღვრები აქვს და მასზე გავლენას ახდენს დაავადებები, ვარჯიში და ემოცია. სუნთქვის სიხშირე წუთში ცვალებადობს 30-დან 60-მდე ახალშობილებში.

ძალიან ხშირი და ზედაპირული სუნთქვა აღინიშნება ახალშობილებში, რომელთაც აქვთ *გულის ციანოზული დაავადება*, ნორმალური ფილტვები, მაგრამ შენელებული მარჯვნიდან მარცხნივ და მეტაბოლური აციდოზი.

ახალშობილებში სუნთქვის სიხშირე ცვალებადობს მომენტიდან მომენტამდე გახშირების და შემცირების ეპიზოდებით. ყველაზე მისაღებია სუნთქვის სიხშირე ძილის დროს. აქტიური ძილის დროს სუნთქვის სიხშირე შეიძლება დაახლოებით 10-ით მეტი იყოს მშვიდი ძილის დროს სუნთქვის სიხშირეზე. სუნთქვა უნდა დათვალოთ 60 წამის განმავლობაში. ჩვილებში და ადრეული ბავშვობის ასაკში ჭარბობს მუცლის ტიპის სუნთქვა; გულ-მკერდის ექსკურსია მინიმალურია.

ჩვილებში *ცხელება* ზრდის სუნთქვის სიხშირეს. პნევმონიის არარსებობისას სუნთქვის სიხშირე შეიძლება წუთში 10-ით გაიზარდოს ტემპერატურის თითოეულ გრადუსზე.

ჩვილებში ტაქიპნოე და სუნთქვის სიძნელის ზრდა შესაძლო პნევმონიის მაჩვენებელია.

ზოგადად მიღებული ზღვარი ტაქიპნოეს დეფინიციისთვის:

დაბადებიდან 2 თვემდე >60/წუთში
2-12 თვე >50/წთ-ში

სხეულის ტემპერატურა. ვინაიდან ცხელება ძალიან ხშირია ბავშვებში, ტემპერატურის ზუსტი გაზომვა დაგჭირდებათ, როდესაც ვარაუდობთ ინფექციის დაავადებას, ლოკალიზებას, ან ავთვისებიან სიმსივნეს. მოზარდებში ექსტრა, ორალური და სასმენ მილში ტემპერატურის გაზომვის მეთოდია აღწერილია 112 და 113-ე გვერდებზე. იღლიის ფოსოში და შუბლზე ჯანის ტემპერატურის გაზომვა ჩვილებში და ბავშვებში ზუსტი არ არის.

ცხელება (>38.0°C ან >100.0°F) 2-3 თვემდე ასაკის ჩვილებში შეიძლება იყოს *სერიოზული ინფექციური დაავადების* ნიშანი. ასეთი ბავშვები ყურადღებით უნდა გამოიკვლიოთ.

ექსტრა ტემპერატურის გაზომვა შეგარებით მარტივი პროცედურაა. შემდეგ გვერდზე ნაჩვენებია ეტაპ-ეტაპი მეთოდი. გამოსაკვლევ მაგიდაზე, ან დედის, ან თქვენს მუხლებზე ბავშვი პირქვე დააწვინეთ. ეტაპი ხელით გადაუწიეთ დუნდულოები, მეორე ხელით ჯი ფეხთხილად შეიყვანეთ ჯანგად გაპოხილი ექსტრა თერმომეტრი დაახლოებით 20°-ით დახრილად მაგიდის, ან მუხლების მიმართ სწორი ნაწლავის სფინქტერის გავლით უფრო ღრმად, დაახლოებით 2-3 სმ-ზე. თერმომეტრი გააჩერეთ სულ ცოტა 2 წთ-ით.

ჩვილების და ბავშვების სხეულის ტემპერატურა ნაკლებად მერყეობს, ვიდრე მოზარდების. საშუალო ექსტრა ტემპერატურა უფრო მაღალია ჩვილებში და ადრეულ ბავშვთა ასაკში, ჩვეულებრივ არ ჩამოდის 90.0°F-ზე (37.2°C) ქვემოთ 3 წლის ასაკამდე. დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა შეიძლება იცვლებოდეს 3°F-ით და აღწევდეს 101°F (38.3°C) ჯანმრთელ ბავშვებში, განსაკუთრებით გვიან საღამოს და ზედმეტი აქტიურობის შემდეგ.

ბავშვებში აგზნება იწვევს სხეულის ტემპერატურის ანწევას. ჩვილების *ზედმეტად გახვევამ* შეიძლება გაზარდოს ჯანის და არა შინაგანი ტემპერატურა.



ახალშობილებში ტემპერატურის ცვალებადობის მიზეზი შეიძლება იყოს სეფსისი, მეტაბოლური დარღვევები, ან სხვა სერიოზული მდგომარეობები. უფრო დიდი ასაკის ჩვილებში იშვიათია ტემპერატურის ცვალებადობა.

III ჯანი

ახალშობილის ჯანს აქვს *სტრუქტურის და მესახელეობის* უნიკალური მახასიათებლები. სტრუქტურა ხშირია და გლევი, ხადგან უფრო თხელია, ვიდრე მოზრდილი ბავშვის. დაბადებიდან 10 წუთის განმავლობაში ნორმალური ახალშობილის ჯანი ჯერ ცისანოზურია, მემდეგ ვარდისფერი ხდება. თეთრჯანიან ახალშობილებს პირველი 8-24 საათის განმავლობაში შეიძლება განუვითარდეთ ერითრემული სინდრომი, რის გამოც ჯანს ეძლევა "მოხარშული ქინძისჭარის" მესახელეობა, მემდეგ კი ნორმალური ვარდისფერი მეფერიდობა ვითარდება.

მარმარილოს ჯანი აღინიშნება *ღრუნაკლულ ჩვილებში* და *თანდაყოლილი ჰიპოთირეოზისა* და *დაუნის სინდრომის* მქონე ბავშვებში.

ჯანისა და ჯანქვემა ქსოვილის ვაზომოტორული ცვლილებები – პასუხი სიცივეზე, ან ინფიცირებულ გამოსხივებაზე – ინვევს ბადისებურ, მოცისფერ მესახელეობას *(მარმარილოს ჯანი – cutis marmorata),* განსაკუთრებით ტანზე, მკლავებზე და ფეხებზე. ასეთი ჰეპტია სიცივეზე მეიძლება გაგრძელდეს თვეების განმავლობაში ნორმალურ ჩვილებში. აკროციანოზი, სიცივეზე მტევნების და ტერფების ღერძი მეფერიდობა (იხ. სუსათი მემდეგ გვერდზე), ხშირია ახალშობილებში პირველი ხარისხის დღის განმავლობაში და მეიძლება განმეორდეს ხოლმე ადრეული ბავშვობის ასაკში. ახალშობილებში, განსაკუთრებით, დარტყმით ფერის ცვლილებები (*არლეკინოს ფენომენი*) ვლინდება სხეულის ერთი ნახევრის, ან ერთი კიდურის ცისანოზით, რისი სავარაუდო მიზეზი მეიძლება იყოს სისხლძარღვთა ხანმოკლე ასიმეტრიულობა

თუ აკროციანოზი არ ქრება 8 საათის განმავლობაში, ან განმეორებით, ცისანოზის მიზეზი შეიძლება იყოს *თანდაყოლილი ცისანოზური დაავადება.*

ახალშობილთა ჯანში მეღანინის **შემცველობა** ცვალებადობს და **გავლენას** ახდენს პიგმენტაციაზე. მავჯანიან ახალშობილებს დასანყისში მეიძლება ეფხო ღია ფეხის ჯანი ჰქონდეთ, ვიდრე მოგვიანებით, გახდა ფხჩხილების სახეცვლისა და სასქესო ორგანოებისა, რომლებიც დაბადებისთანავე მუქია. ფეხის ძირების და ნელის არეში მუქი ან მოლეჯო მეფეიდობა ხშირია აფრიკელ, აზიელ და ხმელთაშუა ზღვის აუზის ბავშვებში. ამ უბნებს უწოდებენ მონგოლოიდის **ლაქებს**, მისი მიზეზია პიგმენტური უჯრედების სიჭარბე ჯანის სიღრმეში; ეს ეფხო **შესამჩნევი** ხდება ასაკის მატებასთან ერთად და ჩვეულებრივ ქრება ბავშვობაში. აუცილებელია ამ პიგმენტური უბნების აღნიშვნა, რათა მომავალში არ ჩაითვალოს სისხლჩაქცევებად.



აფროამერიკელი დაბადებიდან პირველი 30 წუთის განმავლობაში 32 კვირის ახალშობილში, რომელსაც გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია არ აღენიშნება.

ჩვილის, ან ნებისმიერი ასაკის ბავშვის ცენტრალური ცირნოზი ზრდის *გულის თანდაყოლილი დაავადების* შესაძლებლობას. ცენტრალური ცირნოზისთვის უნდა დაათვალიერონ ენა და პირის ღრუხეთვანი და არა ფრჩხილები და ჯიდურები.

დაბადების დროს აღინიშნება ნაზი, ფუმფულა თმიანობა, რასაც *ლანუგო* ეწოდება და გამონაკლისია მთელ სხეულზე, განსაკუთრებით მხრებზე და ზურგზე. ეს თმიანობა ქრება ჩამოყალიბების კვირის განმავლობაში. დელიკატური ბავშვებში ლანუგო უფრო ხანგრძლივია. თავზე თმის სისქე ცვალებადობს ახალშობილებში და საბედნიეროდ არ გასაზრდოვანებს მომავალში თმის ზრდის ხარისხს. თავდაპირველი თმიანობა მთლიანად ქრება ჩამოყალიბების მეორე თვეში და ამოდის ახალი თმა, ზოგჯერ გასხვავებული ფერის.

ღია ყავისფერი პიგმენტური დაზიანება (<1-ჯერ დაბადებისას) წარმოადგენს *café-au-lait spots (ძძიანი ყავის) ლაქებს*. ინდივიდებული დაზიანება მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ მრავლობითი ლაქები სწორი ჯიდეებით *ნეიროფიბრომატოზზე* მიუთითებს. იხ. ცხრილი 18-5, გვ. 799.

ინსპექცია

ახალშობილის ჯანი ახლოდან დაათვალიერეთ ჯანის მდგომარეობის შესამოწმებლად. დაბადებისას ჯანი დაფარულია ხაჭოსებური თეთრი ნივთიერებით, რასაც ეწოდება *vernix caseosa*, შედგება ცხიმისა და ჩამოფცქვნილი ეპითელური უჯრედებისგან. ზოგიერთ ახალშობილს აღენიშნება ხელების, ტერფების, ნვივების, გავა-ნელის *შეშუპება*, რომელიც რამოდენიმე დღეში ქრება. დაბადებიდან 24-36 საათის შემდეგ ახალშობილს აღენიშნება ჯანის ზედაპირული ჩამოფცქვნა.

დაბადების დროს ჯანის ჩამოფცქვნა ზოგიერთ ნორმალურ ბავშვში ვითარდება, უფრო ხშირად *გადავადებულ ბავშვებში* (გესტაციური ასაკი >40 კვირა). იშვიათად, იგი წარმოადგენს პლაცენტის სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, ან *თანდაყოლილი იქთიოზის* ნიშანს.

ახალშობილებში უნდა გაარჩიოთ ოთხი ხშირი დერმატოლოგიური მდგომარეობა.

- ნასიცხი – *Miliaria rubra*, წარმოადგენს გაფანტულ ვეზიკულებს, რომელთაც წითელი ფუძე აქვთ, ჩვეულებრივ, ჩნდება სახეზე და ჯანზე. მისი მიზეზია საოფლე ჯირკვლების საცრინების დახშობა; რამოდენიმე კვირის განმავლობაში სპონტანურად ქრება.

- ტოქსიური ერითემა – *Erithema toxicum*, ჩვეულებრივად, ვლინდება დაბადებიდან მეორე-მესამე დღეს, წარმოადგენს ერითემულ მაკულებს ცენტრში ნეტილოვანი ვეზიკულებით, რომლებიც გაბნეულია მთელ სხეულზე და ჰგავს ნაკბენებს. მისი ეტიოლოგია უცნობია, ქრება დაბადებიდან რამოდენიმე დღეში.



Erithema toxicum

- *Pustular melanosis* – ჩვეულებრივ, ვლინდება მავკასიან ბავშვებში დაბადებისთანავე მცირე ზომის ვეზიკულო-პუსტულის სახით ყავისფერ მახეულ ფონზე; შეიძლება გაგრძელდეს ხანმოკლე თვის განმავლობაში.


- თეთრი ფერის მჭამელი – *Milia* ქინძისთავის ზომის გლუვი თეთრი ამობურცული ბუნები, გამომოკუმული ან არის ეოზინოფილით, აღინიშნება ცხვირზე, ნიკაპზე და შუბლზე. მიზეზია ქონის ჯირკვლების ხვრელებში ცხიმის დაგროვება. იშვიათია დაბადებისთანავე, ჩვეულებრივ ჩნდება პირველი კვირის განმავლობაში და ხანმოკლე კვირაში ქრება.

ტოქსიური ერითემა და Pustular melanosis შეიძლება პათოლოგიის ცხოსად განვითარდეს, როგორიცაა ვეზიკულური გამონაყარი *herpes simplex-ის (მარტივი ჰერპესი)*, ან კანის *Staphylococcus aureus (ოქროსფერი სტაფილოკოკი)* ინფექციის ცხოს, რომლებიც სერიოზულ ინფექციებს წარმოადგენს და სასწრაფო მკურნალობას საჭიროებს.


ბავშვის ფილის შეა ხაზზე თმის ქონის არსებობა *ზურგის ტვინის დეფექტზე* მიუთითებს.

დაკვირვით ხანმოკლე სამშობიარო ტრავმის და ქირურგიული მანიპულაციების ნიშნების არსებობას; ეს ნიშნები ქრება, მაგრამ საჭიროებს ყურადღებით ნევროლოგიურ გამოკვლევას.

სიყვითლე. ნორმალური "ფიზიოლოგიური" სიყვითლე, რომელიც ვლინდება ახალშობილთა დიდებურად ნახევარში, ჩნდება დაბადებიდან მე-2-3 დღეს, პიკს აღწევს მე-5 დღეს და ერთი კვირის განმავლობაში ქრება. სიყვითლე უმეტესად ჩანს დღის სინათლეზე, ვიდრე ხელოვნურ განათებაზე. ახალშობილთა სიყვითლე ვრცელდება თავიდან ფეხის თითებისკენ, უფრო ინტენსიურად გამოხატულია სხეულის ზემო ნაწილში, ყველაზე ნაკლებია ქვემო კიდურებზე. სიყვითლის დასადგენად, დააწექით კანს, როგორც საჭიროა ნაჩვენები, რათა გადაჭიმოთ ნორმალური ვარდისფერი, ან ყავისფერი შეფერილობა. დააკვირდით კანის მოყვითალო გაფერმკრთალებას, რაც სიყვითლის ნიშანია. სხვანაირად, შეიძლება სასაგნე მინა დააჭიროთ კანს, რათა დაიცალოს კაპილარები და დააკვირდით კანის კონტრასტებს.



კანზე ხელის დაჭერით ჩნდება მოყვითალო გაფერმკრთალება. ჩვილი ძნელად შესამჩნევი სიყვითლით გელმკერდის დონეზე.




ახალშობილი, რომელსაც ბილირუბინის დონე აქვს 13 მგ/დლ (220 μmol/L).

სიყვითლე, რომელიც დაბადებიდან პირველი 24 საათის განმავლობაში ჩნდება, პათოლოგიური ბუნის იყოს, რომლის მიზეზია *ახალშობილთა ჰემოლიზური დაავადება.*

სიყვითლე, რომელიც 2-3 კვირის განმავლობაში გრძელდება, *ღვიძლის დაავადებაზე* ან *სანაღვლე გზების ობსტრუქციაზე* ეჭვის ზრდის.

სისხლძარღვოვანი ნიშნები. ხშირ სისხლძარღვოვან ნიშნებს, რომლებიც ვლინდება ახალშობილთა 40%-ში, წარმოადგენს *"ოქაგეის ღეროები"* (ასევე უწოდებენ *nevus simplex*, ტელეანგიექტაზიის ხაზს, ან კაპილარულ ჰემანგიომას). ეს არის ბრტყელი, არასწორი კიდეების ღია ფერის ვარდისფერი ღეროები, ხშირია კეფაზე ("წერის ნაკბენი"), ზედა ქუთუთოებზე, შუბლზე, ზედა ტუჩზე ("ანგელოზის ნაკბენი"). ესენი ჭეშმარიტი ხალები არ არის, მათი მიზეზია კანის კაპილარების გაფართოება; 1 წლის ასაკისთვის ეს ღეროები ქრება. სახეზე ან კიდურებზე მყარ ფერის ალისფერ დაზიანებას ენოდებენ "პორტვეინის ღეროებს" და ისინი არ ფერმკრთალდება.



"ოქაგეის ღეროები" კეფაზე, თმის ხაზთან.

ცალ მხარეს პორტვეინის ღეროები სამნევრია ნერვის თვალის ტოტის გაყოფებაზე შეიძლება იყოს *Sturge-Weber-ის (სტურგ-ვებერის) სინდრომის* ნიშანი, მასთან არის დაკავშირებული ეპილეფსია, ჰემიპარეზი, ბრაქეომა და გონებრივი განვითარების შენელება.

ახალშობილ გოგონებში ხელების და ტერფების მნიშვნელოვანი შეშუპება მიუთითებს *Turner-ის (ტერნერის) სინდრომზე.*

პალპაცია




ჯანის გამოკვლევა მოიცავს პალპაციას ჯანის ჰიდრატაციის, ან *ტურგორის* შეფასებისთვის. მუცლის კედელზე ჯანი მეანაოჭეთ და დააკვირდით მის კონსისტენციას. ჯანი ჰიდრატაციის ახალშობილებში და ბავშვებში ჯანი ხელის გამშვებისთანავე ძვეც ადგილს უბრუნდება. თუ ჯანი ადგილს ნელა უბრუნდება, ჩოგორც მაჩვენებ სუსათზეა ნაჩვენები, ეწოდება "ჯანის" ფენომენი და, ჩვეულებრივ, ვლინდება ძლიერი *დეჰიდრატაციის* დროს.

თავი

დაბადებისას ბავშვის თავი შედარებით დიდია. ახალშობილის თავის ზომა სხეულის სიგრძის მეოთხედია ან სხეულის წონის მესამედი; ეს პროპორცია იცვლება, ისე, რომ მოზარდის ასაკში თავის ზომა სხეულის სიგრძის მეცხედია და წონის მეათედი.

ყურადღებით დაათვალიერეთ *ნაკერები* და *ყოფლიბანდები* (იხ. ქვემოთ სურათი). თავის ქალას ძვლები ერთმანეთისგან გამოყოფილია მემბრანული ქსოვილების სივრცეებით, რასაც *სუტურა* ეწოდება. იმ უბნებს, სადაც მთავარი ნაკერები იკვეთება თავის ქალას წინა და უკანა ნაწილებში, ეწოდება *ყოფლიბანდები*.

პალპაციით ნაკერები შეიგრძნება ჩოგორც ძვლის კიდე, ხოლო ყოფლიბანდები – ჩოგორც ხბილი ჩაღრმავება. *წინა ყოფლიბანდის* დიამეტრი *დაბადებისას 4-დან 6 სმ-მდეა და, ჩვეულებრივ, იხურება 4-დან 26 თვემდე ასაკში (90%-ში 7-19 თვე). უკანა* ყოფლიბანდის ზომა დაბადებისას 1-2 სმ-ია და, ჩვეულებრივ, იხურება 2 თვის ასაკში.



დიდი ზომის უკანა ყოფლიბანდი შეიძლება აღინიშნებოდეს *თანდაყოლილი ჰიპოთირეოზის* დროს.

ამობურცული და დაჭიმული ყოფლიბანდი აღინიშნება ბავშვებში, ვისაც *მომატებული აქვთ თავის ქალას შიდა წნევა*. ამის მიზეზი შეიძლება იყოს *ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექცია, სიმსივნური დაავადება* ან *ჰიდროცეფალია* (თავის ტვინის ჰაერჭრებში თავზურგა-ტვინის სითხის მიმოქცევის ობსტრუქცია.

ყიფლიბანდების ყურადღებით გამოკვლევა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი ამოვსება *თავის ქალას შიდა ნნევის* მომატების ნიშანია. ყიფლიბანდების პალპაციის ჩატარება უკეთესია, როდესაც ბავშვი მშვიდად ზის, ან ვეჭიჟაღუსად გიჭირავთ. გამოკვეთილი პედიატრი ყიფლიბანდს გამოკვლევის დასაწყისში სინჯავს. ნორმაღეს ჩვილებში ნინა ყიფლიბანდი ხბილია და ბრტყელი. თავის ქალას შიდა ნნევის მომატება ინვევს ყიფლიბანდის ამოზნექვას და ვეინდება ბავშვის ტირილის, ყვირილის ან ხაიმე თანმხლები პათოლოგიის დროს. ყიფლიბანდის პულსაცია ასახავს პერიფერიულ პულსს.

ნინა ყიფლიბანდის ჩანევა *დეჰიდრატაციის* ნიშანია.

დაბადებისას თავის ქალას ძვლების ნაკეცებში გადაფარვას ეწოდება *ფორმირება* და ვითარდება სამშობიარო ახსნი თავის გავლის დროს; 2 დღეში ქრება.

დათვალიერეთ თავის ჯანის ვენები დილატაციის არსებობაზე.

თავის ჯანის ვენების დილატაცია *თავის ქალას შიდა ნნევის ხანგრძლივი მომატების* დროს აღინიშნება.

შეაფასეთ *თავის ქალას სიმეტრიულობა*. ახალშობილებსა და ბავშვებში სხვადასხვა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს თავის ქალას ასიმეტრია; ზოგიერთი ასიმეტრია ნორმალეულია ან ეთნიკურ თვისებიანი, მაშინ როდესაც სხვა დროს ასახავს პათოლოგიას.



ხშირად ახალშობილის თავზე აღინიშნება შესიება ჯანკვეშა შეშუპების გამო თხემ-ნეფის არეში და ეწოდება *caput succedaneum* (ხბილის ქსოვილების შეშუპება), გამონვეულია ჯაჭილარების გაფართოვებით და სისხლის და სითხის გასვლით სისხლძარღვებს გარეთ. ამის მიზეზია ამნიონული გარსის გასკდომის ვაკუუმის ეფექტი. ეს შესიება ხშირად გადის ნაკეცებში და გაინოვება 1-2 დღეში.

თავის ქალის აღგილობრივი შესიების სხვა ტიპია *ცეფალოჰემატომა*, რომლის მიზეზია სებჰეიოსტული სისხლჩაქცევა სამშობიარო ტრავმის გამო. ეს შესიება არ გადის ნაკეცებში და, ამიტომ, გაინოვება 3 კვირის განმავლობაში. სისხლჩაქცევა განოვისა და კალცინირების დროს, შეიძლება პალპაციით ისინჯებოდეს ძვლოვანი კიდეებით და ხბილი ცენტრით.

დაბადებისას დღენაკლული ჩვილის თავის ნეფა-შუბლის დიამეტრი შედარებით გრძელია და საფეთქლებს შუა დიამეტრი – ვინრო (*დოლიხოცეფალია*). ჩვეულებრივ, თავის ფორმა ნორმალეული ხდება 1-2 ნლის ასაკში.

თავის ქალას თაღის ასიმეტრია (*პლაგიოცეფალია*) ვითარდება, როდესაც ბავშვი უფრო ხშირად ცალ მხარეს წევს. ამის შედეგად ამ მხარეს ვითარდება თხემ-ჯეფის მიდამოს გაბრტყელება და საპირისპირო მხარეს შუბლის ჩეგიონის გამოდრეკა. როდესაც ბავშვი უფრო აქტიური ხდება და ნაკლებ დროს ატარებს ერთ ჰომელიმე მხარეს, ეს ცვლილებები ქრება და თავის ქალა სიმეტრიული ხდება. საინტერესოა, რომ უმეტესობა შემთხვევაში პლაგიოცეფალიის მიზეზია ჩვილთა უეცარი სიკვდილის სინდრომის რისკის შემცირების მიზნით ბავშვების გვერდზე დაწვენა.

პლაგიოცეფალია შეიძლება გამოწვეული იყოს მდებარეობის მონაცვლეობით, აგრეთვე, მშობიარობის დროს მკერდ-ღავინ-დვრილისებრი კუნთის დაზიანების გამო განვითარებული *კისრისმრუდობით (torticollis).*

თავის გარშემოწერილობა გაზომეთ (გვ. 696), ჩართ დაადგინოთ დიდი ზომის თავი *(მაკროცეფალია)* და პატარა ზომის თავი *(მიკროცეფალია),* რაც შეიძლება თავის ტვინის დამაზიანებელი დარღვევების გამომხატველი იყოს.

მუცლადყოფნის პერიოდში ერთი ან მეტი ნაკეცის დახურვა იწვევს *კრანიოსინოსტოზს* არანორმალური ფორმის თავის ქალით. *საგიტალური ნაკეცის* სინოსტოზი იწვევს თავის ქალას დავიწროვებას თხემის ძვლების განვითარების შეფერხების გამო. ასეთ ქალაზე პალპაციით შეიძლება დადგინოთ ნაკეცების ზოლებზე ძვლის ნამოწეული კიდეები.

ჩვილის თავის ქალას პალპაცია ფრთხილად ჩაატარეთ. თავის ქალას ძვლები ჩვეულებრივ "ხბილია" ან ელასტიური; გეტაცური ასაკის მატებასთან ერთად ძვლებიც მკვრივი ხდება.

კრანიოტაბესის დროს თავის ქალას ძვლები შეიგრძნობა ელასტიურად და ხბილად, ჰგავს მაგიდის ტენისის ბურთს, რომელიც ზედოდაზე უკან ხტება. კრანიოტაბესი ვითარდება თავის ქალას მიდა ნწევის მომატებისას *(ჰიდროცეფალია),* მეტაბოლური დარღვევების დროს *(რაქიტი)* და ინფექციის დროს *(გენიტალური ათრაშანგი).*

პატარა ბავშვებში თავის ქალას აუსკულტაცია არ გამოიყენება, ვინაიდან სისტოლური ან უწყვეტი შუილი შეიძლება მოისმინოთ საფეთქლის არეზე ბევრ ნორმალურ ბავშვში. დიდი ასაკის ბავშვებში, რომელთაც მძიმე ანემია აქვთ, თავის ქალაზე შეიძლება შუილი მოისმინოთ.

არტერიულ-ვენური ფისტულა შეიძლება წარმოქმნილეს ხმამაღალ შუილს.

დააკვირდით ჩვილის *სახის* სიმეტრიულობას. საშვილოსნოში მდებარეობამ შეიძლება სახის ხანმოკლე ასიმეტრია გამოიწვიოს. თუ თავი მკერდის ძვლისკენაა მოხრილი, შეიძლება განვითარდეს ნიკაპის დამოკლება *(მიკროგნათია).* ქვედა ყბაზე მხრების ზეწოლამ შეიძლება გამოიწვიოს ქვედა ყბის ლატერალური გადანაცვლება.

მიკროგნათია შეიძლება იყოს ჰომელიმე სინდრომის ნაწილი, როგორიცაა *Pierre Robin-ის (პიერ რობინის) სინდრომი.*

დააკვირდით ბავშვის *სახის გამომეტყველებას* და შეადარეთ მშობლების გამომეტყველებას. ბავშვის სისტემატური გასინჯვა, რომელსაც სახის არანორმალური გამომეტყველება აქვს, დაგეხმარებათ სპეციფიკური სინდრომების დადგენას. შემდეგ გვერდზე მოცემულია სახის გამოკვლევის საფეხურების აღწერა.

მესაძლო ანომალიური სახის გამომეტყველების მქონე ახალშობილის ან ჩვილის შეფასება

უმეტესობა განვითარებისა და გენეტიკის სინდრომებს ანომალიური სახის გამომეტყველებასთან ერთად სხვა დაჩლევებიც ახასიათებს.

ყურადღებით გაეცანით ანამნეზს, განსაკუთრებით:
- ოჯახის ანამნეზს
- ორსულობას
- პერინატალურ ანამნეზს

ობიექტური გამოკვლევის დროს ყურადღება მიაქციეთ სხვადასხვა დაჩლევებს, განსაკუთრებით
- ზრდას
- განვითარებას
- სხვა დისმორფული სომატური ნიშნები

გამოიყენეთ გაზომვები (და პერცენტილური დიაგრამები), განსაკუთრებით:
- თავის გარშემოწერილობის
- სიმაღლის
- წონის

განიხილეთ სახის დისმორფოგენეზის სამი მექანიზმი:
- სამკერდოსნოში დეფორმაცია
- ამნიონური სარტყელის ან ჩანასახოვანი ქსოვილის განყენებით გამოწვეული
- შინაგანი დაჩლევებით გამოწვეული სახის/თავის ან ტვინის განვითარების მანკი

გამოიკვლიეთ მშობლები და და-ძმა:
- მშობლებთან მსგავსება დაგარწმუნებთ (მაგ. დიდი თავი), ან შეიძლება გამოხატავდეს ოჯახურ პათოლოგიას

ეცადეთ დააგროვოთ, სახის გამომეტყველება ჰარმონიულ სინდრომს ხომ არ შეესაბამება და შეადარეთ:
- სინდრომის ინფორმაციას (გაზომვების ჩათვლით) და ლიტერატურას
- ნიშნების და მათი კომბინაციების ცხრილებს/მონაცემებს

ბავშვი, რომელსაც აქვს თვალის ქვედა ანომალიური ფორმა ან სიგრძე: ზემოთ ირიბი (Down-ის (დაუნის) სინდრომის დროს) ქვემოთ ირიბი (Noonan-ის (ნუნანის) სინდრომის დროს) მოკლე (ალკოჰოლის გავლენა ნაყოფზე)

ღრუების პერკუსია გამოგადგებათ *Chvostek-is (ხვოსტეკის) ნიშნის* შესამოწმებლად, რომელიც ალინიშნება ზოგიერთი მეტაბოლური დარღვევის დროს და იშვიათად ჯანმრთელებში. თქვენი საჩვენებელი ან შუა თითის ნვერით ჩაატარეთ პერკუსია ყურის წინ ღრუზე ყვრიმალის ძვლის ქვეშ.


Chvostek-is (შვოსტეკის) დადებითი ნიშანი ნიშნავს სახის მიმიკის დარღვევას სახის ნერვების განმეორებადი შეკუმშვით. შვოსტეკის ნიშანი ჩნდება *ჰიპოკალციემიური ტეტანიის, ჰიპერვენტილაციური ტეტანიის და ტეტანუსის დროს.*

ხელები

პალპაციით გასინჯეთ *ხელის ღიმფური კვანძები* და მასები, როგორიცაა *თანდაყოლილი ხისტები.* ვინაიდან ჩვილის ხელები მოკლეა, უკეთესი იქნება პალპაცია ჩაატაროთ ბავშვის ზურგზე წოლის დროს, მაშინ, როდესაც მოზრდილი ბავშვის ხელის გასინჯვა უმჯობესია ჯდომის დროს. დააკვირდით ფალანგების ხრტილის და ტარსის მდებარეობას.

ბრანქიოგენური ხისტები წარმოადგენს მცირე ზომის ხვრელებს ან ჩაღრმავებებს მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის შუა ნაწილის წინ. ისინი შეიძლება დაკავშირებული იყვნენ სინუსის ტრაქტთან.

ყურის წინა ხისტები და *სინუსები* ხშირია, ქინძისთავის ზომის ორმოები, რომლებიც, მდებარეობს ყურის წინა სახეკიდის წინ.



ისინი ხშირად ოჰმხრივდება და იშვიათად შეიძლება ახლდეს სმენის დაქვეითება.

ფარისებრ-ენის სადინარის ყისტები მდებარეობს ყისის შუა ხაზზე ფარისებური ხრტილის ზევით. ესენია მცირე ზომის, მკვრივი, მოძრავი მასები, ინკვიან ზევით ენის გამოყოფის და ყლაპვის დროს. ჩვეულებრივ. ჩნდებიან 2 წლის ასაკის შემდეგ.

თანდაყოლილი ყისებრობა ან "გამრუდებული ყისები" ვითარდება სისხლჩაქცევის შედეგად მკერდ-ლავინდვრილებში ჯანთის არეში მშობიარობის პროცესში. 2-3 კვირის შემდეგ ვითარდება მკვრივი ფიბროზული ქსოვილი და უმეტესად თვეების შემდეგ ქრება.

ახალშობილებში გასინჯეთ *ლავინის ძვლები* და დაკვირდით მოტეხილობის არსებობას. თუ მოტეხილობა აღინიშნება, იგი უნდა შეიგრძნოთ ძვლის ჯონტეზე, აღინიშნება მტკივნეულობა, მოტეხილობის მხარეს კრეპიტაცია და დაზიანების მხარეს მკლავის მოძრაობის შეზღუდვა.

ლავინის მოტეხილობა შეიძლება მშობიარობის დროს განვითარდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაძნელებულია მკლავების ან მხრების გამოტანა.

თვალები

ჩვენს ბავშვებს უნდა ვასწავლოთ – გახელილი თვალებით იოცნებონ – ჰარი პოტერივით.

ახალშობილებს თვალები დახუჭული აქვთ გარდა სიფხიზლის ხანმოკლე პერიოდებისა. თუ თქვენ ეცდებით ქუთუთოების დაცილებას, ბავშვი ეფარო მყიდროდ დახურავს. კამკამა სინათლე არძელებს ჩვილს თვალები ახამხამოს, ამიტომ გამოიყენეთ მცირე განათება. თუ ბავშვს ფრთხილად გააღვიძებთ, სინათლეს დაეწყით და ბავშვი მკრთომარე მდგომარეობაში გააჩერეთ. ამ დროს ნახავთ, რომ მას თვალები გაღებული ექნება. ემეტესობა ახალშობილთა თვალები ოდნავ შემოპებულია მშობიარობის პროცესის გამო.

გონიერება გამართებთ ჩვილისა და პატარა ბავშვის თვალების დათვალიერებისას და უნდა მიმართოთ გამჭრიახობას, რომ დაამყაროთ მათთან ურთიერთქმედება. პატარა ფეხადი სათამაშოები დაგეხმარებათ ბავშვის მზერის დაფიქსირებაში და გაბიადვილებთ თვალების შემოწმებას.

ახალშობილს შეეძლია სახეში გიყუროთ და თვალი გაყოლოს კამკამა სინათლეს სიფხიზლის პერიოდში. შეგიძლიათ ზოგიერთ ახალშობილს სამკაულება მისცეთ თვალი გაყოლოს თქვენს სახეს ან თავი შეაბრუნოს 90°-ით ორივე მხარეს, რათა ასრამოვნოთ მშობლებს.

ახალშობილს, როდესაც ნამდვილად არ შეუძლია თვალების გახელა (მაშინაც კი, როდესაც ღვიძავს და აქტიურია), შეიძლება ჰქონდეს თანდაყოლილი ფაქტორი. მიზეზებია სამშობიარო ტრავმა, თავის ტვინის ნერვის დამბლა და მექანიკური პრობლემები.

თუ ახალშობილს უჭირს მზერის გაყოლება სიფხიზლის პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თვალების გამოკვლევას. ეს შეიძლება ნორმალურ ბავშვებში იყოს ან მიუთითებდეს *მხედველობის დაქვეითებაზე.*

ქვემოთ სქემაზეა ნაჩვენები ჩვილი ბავშვების *თვალების მოძრაობის გამოკვლევის* ერთეული სამეცნიერო. ბავშვი ვერტიკალურად დაიჭირეთ და თავი გაუმაგრეთ. ბავშვთან ერთად ნელა შებრუნდით ერთ მხარეს. ამ დროს, ჩვეულებრივ, ბავშვის თვალები გახელილია და შეგიძლიათ დაათვალიეროთ სკლერა, გუგები, ფერადი გარსი და თვალის მოძრაობები. ბავშვის მზერა თქვენი მოძრაობის მიმართულებას მიყვება. როდესაც გაჩერებით, თვალები სანინაალმდეგო მხარეს იყურებიან ჩამოთვლილი ნისტაგმური მოძრაობის შემდეგ.

ნისტაგმი (თვალის ხტუნვითი მოძრაობა). რომელიც გრძელდება ჩამოთვლილი დღე ან ზემოთ აღნერილი მოძრაობის შემდეგ. შეიძლება გამოხატავდეს ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებას.



დაბადებიდან პირველი 10 დღის განმავლობაში თვალები შეიძლება ფიქსირებული იყოს, იყურებოდეს ერთი მიმართულებით, თუ მხოლოდ თავია შებრუნებული და სხეული უძრავია (თოჯინის თვალის ეფექტი). ჩამოთვლილი თვის განმავლობაში ზოგიერთ ჩვილს აღენიშნება ხანგამოშვებითი თვალების მიახლოვება *(ხანგამოშვებითი აღტენიანური კონვერგენციული სიელმე ანუ ეზოტროპია)*, ან ხანგამოშვებითი თვალების ღატეჩაული გადახრა *(ხანგამოშვებითი აღტენიანური დივერგენციული სიელმე, ანუ ეგზოტროპია)*.

აღტენიანური კონვერგენციული ან დივერგენციული *სიელმე*, რომელიც გრძელდება 3 თვის განმავლობაში, ან ნებისმიერი ტიპის სიელმის გახანგრძლივება შეიძლება აღნიშნავდეს *თვალის მამოძრავებელი კუნთის სისუსტეს*, ან მხედველობის სისტემის სხვა დარღვევებს.

დააკვირდით სკლერასა და გუგების ცვლილებებს ან თანდაყოლილ პრობლემებს. ახალშობილებში ხშირია სისხლჩაქცევები კონიუნქტივის ქვეშ.

კოლობომა შეიძლება ნახოთ გაღებულ თვალზე და აღნიშნავს ფერადი გარსის დეფექტს.

გუგების ჩაქცია შეგიძლიათ გამოიკვლიოთ სინათლით ან თითოეულ თვალზე თქვენი ხელის დაფარებით და შემდეგ აშვებით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება აღინიშნებოდეს გუგების ზომების მცირეოდენი ასიმეტრია, დროთა განმავლობაში გათანაბრდება მათი ზომები და სინათლეზე ჩაქცია.

ყურადღებით დაათვალიერეთ ფერადი გარსები.

Brushfield-ის (ბრუშფილდის) ლაქები არის თეთრი ნერტილებისგან შემდგარი ჩაღრეები ფერადი გარსში (იხ. ცხრილი 18-11, გვ. 805). მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ჯანმრთელ ბავშვებში გვხვდება, ეს ნიშანი ზუსტად მიუთითებს *Down-ის (დაუნის) სინდრომზე*.

დაათვალიერეთ *კონიუნქტივა* შეშუპებასა და სისხლის არსებობაზე. ქიმიური კონიუნქტივიტი ხშირია, რაც ვითარდება ვერცხლის ნიტრატის ხმარება მშობიარობის დროს გონორეული კონიუნქტივიტის პროფილაქტიკის მიზნით (ophthalmia neonatorum). ამ შემთხვევაში უმჯობესია ერითრომიცინის მალამოს ხმარება, ვინაიდან ნაკლებად აღიზიანებს თვალს.

ახალშობილებში და ჩვილ ბავშვებში *მხედველობის სიმახვილის* გასინჯვა საჭიროა ან არის. შეგიძლიათ გამოიყენოთ მხედველობის ჰეფლექსები, ანუ მხედველობა არაპირდაპირი მეთოდით შეაფასოთ: სინათლეზე გუგის პირდაპირი და შეთანხმებული შევიწროვება, ჯამჯამა სინათლეზე ხამხამი *(ოპტიკური ხამხამის ჰეფლექსი)* და თვალების წინ ხაიმე საგნის სწრაფ მოძრაობაზე ხამხამი. პირველი წლის განმავლობაში მხედველობის სიმახვილე მატულობს ფოკუსის გაუმჯობესების გამო. ჩვილის მხედველობა შემდეგ ეტაპებს გადის:

დაბადებისას	**ხამხამი, მეუძლია ყურადღება გაამახვილოს სახეზე**
1 თვე	**მხედველობის ფიქსაცია საგნებზე**
1.5-2 თვე	**თვალების ჯოხოდინისებული მოძრაობა**
3 თვე	**თვალების კონვერგენცია, თვალის გაყოლება**
12 თვე	**მხედველობის სიმახვილე დაახლოებით 20/50**

დაბადებიდან თვალებიდან მედმივად გამონადენის და ცრემლენის მიზეზი შეიძლება იყოს *დაკრიოცისტიტი*, ან *ცხვირ-ცრემლის არხის ობსტრუქცია.*

ამ ეტაპების მიხედვით მხედველობის განვითარების ეკმარისობა შეიძლება მიეთითებეს *ვიზუალური მომწიფების შენელებაზე.*

ოფთალმოსკოპიის მეთოდით გამოიკვლიეთ გაღვიძებული **და** გახელილი თვალებით ბავშვის ბადურას (ფუნქციის) ნითელი ჰეფლექსი. ამისთვის ოფთალმოსკოპი მოათავსეთ **0** დიოპტრიაზე და გუგა დაათვალიერეთ დაახლოებით 20 სმ-იდან. ნორმალურად, გუგიდან ფუნქციაზე ვლინდება ნითელი, ან ნარინჯისფერი შეფერილობა.

ჭკოვანას შემღვრევა შეიძლება გამონაკლისი იყოს თანდაყოლილი გლაუკომით. სინათლის ბნელი ჰეფლექსის მიზეზებია კატარაქტა, *ნაადრევი მშობიარობის რეტინოპათია* და სხვა დაზიანებები. სინათლის თეთრი ჰეფლექსი *(ლეიკოკორია)* პათოლოგიურია და უნდა ივარაუდოთ კატარაქტა, *ჭრილობრეტინალი* ან *ჰეტინობლასტომა.*

ძალიან პატარებში სრულად ოფთალმოსკოპიის ჩატარება ძნელია, მაგრამ შეიძლება დაგჭირდეთ თუ ნასავთ თვალის მხრივ, ან ნევროლოგიურ დაზიანებებს. იშვიათად, შეიძლება გამოიყენოთ გუგის გამაფართოვებელი სამკურნალებო, რათა ფუნქციი კარგად დათვალიერდეთ (მაგ. 2.5% ფენილეფრინის ერთი წვეთი 0.5% ციკლოპენტოლატთან ერთად თითოეული თვალში); გუგის გაფართოვება ყოველთვის უნდა ჩაატარონ ნევროლოგთან და ოფთალმოლოგთან ერთად. ჭკოვანა ჩვეულებრივად ჩანს +20 დიოპტრიაზე, ბრილი - +15 დიოპტრიაზე, ხოლო ფუნქცია – 0 დიოპტრიაზე.

მსხვილ ზომის სისხლჩაქცევები ბადურაზე გვხვდება ნორმალურ ახალშობილებში. დიდი ზომის სისხლჩაქცევები მიეთითებს მძიმე *ანოქსიაზე, სუბდურულ სისხლჩაქცევაზე ან მძიმე ტრავმაზე.*

ბადურის პიგმენტური ცვლილებები შეიძლება გამოვლინდეს ახალშობილებში, რომელთაც ადრენიშნებათ *თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზი, Cytomegalovirus (ციტომეგალოვირუსი), ან ნორმა.*

ყურები

ჩვილებში ყურების გამოკვლევა მნიშვნელოვანია, რადგან შეიძლება ბევრი დაზიანება გამოვლინდეს, როგორიცაა ყურის თანდაყოლილი პათოლოგიები, შუა ყურის ანთება და სმენის დაქვეითება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ უნდა დახვეწოთ ოტოსკოპის ხმარების ჩვევები.

მთავარი ამოცანებია, დაადგინოთ ნორმალურია თუ არა ყურების *მდებარეობა, ფორმა და ფუნქციები*. დათვალიერეთ ყურების მდებარეობა თვალების მიმართ. წარმოსახვითი ხაზი, რომელიც გავლებულია თვალების შიგნითა და გარეთა კუთხეებზე, უნდა კვეთდეს ყურის ნიჟარას. თუ ნიჟარა ამ ხაზის ქვემოთაა, ბავშვს აქვს დაწეული ყურები!

პატარა ზომის, დეფორმული, ქვემოთ დაწეული ყურები შეიძლება ნიშანი იყოს თანმხლები *თანდაყოლილი დეფექტების*, განსაკუთრებით თირკმელების დაავადებების.

ახალშობილის ყურის გამოკვლევა ოტოსკოპით მხოლოდ *სასმენი მილის* დათვალიერების საშუალებას მოგცემთ, ვინაიდან პირველ დღეებში დაფის აპკი დაფარულია ხაჭოსებრი ნივთიერებით. ჩვილებში სასმენი მილი გარედან ქვევით მიემართება; ამიტომ, დაფის აპკის დასანახად ყური ფრთხილად ქვემოთ უნდა დასწიოთ და არა ზევით. როგორც კი დაფის აპკს დაინახავთ, ნახავთ, რომ სინათლეს ხეფექსი დიფუზიურია და ყონსის ფორმას ჰამოდენიმე თვის განმავლობაში არ იღებს.

მცირე ზომის ყანის დანამატი, ნაპრალი, ან ჩაღრმავება ზუსტად ყურის წინა სახერხავის პირდაპირ წარმოადგენს *ნაყოფის ღარყურის ნაპრალის წარჩენს* და, ჩვეულებრივ, პათოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს.

აკუსტიკური ბამბამის ხეფექსი არის უცვლად ძლიერ ხმაზე ჩვილის თვალების ბამბამი; ეს ხეფექსი შეგიძლიათ გამოიწვიოთ თითების ტაკუნით, ზარის, ან პეიჯერის, ან სხვა ხმის გამომცემი საგნის გამოყენებით ბავშვის ყურიდან 30 სმ-ის მანძილზე. დაარეგისტრირეთ, არ გამოიწვიოთ ჰაერის ხეება, რაც თვალების ბამბამის მიზეზი შეიძლება გახდეს. დაბადებიდან 2-3 დღის განმავლობაში ამ ხეფექსის გამოწვევა ძნელია. მას შემდეგ, რაც ხანმოკლე შესვენებებით ამ ხეფექსს ჰამოდენიმეჯერ გამოიწვევთ, ხეფექსი ქრება, ჰასაც *მიჩვევის ფენომენი* ეწოდება. ეს არის სმენის შემოწმების უხეში ტესტი და, რა თქმა უნდა, არ ალნიშნავს ნორმალურ სმენას. ღრეისათვის, გაზრდილია მუშაობა ყველა ახალშობილის სმენის გამოკვლევის უნივერსალურ მეთოდებზე, ისევე როგორც სმენის დაქვეითების მაღალი რისკის მქონე ბავშვებისთვის.

პიპინატალური ჰორმონები ზრდის *სმენის დეფექტების* რისკს, ესენია ახალშობილის წონა <1500გ, ანოქსია, ჰიპერბილირუბინემია და მენინგიტი.

ჩვილის სმენის უნარის დამადასტურებელი ნიშნები

ასაკი	პათოლოგიური ნიშანი
0-2 თვე	ეცვლის ხმაურზე შეკრთომა და თვალების ხამხამი დამშვიდება მოფერებით ხმაზე და მუსიკაზე
2-3 თვე	ხმაზე სხეულის მოძრაობის ცვლილება ნაცნობ ხმაზე სახის გამომეტყველების ცვლილება
3-4 თვე	ხმისკენ თვალების და თავის შეტრიალება
6-7 თვე	შეტრიალება ხმის ან სუბრის მოსასმენად

სმენის დეფექტის მქონე ბავშვთა უმრავლესობაში დიაგნოზის დასმა ვერ ხერხდება 2 წლამდე. სმენის დეფიციტის მიმანიშნებელია მშობლების ვარაუდი სმენის შესახებ, მეტყველების დაგვიანება, სმენის განვითარების მაჩვენებლების ნაკლებობა.

III ხმა და სიმღერა

